

K 55 091  
2



ქართული  
ბიოგრაფიული  
პროექტი

---

---

ისტორიოგრაფიული  
ეტიუდები

„მეცნიერება“  
1981

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
ისტორიული  
ივ. ჯამბახოვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

ბიორეზი კაიჭაქაძე

# ისტორიოგრაფიული ეტიუდები



გამომცემლობა „მეცნიერება“  
თბილისი  
1981

სპეგ-2000  
შემოწმებულია

90(с 922)



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

9(C)  
ББК 63(2Г)  
90(47.222)  
3.142

წიგნი განხილულია ქართული საბჭოური ისტორიოგრაფიის ზოგიერთი აქტუალური საკითხი. გაშუქებულია XIX საუკუნის 70-იანი წლების ქართული საზოგადოებრივი აზრი ოსმალთა ბატონობისაგან აჭარის განთავისუფლების შესახებ, გაანალიზებულია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის საკითხების გაშუქება აკად. ნ. ბერძენიშვილის შრომებში, შესწავლილია ისტორიკოს მ. პოლივექტოვის მოღვაწეობა, გაანალიზებული და შეფასებულია რამდენიმე საეურთაღღებო მონოგრაფია.

სპეციალისტების გარდა წიგნი ინტერესს მოკლებული არ იქნება შკითხველთა ფართო წრისათვისაც.

რედაქტორი პროფ. ნ. ნაკაშიძე

16055X

3  $\frac{10604}{M 607(06)-81}$  174-81 © გამომცემლობა „მეცნიერება“, 1981

საბბრთბბბ  
260350  
ბიბლიოთეკა



## ავტორისაბან

წინამდებარე წიგნი შეიცავს ისტორიოგრაფიული ხასიათის წერილებს, სადაც განხილულია ქართული ისტორიული მეცნიერების ზოგიერთი აქტუალური საკითხი, გაანალიზებული და შეფასებულია რამდენიმე საყურადღებო მონოგრაფია.

ეს წერილები სხვადასხვა დროს სხვადასხვა შემთხვევისათვის დაწერილი ნარკვევებია. მაგრამ მათ აერთებთ საერთო მიზანი და დანიშნულება—მკითხველს მიაწოდოს ისტორიოგრაფიული ხასიათის დაკვირვებანი საქართველოს ისტორიის ზოგ საკითხზე. ამასთანავე ამ წერილებს შინაგანად გამაერთიანებელი იდეაც არ აკლია. ისინი უკავშირდებიან ქართული მიწა-წყლის გაერთიანების, საქართველოს „გამოხსნა-აღდგომისა“ და სხვა ქვეყნებთან ურთიერთობის ისტორიის პრობლემატიკის შესწავლა-გაშუქების საქმეს. მაგალითად, წიგნში შესულ წერილებში შესწავლილია XIX საუკუნის 70-იანი წლების ქართული საზოგადოებრივი აზრი ოსმალთა ბატონობისაგან აქარის განთავისუფლების თაობაზე, გაანალიზებულია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის საკითხების გაშუქება აკადემიკოს ნ. ბერძენიშვილის შრომებში, გაშუქებულია ისტორიკოს მ. პოლიევქტოვის მოღვაწეობა, განხილულია ი. ანთელავას



მონოგრაფია XVIII საუკუნის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხასიათის შესახებ (ე. წყნაძის წიგნი საქართველოზე ალა-მაჰმად-ხანის ~~ნაწილი~~ შესახებ, აგრეთვე ო. გვინჩიძის გამოკვლევა ანთიმოზ ივერიელზე და გ. აკოფაშვილის ნაშრომი ნიკოლოზ ჩოლაყაშვილის (ნიკიფორე ირბახის) ცხოვრება-მოღვაწეობაზე.

წიგნში შესულ წერილებში მკითხველი იხილავს ავტორის გულითად წაძილს წინამორბედი თაობის ისტორიკოსთა, მასწავლებელთა ნაშრომთა, აგრეთვე კოლეგების ნაშრომების დიდი სიყვარულით, პატივისცემით, მიუყვარებლად და გულისხმიერად შესწავლისა და შეფასებისა.

ქართული საზოგადოებრივი აზრი ოსმალთა  
ბატონობისაგან აჯარის ბანთავისუფლების  
შესახებ XIX ს-ის 70-იან წლებში\*

ტრაგიზმით სავსეა ქართველი ხალხის ისტორია. თავისუფლებისმოყვარე და სხვა ხალხების მიმართ პატივისცემისა და კეთილმოსურნეობის გრძნობით გამსჭვალულ ერს ბედმა საუკუნეთა მანძილზე გამანადგურებელი საგარეო და საშინაო ომების წარმოება არგუნა. მაგრამ ბედუკულობათობით დაშლილ-დაქუცმაცებულსა და უცხოელ მოძალადეთა ბატონობით ტანჯულ ქვეყანას სიცოცხლისუნარიანობა არ დაუკარგავს. ქართველმა ხალხმა გასაოცარი სიმტკიცე გამოიჩინა და ისტორიის სასტიკ ქარცეცხლს გაუძლო, გადარჩა და კიდევაც გაიმარჯვა.

ბუნებრივია, რომ არსებობისათვის გმირული ბრძოლების პროცესში ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა თვით ხალხის იმ სულიერ სიმტკიცეს, რომელიც ემყარებოდა ეროვნულ თვითშეგნებას, რასაც თავის მხრივ კვებავდა დაუოცებელი მისწრაფება მშობლიური მიწა-წყლის გაერთიანებისაკენ. ეს სანუკვარი წადილი კი ქართველ ხალხს

\* პირველად დაიბეჭდა ეჟურნალ „მაცნეში“ (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია), 1976, № 3.



მხოლოდ საქართველოს რუსეთთან შეერთების შედეგად აღსრულდა.

დამახასიათებელია, რომ ქართველი სახელმწიფო მოღვაწეები ვახტანგ VI და ერეკლე II რუსეთის მთავრობასთან პოლაპარაკების დროს იმთავითვე ცდილობდნენ მტრების მიერ მიტაცებული ქართული ტერიტორიების საქართველოსთან კვლავ შეერთების პირობის გაფორმებას საერთაშორისო სამართლის ნორმების მიხედვით. ასეთი პირობა ჩაიწერა კიდევაც გეორგიევსკის ტრაქტატში.

ცხადია, ქართველების ეს განწყობილება ხელსაყრელი იყო რუსეთის მთავრობისათვის. ირანსა და თურქეთთან ომების დროს იგი კიდევაც იყვებოდა ამ გარემოებას თავის სასარგებლოდ როგორც პოლიტიკურად, ისე უშუალოდ მატერიალურადაც, რადგანაც ამ ომების შედეგად ქართველ ხალხს საშუალება ეძლეოდა მტრების მიერ მიტაცებული მიწა-წყლის დაბრუნებისა, ქართველი მეომრები რუსეთის ჯარის რიგებში გახსაკუთრებულ ენთუზიაზმს იჩენდნენ. აღვილობრივი მოსახლეობა კი ყოველმხრივ დახმარებას უწევდა რუსთა მხედრობას.

შემოაღნიშნულის ერთ-ერთ მკაფიო მაგალითს წარმოადგენდა 1877—1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომი, რომლის შედეგადაც ოსმალთა უღელში სამი საუკუნის მანძილზე ტანჯული აჭარა კვლავ დაუბრუნდა თავის დედასამშობლოს — საქართველოს.

მას შემდეგ, რაც თურქეთთან 1828—1829 წლების ომის დროს რუსეთმა შემოგვიერთა ფოთი, ახალციხე, ახალქალაქი, ასპინძა, აწყური, აბასთუმანი და სხვა ქართული ტერი-



ტორიები, ქართველთა ყურადღება, ბუნებრივია, აქარის განთავისუფლებისაკენ მიიმაართა, ოსმალთა უღელმერქმულში ქართველი მოსახლეობაც თავის მხრივ ოცნებობდა განთავისუფლებასა და ღვიძლ ძმებთან შეერთებაზე.

1853—1856 წლებში ყიზილის ომის დროს დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ოსმალთა ჯარის შემოჭრამ კიდევ უფრო გააძლიერა ქართველთა შორის ანტიოსმალური განწყობილება და ხელი შეუწყო მისწრაფებას ქართული მიწა-წყლის განთავისუფლებისაკენ.

ქართველთა შორის ეროვნული ფიქსიონების სწრაფი ზრდა უშუალოდ იყო დაკავშირებული ეროვნული კონსოლიდაციის იმ პროცესთან, რომელიც შემდგომი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საფუძველზე მიმდინარეობდა და ქართველი ხალხი ბურჟუაზიულ ერად ჩამოყალიბებამდე მიიყვანა. აქარის შემოერთების სურვილიც ზემოაღნიშნული პროცესის ერთ-ერთი გამოხატულება იყო.

XIX ს-ის 70-იანი წლების პროგრესულად მოაზროვნე ქართველის, ჭეშმარიტი მამულიშვილის დამოკიდებულება აქარის პრობლემისადმი მგრძნობიარედ გამოხატა ნიკო ნიკოლაძემ. 1873 წელს იგი წერდა: „საკვირველი სურათი მეხატება თავში ყოველთვის, როცა მე ბათუმის ბოლახში შევეყავარ „რუსული კომპანიის“ ხომალდს. ასე მგონია, უცხო კაცს ჩემთვის ხელი მოუვლია და მიუყვანივარ ჩემი წინაპრების გაოხრებულ სამკვიდრებელში. ყოველი ნაბიჯი, თითოეული თვალის გადავლება, მთელი არემარე თითქო მეუბნება — „დახე, აქ რა სიმდიდრე და ძალა ყოფილა; შეხედე, რა გონიერად დაუმზადებიან და უხმარიათ ეს საუნჯე და როგორ





დაცემულა ეხლა ძველი ძლიერება, როგორ აობრებულა უპატრონოთ ეს მშვენიერი სამკვიდრებელი. არ ვარტყენიანო და მე მართლაც მრცხენია. თითქო მე დამეფანტოს და დამეკარგოს სხვის ნაჭირნახულევი, თითქო მე დამეზნოს ძვირფასი საუნჯე, თითქო უცხო ქვეყნელის დამკვირვებელი თვალის მერიდებოდეს, როგორც გამამზილებელი და გამამტყუნებელი სინდისისა“<sup>1</sup>.

საზოგადოებრივი აზრი აჭარის შემოერთების შესახებ XIX ს-ის 30—70-იან წლებში თანდათანობით მწიფდებოდა. ბუნებრივია, რომ თავის ჩამოყალიბების პროცესში იგი, უპირველეს ყოვლისა, მეცნიერულ მონაცემებს უნდა დაყრდნობოდა. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსის, არქეოლოგისა და ეთნოგრაფის დიმიტრი ბაქრაძის საქმიანობა.

დ. ბაქრაძემ 1873 წ. ვრცელი წერილით საფუძვლიანად დასვა საკითხი რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წინაშე საქართველოს არქეოლოგიური შესწავლის შესახებ, მათ შორის იმ ქართული ტერიტორიისაც, რომელიც მიტაცებული ჰქონდათ ოსმალთ დამპყრობლებს. ამ დროს რუსეთის მთავრობა უკვე ფიქრობდა თურქეთთან ახალი ომის სამზადისზე და ქართველთა ინტერესი ძველი ქართული ტერიტორიის მიმართ მისთვის ყოველმხრივ ხელსაყრელი იყო. პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიამაც აღარ დააყოვნა და დ. ბაქრაძემ მიიღო დავალება გურია-აჭარის შესწავლის შესახებ. იმავე

<sup>1</sup> ნ. ნიკოლაძე, სხვათა შორის (ნაგრძნობი და გავგონილი), „კრებული“, წიგნი მეოთხე, თბ., 1873, გვ. 12.



1873 წ. იელის-სექტემბერში დ. ბაქრაძემ კიდევაც შემოიღო ეს მხარე. 1874 წელს მან გამოაქვეყნა „გურიის აღწერა“<sup>2</sup> სუსა და აჭარის მოკლე მიმოხილვა. წინასწარი ანგარიში<sup>3</sup>, ზოლო პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიისა და ფილოლოგიის განყოფილებაში მოხსენებად წაიკითხა „მოკლე ანგარიში 1873 წ. გურიაში არქეოლოგიური მოგზაურობის შესახებ“<sup>4</sup>.

1878 წ. პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიამ გამოაქვეყნა დიმიტრი ბაქრაძის ფუნდამენტური ნაშრომი „არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში“<sup>5</sup>, რომელიც დღესაც სპეციალისტებისათვის სამაგიდო წიგნია.

სხვადასხვა ხასიათის დიდძალი მასალის შესწავლის საფუძველზე დ. ბაქრაძემ გამოიტანა ის ძირითადი დასკვნა, რომ „აჭარლებს მათი ისტორიის საუკეთესო ეპოქებში განვითარებული თვისებები მთლიანად არ დაუკარგავთ მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ საუკუნეებში საქართველოს მმართველობის აშლილობამ და ყოველის ჩამხშობმა თურქულმა მმართველობის სისტემამ მათზე დამლუბველად იმოქმედეს“<sup>6</sup>.

მხარის სიძველეთა და მოსახლეობის ყოფისა და ზნე-

<sup>2</sup> იხ. «Известия Кавказского отдела императорского Русского географического общества», т. II, № 5, Тифл., 1874.

<sup>3</sup> იხ. «Записки императорской Академии наук», т. XXIII, СПб., 1874.

<sup>4</sup> Дм. Б а к р а д з е, Археологическое путешествие по Гурин и Адчаре, СПб., 1878.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 78.



ჩვეულებების შესწავლის საფუძველზე დ. ბაქრაძის ნაშრო-  
მი იძლეოდა აჭარის საერთო მდგომარეობის მდგომარეობის  
დახასიათებას, რომელიც ნათლად მოწმობდა იმ დროის სიტუა-  
ციაში შემონახული იყო ენა, სიმღერები, საქორწილო წეს-  
ჩვეულებანი და ყოფა-ცხოვრების სხვა მრავალი ქართული  
ელფერი.

ბუნებრივია, რომ დ. ბაქრაძე დააყვირა აგრეთვე აჭა-  
რის ცხოვრებაში ოსმალეთის ბატონობის დამახასიათებელ  
ნიშნებსაც. მაგალითად, ქვემო აჭარაში დ. ბაქრაძემ უკრად-  
ლება მიაქცია თითქმის გაუვალ გზებს. შეკითხვაზე, თუ რით  
აიხსნებოდა ეს გარემოება, მას უპასუხეს: გზებს განგებ არ  
აყეთებდნენ იმისათვის, რომ თავიანთი უბნის სრული და-  
შორჩილების საშუალება არ მიეცათ ოსმალეთის მთავრობის-  
ათვის<sup>6</sup>. მკვლევარ მ. დუმბაძის მართებული დაკვირვებით ამ  
სიტყვებში აშკარად „ჩანდა თურქ დამპყრობთა წინააღმდეგ  
ეჯანყების ხმა, ბრძოლის ერთი არცთუ ისე უეარგისი საშუ-  
ალება“<sup>7</sup>.

რაც შეეხება აჭარლების ეროვნული თვითშეგნების სა-  
კითხს, დ. ბაქრაძე აღნიშნავდა, რომ მოხუცებულებს შორის  
იგი შეხვდა ისეთ პირებს, ვინც თავს ქართველად თვლიდა,  
აჭარას კი საქართველოს ნაწილად<sup>8</sup>.

დ. ბაქრაძის შემდეგ გურია და ზემო აჭარა 1874 წ., სპე-

<sup>6</sup> იხ. Археологическое путешествие по Гурии и Адчаре, с. 42.

<sup>7</sup> იხ. მ. დუმბაძე, ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე, ბათუმი, 1950, გვ. 120.

<sup>8</sup> იხ. Археологическое путешествие..., с. 46.



ციალური დაეაღებოთ, სამხედრო პირმა გიორგი ყაზბეგმა შემოიარა. იმავე წელს „ოსმალეთის საქართველოს საზოგადოების შესახებ მან მოხსენება წაიკითხა თბილისში გეოგრაფიული საზოგადოების ერთ-ერთ სხდომაზე. ეს მოხსენება გამოიცა ცალკე წიგნად. 1876 წ. გ. ყაზბეგის შემოხსენებული ნაშრომი კვლავ დაიბეჭდა გეოგრაფიული საზოგადოების „წერილებში“<sup>9</sup>.

1876 წ. თბილისში გამოქვეყნდა გ. ყაზბეგის მეორე ნაშრომიც — „ლაზისტანის სანჯაყის სამხედრო-სტატისტიკური და სტრატეგიული მიმოხილვა“<sup>10</sup>. ამ წიგნს დართული ჰქონდა მასალები ადრიანოპოლის ხელშეკრულების საფუძველზე თურქეთთან სასაზღვრო ხაზის დადგენასთან დაკავშირებით ჩატარებული სამუშაოების შესახებ. ამ საკითხზე გ. ყაზბეგს ოფიცრების წრეში სპეციალური მოხსენებაც წაუკითხავს. იმ დროს გავრცელებულა ხმა, რომ თითქოს სადემარკაციო სამუშაოების დროს შეცდომით ქოროზის მაგივრად საზღვრად მდინარე ჩოლოქი იყო მიჩნეული (რუსი ოფიცრების მიერ ამ მდინარეების სახელების ერთმანეთში არევის წყალობით). ამ ხმების გამო გ. ყაზბეგი შენიშნა: ადრიანოპოლის ხელშეკრულების ტექსტში სასაზღვრო პუნ-

<sup>9</sup> იხ. Записки Кавказского отдела императорского Русского географического общества, книжка X, выпуск первый, Тифл., 1876, с. 1—140.

<sup>10</sup> Военно-статистический и стратегический очерки Лазистанского санджака, составленные Генерального штаба подполковником Казбегом, Тифл., 1876.



ქტად კონკრეტულად მითითებული იყო წმინდა ნიკოლოზის ნავსადგომი, რომელიც მდინარე ჩოლოქის შესართავთან მდებარეობდა, ამიტომ ჩოლოქ-კოროხის შეცდომით გაიგებინათ ვერსია საფუძველს მოკლებული იყო. მაგრამ ამასთანავე გ. ყაზბეგს პლატონ იოსელიანისაგან გაგონილი ჰქონდა შემდეგი ფაქტი: ადრიანოპოლის ზაეის დადების შემდეგ ი. პასკევიჩთან ერთ-ერთ მიღებაზე გენერალს უთხოვია ქართველების ეთნიკური საზღვრის ჩვენება რუკაზე. როდესაც პ. იოსელიანს მდინარე კოროხის შუა წელი დაუსახელებია, ი. პასკევიჩს აღელვებული ხმით უთქვამს: „სამწუხაროა, რომ ეს ადრე არ ვიცოდით“<sup>11</sup>.

ერთი სიტყვით, იმდროინდელ საზოგადოებაში უკვე ყოველმხრივ მზადდებოდა აზრი თურქეთთან სახელმწიფო საზღვრის სამხრეთისაკენ გადატანის სრული კანონიერების შესახებ. აჭარის შემოერთების საკითხიც თანდათანობით სულ უფრო წინა პლანზე გამოდიოდა. თუ დ. ბაქრაძისა და გ. ყაზბეგის შრომები მხოლოდ ვიწრო წრისათვის იყო ხელმისაწვდომი, ქართული პრესის წყალობით აჭარის შემოერთების საკითხმა მალე ფართო საზოგადოების ყურადღება მიიქცია და იგი საბოლოოდ ჩამოყალიბდა როგორც ეროვნული მნიშვნელობის პრობლემა.

1875 წ. ივლისში გაზეთმა „დროებამ“ გამოაქვეყნა ს. მესხის სარედაქციო წერილი სათაურით „ოსმალის საქართველო“. ავტორი წერდა: „საუკუნეებს გაუვლია, რაც ეს ქვეყნები ოსმალის დაუპყრია, რაც ოსმალს ცდილობს, რომ

<sup>11</sup> Военно-статистический и стратегический очерки..., с. 66.



იქაური ქართველები გაეთათრებინა. მაგრამ, დახეთ ქართველ ტომის სიმტკიცეს, — სჯულის მეტი, იმათ რაგან შეუქმნ ცელიათ რა; და ისიც მხოლოდ ძალდატანებით და სხვადასხვა ოსმალური ოინებით შეაცვლევინეს.

სამშობლო ენა, ხალხის ხასიათი, ჩვეულებანი, თითქმის ცრუმორწმუნეობაც და ცხოვრებაც ისევ ძველი, ქართველური აქვთ<sup>12</sup>.

ზემოაღნიშნულის დასადასტურებლად ს. მესხი მიუთითებდა გ. ყაზბეგის ბროშურაზე, საიდანაც მოქონდა ციტატები და იქვე ასკვნიდა: „ერთი სიტყვით, მთელ ოსმალოს საქართველოს ხალხს ჯერ კიდევ ისევ ქართველი ხალხის ხასიათი აქვს, ქართველი ხალხის სული უდგია. სახე წამდელი ქართველისა აქვთ, ჩვეულება და ცხოვრება საქართველოსი; ხალხი, თუმცა დიდი ხანია გამაჰმადიანებულია, მაგრამ ახლაც სასოვებით დაიარებიან თურმე იქაურს ქართულ ეკლესიების ნანგრევებში... იმათ ახსოვთ, რომ ჩვენი თანამომენი არიან, რომ ერთ დროს საზოგადო ისტორიული ცხოვრებით გვიცხოვრნია, ერთს ბედსა და უბედობას ქვეშ ვყოფილვართ... ეს ყველა იმათ ახსოვთ, იმათ იციან“. დაბოლოს ს. მესხი მოუწოდებდა მკითხველ საზოგადოებას: „ჩვენი გაზეთის რედაქცია დიდის მადლობით მიიღებს ყოველს მცირეც არის ცნობას, რომელიც იმ ჩვენ მოძმეებს შეეხება და სიამოვნებით დაბეჭდავს „დროებაში“. გაზეთს ჯერ-ჯერობით მხოლოდ ამ საშუალებით შეუძლიან დაეხმაროს ამ საქმეს“<sup>13</sup>.

<sup>12</sup> იხ. ვახ. „დროება“, 1875, № 76.



ჩამდენიმე დღის შემდეგ „დროებაში“ გამოაქვეყნდა ცაფიელ ერისთავის წერილი სათაურით „ცნობები რუსულ საქართველოზე“, სადაც ავტორი ჩამოთვლილმა ცნობებმა სოფლის სახელწოდებებს აჭარის ტერიტორიის ქართულობის საჩვენებლად<sup>13</sup>.

იმავე წლის სექტემბერში „დროებამ“ გამოაქვეყნა ცნობა ქობულეთელებს შორის დაწყებული მღელვარების შესახებ, რომელიც გამოიწვია, როგორც ცნობილია, გერცეგოვინაში მათი საღამქროდ წაყვანის განზრახვამ. გაზეთის ამ ნორმის მოწინავეში „ჩვენი მოვალეობა“ ს. მესხი წერდა: „თუ უსამართლოებისაგან დაჩაგრულ და მოთმინებიდან გამოსულ ოსმალოს ქართველებმა წინააღმდეგობა განაგრძეს ჩვენი ვალია ზნეობით დაეცხმართ, ისე მაინც, როგორც ევროპელები, როგორც საზოგადოდ სლავები და განსაკუთრებით რუსები ეხმარებიან აჭანყებულ გერცეგოვინელებს“<sup>14</sup>.

1875 წ. ნოემბერში „დროებამ“ გამოაქვეყნა ბესარიონ ჯაფარიძის რეცენზია გ. ყაზბეგის წიგნზე „სამი თვე ოსმალოს საქართველოში“. წერილის ავტორი აღნიშნავდა: „სამწუხარო კი არის, რომ ეს წიგნი ყველასათვის ადვილი საშოვარი არ იყოს, განსაკუთრებით ეხლა, როცა ყოველი სიტყვა ოსმალოს სხვადასხვა ხალხებზედ ასე ძვირფასია... ის სავსეა სხვადასხვა ცნობებით თვითონ ხალხზედ, მის შინაურ ცხოვრებაზედ, ერთმანეთს შორის განწყობილებაზედ, მათ წარსულ ცხოვრებაზედ და ახლანდელ მდგომარეობაზედ.

<sup>13</sup> გაზ. „დროება“, 1875, № 80—81.

<sup>14</sup> იქვე, № 106.



წმინდის გულით ურჩევთ ყველას ამ წიგნის წაკითხვას. ბევრს პირდაპირ გაიგებენ და უფრო ბევრს წანაკითხე მწვენივალნი ნებს მათ.

მოელს ოსმალოს საქართველოში 300 000-ზედ მეტი მცხოვრები ითვლება, რომელნიც ყოფილან წმინდა ქართველები ენით, სარწმუნოებით, გულითა და საქმით. ჩვენი საქართველო იმდენი არ არის, რომ ამდენი ქვეყანა არაფრად ჩააგდოს და არც ისე დაცემულა ჩვენი ნაციონალური გრძნობა, რომ ამდენი მოძმეები დავივიწყოთ. მათი მდგომარეობის გაგება ყოველთვის სასიამოვნო არის ჩვენთვის. განსაკუთრებით ახლა. ოსმალო დღეს თუ ხვალ დაიშლება და ვინ იცის, რა ბედი მოელის ჩვენს მოძმეებს<sup>15</sup>.

„ოსმალოს საქართველოში“ გაბატონებულ გვართა წარმომადგენლების ოსმალებთან შემარიგებლურ პოლიტიკას ბ. ჭაფარიძე განიხილავდა როგორც რენეგატობას. მისაბამ მაგალითად მიაჩნდა ავტორს ბალკანეთზე სლავების ანტი-ოსმალური ბრძოლა, რომელიც სლავების გაერთიანების იდეით მიმდინარეობდა. ქართულ პრესაში თანდათანობით მატულობდა სხვადასხვა ხასიათის ინფორმაცია სამხრეთ საქართველოს შესახებ.

1875 წ. დეკემბერში „დროება“ დაბეჭდა ცხრილი ლაზისტანის სანჯაყის მოსახლეობის რაოდენობისა ეროვნული შემადგენლობის ჩვენებით<sup>16</sup>, ხოლო 1876 წ. მანძილზე რეგულარულად ამუშებდა ქობულეთის მხარის ცხოვრებას. მა-

<sup>15</sup> ვაზ. „დროება“, 1875, № 130.

<sup>16</sup> იქვე, № 145.





გალითად, ბეჭდავდა ცნობებს ოსმალეთის პოლიტიკით / უკ-  
მაყოფილო მოსახლეობის მდგომარეობის, მხატვრობის, მწიგნობრობისა  
და ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ<sup>17</sup>. *ЗНАМЕНИЦА*

1877 წ. 3 მარტიდან ილია ქაეკავაძის რედაქტორობით  
დაიწყო გაზეთ „ივერიის“ გამოცემა. პირველსავე ნომერში  
რუბრიკის ქვეშ „მოკლე მოთხრობა სხვადასხვა სახელმწი-  
ფოთათვის“ მოცემული იყო იმდროინდელი საერთაშორისო  
მდგომარეობა, რომელიც იწყებოდა ოსმალეთის ამბების გან-  
ხილვით. „ამგვარს განხილვას, -- აღნიშნავდა გაზეთის რე-  
დაქტორი, -- ჩვენ ვიწყებთ ოსმალთა სახელმწიფოსაგან, რად-  
განაც თითქმის ამ სახელმწიფოზედ არის ამჟამად მოქცეულ<sup>18</sup>  
მთელის ევროპის განსაკუთრებითი ყურადღება“<sup>18</sup>. მომდევ-  
ნო ორ ნომერში „ივერია“ ყურადღებას ამახვილებდა ბალ-  
კანეთის ნახევარკუნძულზე სლავების მიერ გაჩაღებულ ან-  
ტიოსმალურ ბრძოლაზე<sup>19</sup>.

3 აპრილს კი, როდესაც უკვე აშკარად იგრძნობოდა რუ-  
სეთ-თურქეთის ომის გარდუვალობა, „დროება“ 36-ე 37-ე  
ნომრებში გამოაქვეყნა ნ. ნიკოლაძის წერილი სათაურით „ომი  
თუ იქნა...“ ამ სტატიას ავტორი იწყებდა რუსეთისა და თურ-  
ქეთის პოზიციების გარკვევით. შემდეგ ცდილობდა მათი შე-  
საძლო მოკავშირეების დადგენას, ხაზგასმით აღნიშნავდა რუ-  
სეთის მიმართ ინგლისის მტრულ პოლიტიკას და ეხებოდა  
საქართველოს სტრატეგიული მნიშვნელობის საკითხსაც.

<sup>17</sup> იხ. ვაზ. „დროება“, 1876, №№ 21, 23, 45, 49, 51, 63, 74, 92 და  
სხვ.

<sup>18</sup> იხ. ვაზ. „ივერია“, 1877, № 1.

<sup>19</sup> იქვე, №№ 2, 3.



ნ. ნიკოლაძე საგანგებოდ არჩევედა ომის წარმოების  
 საკითხებზე შემუშავებულ საერთაშორისო სამართლებრივ წესებს და მოუწოდებდა მოსახლეობას ამ ნორმების დაცვას  
 საკენ. ამის თაობაზე ნ. ნიკოლაძე წერდა: „და თუმცა—სტრატეგიული საჭიროების მიხედვით— მთავრობამ ისურვა ზოგიერთი ჩვენი საზღვართან მახლობი სოფლების უჭაროდ დატოვება, ჩვენ ხალხს სრული უფლება აქვს დაიბრაოდეს და რაზმით ჩადგეს, იმ განზრახვით, რომ წესიერება დაიცივას და მტერს წინააღმდეგობა გაუწიოს, ან ძარცვის ნება არავის მისცეს. მაგრამ ამ შემთხვევაშიც საჭირო იქნება, რომ დაიბრალებულმა ხალხმა რამე ფორმის ნიშანი მიიღოს და თავიკაცები აირჩიოს, წესიერების დასაცავად, რაზმის გასაწვრთნელად და „ომის კანონების და ჩვეულებების“ მტკიცედ შესანახავად.

ერთი საზოგადო კანონიც ყველამ გულში ღრმად უნდა ჩაინერგოს: ომიანობის დროს ძარცვა და გლეჯა, ჯარის ან კერძო პირების საკუთრების შეხება, სამხედრო ამბების მიტან-მოტანა ითვლებიან ისეთ საშინელ დანაშაულობად, რომლისთვისაც დამნაშავეებს ოცდაოთხი საათის განმავლობაში სიკვდილით სჯიან. ჩვენი ხალხი ყოველ ამნაირ საქციელს მარტო სიკვდილით დასჯის შიშის გამო კი არ უნდა ერიდებოდეს. ამგვარი საქმეები სანიადგოდ თავს სჭრიან მთელს ხალხს, და საზიზღარ სახელს უგდებენ მთელს ქვეყანას დანარჩენ დედამიწაზე. ყოველს ქართველს მტკიცედ უნდა ახსოვდეს, რომ ომის დროს მთელი ევროპის ყურადღება ჩვენ ქვეყანაზე იქნება მოქცეული. როგორც რუსეთის, აგრეთვე ევროპის თვალში ჩვენი ხალხი უნდა გამოჩნდეს მხნე, პატი-



ოსან და რაინდულ ხალხად, იმისთანად, რომელიც პარტიის ცემის ღირსია სამხედრო მამაკობისათვის და ხეირიანი განწყობილების ღირსია მოქალაქეობრივი პარტიოსნებისა და წესიერების დაცვისათვის.

ერთი სიტყვით, ნუ დავივიწყებთ, რომ ჩვენი ქვეყნის სახელი, სიყვითე და მომავალი ჩვენს საკუთარ საქციელზეა დამოკიდებული. ნუ შევარცხვენთ დღემდე პარტიეცემულ სახელს, ნუ გაურევთ ბრძოლაში ნურც ავაზაკობას, ნურც სიმბდალეს, ნუ ვეძიებთ პირად სარგებლობას, ნუ დავივიწყებთ ურთიერთის დახმარების საქიროებას, ნუ დავიშალვით სოროში. მაშინ ჩვენი გონიერი, წესიერი და პარტიოსანი საქციელი მაღლა ასწევს საქართველოს სახელს, და მტერსა და მოყვარეს დაინახებს, რომ ჩვენი ხალხი სიყვარულის, პარტიეცემის, მორიგების და კეთილდღეობის ღირსია...

ვიმეორებთ, რადგან დღეს, ომი თუ იქნა, მთელი ქვეყნის ყურადღება ჩვენ ქვეყანაზე და ხალხზე მიქცეული იქნება, ჩვენი მამულის ყოველმა ერთგულმა შვილმა ყველაზე უფრო იმაზე უნდა იზრუნოს, რომ მთელმა ქვეყანამ საქართველოზე აი ამგვარი შთაბეჭდილება შეადგინოს და აი ამგვარი აზრი იქონიოს<sup>20</sup>.

1877 წ. 12 აპრილს რუსეთის მთავრობამ თურქეთს ომი გამოუცხადა. „ივერიის“ მე-7 ნომერში, რომელიც 14 აპრილს გამოქვეყნდა, ვაზეთის რედაქციამ ომისა და ბალკანელი სლავების მიმართ თავისი დამოკიდებულება ასე გამოხატა: „ხომ თავი და თავი აღმოსავლეთის საქმისა სლავიანე-

<sup>20</sup> გაზ. „ღრობა“, 1877, № 37.



ბის განთავისუფლება იყო. ჩვენ ამის დავიწყება არ ვაჩვენებთ. ჩვენ უნდა გავხსნათ ის აზრი-იმიტომ, რომ გზა არ ვაჩვენებთ, რომ დაბნეულს და დაბურულს ტყეში, რომელსაც აღმოსავლეთის საქმეს ეძახიან.

დიპლომატიამ ამ აზრს გზა აუქცია. თუმცა ამ ბოლო დროს ვითომ გულმტკიცებულობაც გამოიჩინა სლავიანებისადმი...

ევროპის დიპლომატიის მოღვაწეობას ერთი ხასიათი სჭირს: მას ერთი ნაბიჯიც არ გადაუდგამს სლავიანების განთავისუფლებისათვის. ვისთვის ან რისთვის შრომობს დიპლომატია, ღმერთმა უწყის, ეს კი ვიცით, რომ ბედკრული თავისუფლება სადღაც კუთხეშია მიმალული...

ეხლა კი... ეხლა კი რაღა ეთქმის კაცსა: ომი გამოცხადებულია და სლავიანობის ბედი ომის მიმდინარეობაზედ და შედეგზედ არის დამყარებული<sup>21</sup>.

სავსებით ბუნებრივია, რომ ამ ომს ილია ქავჭავაძემ ოსმალების ბატონობისაგან ქართველი მოსახლეობის განთავისუფლებისა და ქართული მიწა-წყლის დაბრუნების საქმე დაუკავშირა როგორც სავსებით რეალური შესაძლებლობა. 21 აპრილს გამოვიდა „ივერიის“ მე-8 ნომერი, რომელშიც დაიწყო სტატიების ციკლის პუბლიკაცია უკვე საყოველთაოდ აღიარებული სათაფრით — „ოსმალის საქართველო“. გაზეთის ამავე ნომრის სარედაქციო წერილში რუსეთ-თურქეთის ომის ხასიათი მთელი სიღრმით შემდეგნაირად იყო განსაზღვრული: „ასტყდა ომის... ამის მსმენელს გული თავის

<sup>21</sup> გაზ. „ივერია“, 1877, № 7.



ადგილს აღარ აქვს. ომი სისხლის ღვრავა, ომი უბედურებაა, ომი დამთქმელია ადამიანის სიცოცხლისა, ადამიანის ღვაწლისა, მონაგარისა. გული სწუხს და იტანჯება როცა ეს აგონდება. თუმცა ეს ასეა, მაგრამ რა რიგს შედიღურს, დიდებულს სანახაობას წარმოგვიდგენს ხოლმე ის სურათი, როცა თავგანწირული ერი აზღვევებულია, ამხედრებულია, თავისის პატივის, თავისის ღირსების, თავისის ვინაობის და თვისების დაცვისათვის. მაშინ გულს ავიწყდება სიკედილის მეხიცი და სიცოცხლის სიტკბოებაც, მაშინ კაცი გმირია, მაშინ გული ძგერს სულგრძელობისათვის, ვაჟკაცობისათვის, პატიოსნებისათვის. საყოველღეო ჭეშქვი საყოველღეო ცხოვრებისა შორდება კაცსა და კაცი კაცად გამოდის მოედანზედ ან სახელოვანის სიკედილისათვის, ან პატიოსანის სიცოცხლისათვის. რამდენად უფრო შედიღურია, უფრო დიდებულია, როცა ერი ამხედრდება და თავსა სდებს სხვა ერის დასახსნელად, სხვა ერის საფარველად!... აქ მარტო კერძობითი გრძნობა კი არ იტაცებს ადამიანის გულს, არამედ გრძნობა საერთო კაცობრიობისა, რომელსაც, როგორც ზღვას მდინარენი, ესე მიერთმევიან ხოლმე კერძობითი გრძნობანი ადამიანისა.

დღევანდელს ომს ეს გულის აღმტაცი, ეს ზოგადი ღვთაებრივი კაცობრიობის გრძნობა მიუძღვის წინ...<sup>22</sup>

ერთი სიტყვით, მოწინავე ქართველი ინტელიგენცია მწვავედ განიცდიდა იმ მოსალოდნელ სიმძიმეებსა და უბედურებას, ომებს თან რომ მოჰყვებოდა ხოლმე. 1877 წლის

<sup>22</sup> ვაზ. „ივერია“, 1877, № 6.



ომის მიზეზების გარკვევისას კი აღნიშნავდა ყველა მხარის  
 გაგების და გათვალისწინების სირთულეს, ხოლო ~~კერძოდ~~  
 მთავარ მიზეზად მართებულად აღიარებდა ოსმალების  
 ნობისაგან სლავების განთავისუფლების სურვილს. ამ ომში  
 კავკასიის ფრონტის მნიშვნელობისა და, კერძოდ საქართვე-  
 ლოს სტრატეგიული მდგომარეობის გათვალისწინებით კი  
 სამართლიანად მოითხოვდა „ოსმალის საქართველოს“ გან-  
 თავისუფლებას. ამდენად, 1877—1878 წლების რუსეთ-თურ-  
 კეთის ომის განმათავისუფლებელი ხალიათი, ცხადია, უფრო  
 მეტად იზრდებოდა.

1877 წ. მანძილზე „ივერია“ სისტემატურად აქვეყ-  
 ნებდა სტატიების ციკლს სათაურით „ოსმალის საქართვე-  
 ლო“. მე-8, მე-12, მე-13, მე-15, მე-20, 21-ე, 33-ე ნომრებ-  
 ში დაბეჭდილი წერილების ავტორი პეტრე უმიკაშვილი იყო.  
 პირველი წერილის შესავალ ნაწილში ავტორი აღნიშნავდა,  
 რომ XIII საუკუნიდან დაწყებული ექვსასი წლის განმავ-  
 ლობაში წარმოებულმა მტრების შემოსევებმა დაასუსტეს  
 საქართველოს შინაგანი ერთობა და ქვეყნის ნაწილ-ნაწი-  
 ლად დაყოფა გამოიწვიეს. შემდეგ ავტორი ზოგადად მიმოი-  
 ხილავდა ოსმალთა მიერ დაპყრობილ ქართულ ტერიტო-  
 რიებს. მომდევნო წერილებში კი საგანგებოდ ჩერდებო-  
 და ოსმალთა მმართველობის სისტემის დახასიათებაზე და  
 ცალ-ცალკე აჭარის, შავშეთის, ქობულეთის, ლივანასა და  
 კლარჯეთის, ტაოს-კარისა და კოლას, ქანეთის დეტალურ  
 განხილვაზე.

28 აპრილს „ივერის“ მე-9 ნომერში აგრეთვე „ოსმა-  
 ლის საქართველოს“ სათაურით დაიბეჭდა ილია ჭავჭავაძის



წერილი, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. ამ წერილში ი. ჭავჭავაძე ხაზს უსვამდა, რასტორაფელი წარსულის მნიშვნელობას ქართველთა ერთგულნი მსახურ-შეგნების გრძნობის ფორმირებაში. „ყოველი ერი, — წერდა ილია, — თავისის ისტორიით სულდგმულობს. იგია საგანძე, საცა ერი პოულობს თავისის სულის ღონეს, თავისის სულის ბგერას, თვის ზნეობითს და გონებითს აღმატებულებას, თვის ეინაობას, თვის თვისებას. ჩვენის ფიქრით, არც ერთობა ენისა, არც ერთობა სარწმუნოებისა და გვარტომობისა ისე არ შეამსჭვალეებს ზოლმე ადამიანს ერთმანეთთან, როგორც ერთობა ისტორიისა. ერი, ერთის ღვაწლის დამდები, ერთს ისტორიულ უღელში ბმული, ერთად მებრძოლი, ერთსა და იმავე ქირსა და ლხინში გამოტარებული — ერთსულობით, ერთგულობით, ძლიერია. თუნდ დროთა ბრუნვას ერი განეყოს, დაერღვიოს, — მაგრამ მაინც რღვეულთა შორის იღუმალი შემსჭვალეება, იღუმალი მიმზიდველობა იმოდენად სუფევს, რომ სამყოფია ზოლმე ერთი რაიმე შემთხვევა, რათა იფეთქოს, იქექოს დაძინებულმა ისტორიამ და ერსულობამ, ერთგულობამ თავისი ძლიერი ფრთა გაშალოს. ამ დღეში ვართ დღეს ჩვენა და ოსმალეთის საქართველო“<sup>23</sup>.

თავის წერილში ილია მიმართავდა კონკრეტულ ისტორიულ ფაქტებს, რომლებიც მოწმობდნენ სამხრეთ საქართველოს მონაწილეობას გაერთიანებული ქართული სახელმწიფოსათვის ბრძოლაში და ნათელს ჰვენდნენ ამ მხარის

<sup>23</sup> ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IV, თბ., 1955, გვ. 9.



მნიშვნელობას საერთოდ საქართველოს ისტორიაში. რაც შეეხება ოსმალთა ბატონობის შედეგად ამ მხარეში განხორციელებული ანობის გავრცელების ფაქტს, ილია აღნიშნავდა, რომ ერთი ეროვნების შეილება შორის სარწმუნოებრივი სახედასხვაობა სრულებით არ გამოირიცხავდა მაჰმადიან ქართველებს შორის ქართულ ეროვნულ თვითშეგნებას. ილია წერდა: „სარწმუნოების სხვა-და-სხვაობა ჩვენ არ გვაშინებს...“

არ გვანიშნებს მეთქი ჩვენ ის გარემოება, რომ ჩვენ ვშეგნობდით, ოსმალთა საქართველოში მცხოვრებითა, დღეს მაჰმადიანის სარწმუნოება უჭირავთ, ოღონდ მოვიდეს კვლავ ის ბედნიერი დღე, რომ ჩვენ ერთმანეთს კიდევ შევუერთდეთ, ერთმანეთი ვიძმოთ, და ქართველი, ჩვენდა სისიქადულოდ, კვლავ დაუმტკიცებს ქვეყანასა, რომ იგი... დიდის ხნის განშორებულს ძმას ძმურადვე შეითვისებს, თვის პატიოსანს და ღმობიერს გულზედ ძმას ძმურადვე მიიყრდენს თვალში სიხარულის ცრემლ-მოჩრეული ქართველი. და თუ ამისათვის საქირთა, რომ სიხარულის ცრემლის უწინარეს ჯერ ჩვენი სისხლი დაიღვაროს, ნუთუ ქართველი უკუ-დრკება და თავს არ შესწირავს მას, რისთვისაც ორი ათასი წელიწადი თავი უწირავთ ჩვენთა დიდებულთა მამა-პაპათა...“<sup>24</sup>.

სარწმუნოების საკითხთან დაკავშირებით ილიამ ხაზი გაუსვა ქართველებისათვის ისეთ დამახასიათებელ თვისებას, რომელიც ხალხმა სიუყუნეების განმავლობაში მთელი სიცხადით გამოამკლავნა. ეს იყო მთელი ისტორიის მანძილზე სხედასხვა სარწმუნოების მიმართ ქართველების ლოიალური

<sup>24</sup> ილია ქავკავაძე, თხზულებათა სრული კრებული თბ ლომად, ტ. IV, თბ., 1955, გვ. 13—14.





დამოკიდებულება. ამის გამო იღო წერდა: „ქართველმა თავისი სარწმუნოებისათვის ჯვარცმულმა, იცოცხლა ქვეყნის სარწმუნოებისაც. ამიტომაც ჩვენს ისტორიაში არ არის მაგალითი, რომ ქართველს სურვებიყოს ოდესმე სხვისა სარწმუნოების დაჩაგვრა და დევნა. სომეხნი, ებრაელები, თვით მაჰმადიანნიცა, ჩვენს შორის მცხოვრებნი, ამაში ჩვენ ვერაფერს ვერ წაგვავყვედრებენ. სხვა ქვეყანაში სარწმუნოებისათვის დევნილნი და ჩაგრულნი — აქ ჩვენში კპოულობდნენ მშვიდობის-მყოფელს საეანესა და სინდისის თავისუფლებასა“<sup>25</sup>.

ილიას ეს წერილი საყურადღებოა არა მხოლოდ მგზნებარე პატრიოტული მოწოდებებით, არამედ იმ მიდგომით, დაკვირვებებითა, და დასკვნებით, რაც გარკვეულად ნიადაგს უქმნიდა შემდგომ ეროვნულ საკითხზე თეორიული მსჯელობის განვითარებას.

ამრიგად, ოსმალეთის ბატონობის ქვეშ მოქცეული ქართველებისა და ქართული მიწა-წყლის განთავისუფლების საქმე 1877—1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს ბუნებრივად დაისვა, როგორც გადაუდებელი პრობლემა. ხოლო ქართველი ხალხის აქტიური მონაწილეობა ომში<sup>26</sup> ნათელი დადასტურება იყო იმისა, რომ ამ საქმეს ჭეშმარიტად ეროვნული მნიშვნელობა ჰქონდა.

<sup>25</sup> ილია ქავკავაძე, თხზულებათა სრული კრებული ატომად, ტ. IV, თბ., 1955, გვ. 13.

<sup>26</sup> იხ. შ. В. Мегрелидзе, Грузия в русско-турецкой войне 1877—1878 гг., Батуми, 1955; მისვე, Вопросы Закавказья в истории русско-турецкой войны 1877—1878 гг., Тб., 1969.



გასაგებია, რომ იმდროინდელი ქართული პრესა ფარ-  
 თოდ აშუქებდა ომის მსვლელობას როგორც უჩვეულოდ  
 ფრონტზე, ისე ბალკანეთის ნახევარკუნძულზეც. სლავების  
 ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას ქართველი ხალხი  
 დიდი თანაგრძობით ადევნებდა თვალყურს. ბალკანეთის  
 ფრონტზე რუსეთის ვარის რიგებში გმირულად იბრძოდა  
 არაერთი ქართველი. ბალკანელი სლავების დასახმარებლად  
 საქართველოში ფულად სახსრებსაც აგროვებდნენ.

რაც შეეხება საკუთრივ საქართველოს ტერიტორიაზე  
 წარმოებული სამხედრო ოპერაციების გაშუქებას, ამ მხრივ  
 განსაკუთრებული დამსახურება გიორგი წერეთელს მიუძ-  
 ლვის. 1877 წელს ევროპიდან ახლად დაბრუნებული პეტერ-  
 ბურგის გაზეთ „გოლოსის“ სპეციალურ კორესპონდენტად  
 დაინიშნა და ფრონტის ხაზზე დასავლეთ საქართველოში  
 გაიგზავნა. ლიბერალური მიმართულების გაზეთი „გოლო-  
 სი“, რომელსაც ა. ა. კრავესკი და ვ. ა. ბილბასოვი რედაქ-  
 ტორობდნენ, იმ დროს ერთ-ერთი პოპულარული იყო რუ-  
 სეთში და გ. წერეთლის მიერ დაწერილი სამართლიანი ინ-  
 ფორმაცია საქართველოს გარეთ მყოფ მკითხველთა ფართო  
 წრეში დიდ ინტერესს იწვევდა. „გოლოსის“ გარდა გ. წე-  
 რეთლის კორესპონდენცია იბეჭდებოდა აგრეთვე „ტიფლის-  
 კი ვესტნიკში“ და „დროებაშიც“. ავტორი ქადაგებდა სამ-  
 ხრეთ საქართველოს ოსმალებისაგან განთავისუფლებასა და  
 რუსეთთან შეერთების გზით საქართველოსთან კვლავ გაერ-  
 თიანების აუცილებლობას. ამ კორესპონდენციას გარკვეული



მნიშვნელობა ენიჭება გ. წერეთლის იდეურ-პოლიტიკური მრწამსის გარკვევისათვის<sup>27</sup>.

გ. წერეთლის ამ წერილების უმეტესი ნაწილი შეკრებილია, რუსულიდან ქართულად თარგმნეს და ცალკე წიგნად გამოსცეს შ. მეგრელიძემ და შ. ხანთაძემ<sup>28</sup>.

ომი რუსეთის გამარჯვებით დამთავრდა. 1878 წ. 19 თებერვლს (3 მარტს) კონსტანტინოპოლის მახლობლად სან-სტეფანოში რუსეთსა და თურქეთს შორის დაიდო პრელიმინარული ხელშეკრულება: ბალკანეთის ნახევარკუნძულზე გათვალისწინებული იყო ბულგარეთის ავტონომიური სამთავროს შექმნა. სრული დამოკიდებულება უნდა მიეღოთ სერბიას, ჩერნოგორიასა და რუმინეთს. ბოსნიასა და გერცეგოვინასთვის ავტონომიის უფლების მიცემას ვარაუდობდნენ, რუსეთს კი ბესარაბიის ნაწილი უნდა მიეღო, ხოლო აზიაში — არდაგანი (არტაანი), ბაიაზეთი, ყარსი, ბათუმი და სოღანლულის მთების მიმდებარე ტერიტორიები<sup>29</sup>. მაგრამ რუსეთის ასეთმა წარმატებამ ევროპის სახელმწიფოების, პირველ რიგში, ინგლისისა და ავსტრო-უნგრეთის, შეშფოთება გამოიწვია, მათ სან-სტეფანოს ზავის პირობების გადასინჯვა მოითხოვეს<sup>30</sup>. მოწვეულ იქნა ბერლინის კონგრე-

<sup>27</sup> იხ. შ. გაფრინდაშვილი, ნარკვევები საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან საქართველოში, 1959; ა. ტილაია, გ. წერეთელი, თბ., 1964.

<sup>28</sup> იხ. ვ. ი. გ. წერეთელი, პუბლიცისტიკა, თბ., 1973.

<sup>29</sup> იხ. Сборник договоров Россия с другими государствами, 1856—1917, М., 1952, с. 170.

<sup>30</sup> იქვე, გვ. 176—179.



სი. რუსეთი იძულებული გახდა წასულიყო დათმობებზე ბალკანეთის ნახევარკუნძულზეც და აზიაშიც. მარტო წყნარ ალმდეგობას წააწყდა რუსეთი ბათუმის საკითხშიც, მისგანაა შეძლო თავის სასარგებლოდ მისი გადაწყვეტა<sup>31</sup>. 1878 წ. 1 (13) ივლისს ხელმოწერილ იქნა ბერლინის ტრაქტატი, რომლის ძალითაც არდაგანი (არტაანი), ყარსი და ბათუმი თავისი ოლქებით რუსეთს გადაეცა. აზიაში, თურქეთმა ბაიაზეთი და ალაშკერტის დაბლობი დაიბრუნა<sup>32</sup>.

ამრიგად, აჭარა თავისუფლდებოდა ოსმალთა ბატონობისაგან.

25 აგვისტოს რუსეთის ქარი გენერალ გ. ი. სეიატოპოლკ-მირსკის მეთაურობით ქობულეთის მხრიდან ბათუმში შევიდა. 28 აგვისტოს კი აჭარის ხეობიდან ბათუმში შევიდა გენერალ კ. ვ. კომაროვის ნაწილიც, რომელიც ართვინის ოლქიდან იყო წამოსული. მოსახლეობა რუსეთის ქარს პურ-მარჩილით და ქართული ეკლესიის ზარის რეკვით შეხვდა. 31 აგვისტოს ოსმალთა სამხედრო ნაწილები დერჯიშ-ფაშას მეთაურობით გემით გავიდნენ ბათუმიდან<sup>33</sup>.

ქართული საზოგადოებრიობა მხურვალედ გამოეხმაურა ოსმალთა ბატონობისაგან სამხრეთ საქართველოს განთავი-

<sup>31</sup> იხ. ა. ჩხეიძე, ბათუმი ანგლისის ახლოაღმოსავლურ პოლიტიკაში (1875—1878 წწ.), ბათუმი, 1974.

<sup>32</sup> Сборник договоров России..., с. 204.

<sup>33</sup> იხ. Т. Т. Стефанов, Исторический очерк вступления русских войск в город Батум 25 августа 1878 г., в книге «Батум и его окрестности», Батум, 1906, с. 88—111.



სუფლებას და დედასამშობლოსთან აკლავ შეერთებას. ი. გოგებაშვილი წერდა: „ბერლინის ხელშეერთებამ: ჩვენ ერთი დიდი სიკეთე შეგვქონა... ჩვენი ძმებმა ჩვენს მამას ბოროცი, ჩვენთან ერთად „მებრძოლი შავის ბედისა“, ჩვენის გმირების ბუდე. ჩვენის უწინდელის განათლების და სწავლის აკვანი, ჩვენი ძველი საქართველო, — დღეს ჩვენ შემოგვიერთდა...“<sup>34</sup>.

1878 წლის 20 ნოემბერს თბილისში მოიპატივეს აჭარის დეპუტაცია. ქართველმა საზოგადოებამ დ. ყიფიანის ინიციატივით გამართა ბანკეტი. მასპინძლობდნენ გრ. ორბელიანი, დ. ყიფიანი, ა. წერეთელი, პ. უმიკაშვილი, ს. მესხი, გ. წერეთელი და სხვ. აჭარის დეპუტაციას შეადგენდნენ ხუსეინ-ბეგ ბეჟან-ოღლი, შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილი, ხუსეინ-ბეგ აბაშიძე, ხასან-ბეგ ბეჟან-ოღლი, სული-ბეგ-ზადე მაჭაბლელი, ახმედ-ეფენდი ხალვაში (მარადიდელი), ნური-ბეგ ხიმშიაშვილი (შავშეთიდან), ოსმან-ალა მაკრიალელი (გონიოდან), ემინ-ეფენდი მუფთი-ზადე (არტანუჯიდან), მუფთი ეფენდი სურმანიძე (ქედიდან), მუფთი-ეფენდი, სალიხ-ეფენდი-ზადე და სხვ.

ბანკეტზე ამაღელვებელი სიტყვები წარმოთქმევს გრ. ორბელიანმა, ა. წერეთელმა, დ. ყიფიანმა<sup>35</sup>.

მოწინავე ქართველმა საზოგადოებამ დიდი ზრუნვა გამოიჩინა ახლად შემოერთებული მოსახლეობის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

<sup>34</sup> ი. გოგებაშვილი, თბულებანი, ტ. I, აბ., 1955, გვ. 168.

<sup>35</sup> ვახ. „დროება“, 1878, № 239.



1879 წ. 13 თებერვალს გაზეთ „დროების“ 32-ე ნომერში გ. წერეთელმა აღწერა ის მდგომარეობა, რომელიც წარმოადგენდა ქობულეთის მხარეში<sup>36</sup>, ხოლო 1879 წლის თებერვლის „შინაურ მიმოხილვაში“ ილია ჭავჭავაძე საგანგებოდ შეეხო აჭარაში შექმნილ მდგომარეობას. „ყოველ მხრიდან ისმის, — წერდა ილია, — რომ ჩვენი მოძმენი აჭარელები და ქობულეთლები ძალიან ცუდს მდგომარეობაში არიან...“.

„ნამეტნავად კინტრიშის მხარაა თურმე საშინელს ყოფაში და გაჭირვებაში...“<sup>37</sup>, ამიტომ ილია ჭავჭავაძე ყველას მოუწოდებდა: „ხელი გაუწოდე შენს ძმებსა და დებსა. რომელნიც დღემდინ შენთვის დაკარგულნი იყვნენ და რომელნიც დღეს შენთანვე მოვიდნენ! შევეწივნეთ, რითაც შეგვიძლიან, ფულით, საქმლით, საცმლით, ხორაგით! ამას ითხოვს ყველასაგან საზოგადოდ კაცთმოყვარეობა და ჩვენთვის კი საკუთრად ზნეობითი მოვალეობაც ძმისა ძმის წინაშე...“

...იმედი გვაქვს, რომ ყოველსფეროში გულუბვი ქართული, ქველის საქმეში უფრო გულუბვობას გასწევს და არ დაიზარებს გაჭირვებულ ძმათათვის შესაწირავს. რედაქციები „ივერიისა“ და „დროებისა“ ყოველ-დღე მზად არიან მავ შესაწირავის მისაღებად...

აბა, ქართველობავ, ეხლა შენ იცი, როგორ დაანახებ თავს შენს ახლად შემოერთებულს ძმებსა! ეხლა შენ იცი,

<sup>36</sup> იხ. გ. ი. ო. გ. წ. წ. ე. თ. ე. ლ. ი. პ. ბ. ლ. ც. ს. კ. ა. გ. გ. 224—234.

<sup>37</sup> ილია ჭავჭავაძე, თბუღლებათა სრული კრებული, ტ. V, 33-27, 29.



რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის  
საკითხები 6. ბერძენიშვილის შრომებში\*

(6. ბერძენიშვილის დაბადებიდან 70 წლისთავის გამო)

გამოჩენილი ქართველი საბჭოთა მეცნიერის ნ. ბერძენიშვილის შრომათა რიცხვს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის პრობლემებისადმი მიძღვნილი სპეციალური გამოკვლევებიც ეკუთვნის.

ისტორიის შემეცნების მარქსისტულ-ლენინური მეთოდის დაუფლებამ, დიდმა ერუდიციამ, მახვილმა კრიტიკულმა აზრობამ, ცალკეული ისტორიული ფაქტების მიღმა ისტორიულ მოვლენათა დანახვის უნარმა, სამაგალითო მეცნიერულმა კეთილსინდისიერებამ შესაძლებლობა მისცა ნ. ბერძენიშვილს ახლებურად, საბჭოთა მკვლევრისათვის დამახასიათებელი სიღრმით გაეშუქებინა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის მრავალი საკვანძო საკითხი.

პრინციპულად ახალი, რაც ნ. ბერძენიშვილმა ისტორიოგრაფიაში ამ პრობლემის შესწავლა-გაშუქების საქმეში შეიტანა, არის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის არსის ახსნა, ურთიერთობის განვითარების ხასიათის განსაზღვრა.

\* პირველად დაიბეჭდა ჟურნალ „მეცნეში“ 1964, № 6.





წინამორბედი მკვლევარებისაგან განსხვავებით, ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს საზოგადოებრივი ეკონომიკის ისტორიიდან გამომდინარე, მეზობელ ქვეყნებთან: სომხეთსა და აზერბაიჯანს ურთიერთობას მრავალმხრივ (პოლიტიკურ, სამეურნეო ეკონომიკურსა და იდეურ-კულტურულ სფეროში) იხილავს.

ნ. ბერძენიშვილმა ახსნა საქართველოში ფეოდალიზმის გენეზისი და მისი განვითარების სინათლეზე გააშუქა სხვა ქვეყნებთან საქართველოს ურთიერთობის ხასიათი. მანვე გაამახვილა ყურადღება საქართველოს ისტორიის ისეთ მოვლენებზე, როგორცაა „ულუსობა“, „ოსმალობა“, „ყიზილბაშობა“ (ფეოდალიზმის ბარბაროსული სისტემები) და თვალნათლივ გვიჩვენა, თუ როგორ ემუქრებოდა ის გაქრობით „ქართველობას“, ე. ი. ქართულ სოციალურ-პოლიტიკურსა და ეკონომიკურ წყობას. ქართული ფეოდალური საზოგადოების პროგრესული ნაწილის „გამოხსნა-აღდგომისათვის“ ბრძოლის გაშუქებისას და ფეოდალური საზოგადოების „ჩინიდან“ გამოსვლის პირობების შესწავლისას ნ. ბერძენიშვილი არკვევს საქართველოს რუსეთთან დაკავშირების ისტორიულ აუცილებლობას, მის უაღრესად აქტუალურ მნიშვნელობას.

განსხვავებით წინამორბედი მკვლევარებისაგან, რომელთა შეხედულებებითაც საქართველო მხოლოდ „მფარველის“ ნაძიებელი იყო, ხოლო ქართული ფეოდალური დიპლომატია უმწეო და ჩამორჩენილი, ნ. ბერძენიშვილმა დოკუმენტური მასალის კრიტიკული გაანალიზებით გვიჩვენა, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა აღმოცენდა ორივე სახელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების საფუძ-



ველზე. ინიციატორად კი ორივე მხარე თანაბრად გამოდი-  
ოდა.

ქართული  
ენის ინსტიტუტი

საგარეო ურთიერთობის ისტორიის პრობლემებზე  
ხილვისას ნ. ბერძენიშვილი საკითხის ისტორიოგრაფიასაც  
შეეხო. მაგალითად, მან აღნიშნა, რომ ფეოდალური ხანის  
ქართული ისტორიოგრაფიის ყურადღება საგარეო ურთიერ-  
თობის დარგში უპირატესად ომებისაკენ იყო მიქცეული და  
მეზობელ ხალხებთან იდეურ-კულტურული და სამეურნეო-  
ეკონომიკური ურთიერთობანი ყურადღების გარეშე რჩებო-  
და. საბჭოური ისტორიოგრაფიის ამოცანების განსაზღვრისას  
ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს, რომ რუსეთ-საქართველოს პო-  
ლიტიკური ურთიერთობის საკითხებს ადრე არაერთი ავტორ-  
ი შეხებია, მაგრამ იშვიათია ისეთი, რომელიც თანაბარი  
გულისყურით მოპყრობოდეს საკითხის როგორც რუსულ,  
ისე ქართულ მხარეს, „...ამიტომ, ეს უ რ თ ი ე რ თ ო ბ ი ს  
საკითხი არა მხოლოდ ც ა ლ ი ს მ ხ რ ი თ („რუსეთის პოლი-  
ტიკის თვალსაზრისი“ ან „საქართველოს პოლიტიკის თვალ-  
საზრისი“), ც ა ლ მ ხ რ ი ე ა დ ა ც გამუქებული გამოიყურე-  
ბა“<sup>1</sup>. მკვლევარი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ დიპლომა-  
ტიურ-პოლიტიკური ურთიერთობის რთული სურათის გაშუ-  
ქება მოითხოვს მრავალი საკითხის შესწავლას და, კერძოდ,  
გარკვევას, თუ რა რეალურ მოტივებს მოპყავდა რუსეთი  
იმერკავკასიისაკენ, რა პირობებითა და რა საშუალებით მო-

<sup>1</sup> ნ. ბერძენიშვილი, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის  
ისტორიიდან XVI—XVII საუკუნეთა მიწნაზე. „მასალები საქართველოს  
და კავკასიის ისტორიისათვის“, 1944, ნ. I, გვ. 5.



დიოდა ის; რა განსაზღვრავდა საქართველოს სახელმწიფო მოღვაწეთა პოლიტიკას რუსეთთან ურთიერთეჭიჭედე და როგორი იყო ორივე მხარის საერთაშორისო პოლიტიკური პოზიციები. „მოკლედ, — დაასკვნის ავტორი, — რა რეალურ ისტორიულ საფუძვლებზე ვითარდებოდა ამა თუ იმ დროს რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობა, სად და რაში იყო ამ ორი ქვეყნის ინტერესთა თანხმობის თუ უთანხმობის მომენტი“<sup>2</sup>.

სწორედ ამ მაღალი მოთხოვნილების პრინციპების შესაბამისად აქვს შესრულებული თავისი შრომები ნ. ბერძენიშვილს.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიაში მკვლევარი გამოჰყოფს ეტაპებს, იძლევა მათ დახასიათებას, რაც მეცნიერული პერიოდიზაციის დადგენის საფუძველს წარმოადგენს. პირველ ეტაპად ასახელებს X—XII საუკუნეების პერიოდს, როდესაც კიევის რუსეთი და საქართველო ურთიერთს უკვე კარგად იცნობდნენ და პოლიტიკურსა და კულტურულ ასპარეზზე ერთიმეორესთან თანამშრომლობდნენ.

ამ პერიოდის შესახებ მეცნიერი არაერთ საყურადღებო მოსაზრებას გამოთქვამს თავის რეცენზიაში პროფ. ი. ცინცაძის ნაშრომზე „ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან“. უპირველეს ყოვლისა, იგი სვამს კითხვას ამ ურთიერთობის ხასიათის, მისი ბუნების შესახებ,

<sup>2</sup> ნ. ბერძენიშვილი, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI—XVII საუკუნეთა მიჯნაზე, გვ. 5.



სახელდობრ, „თუ რას წარმოადგენდნენ ამ ურთიერთობის კონტრაგენტები... რა ხასიათის მოვლენა იყო რუსეთის მხრიდან ბარდავის აღება, ტმუტარაკანის სამეფო ვარანგების მიერ ტმუტარაკანის ლაშქარში, ქართველები ბიზანტიაში“<sup>3</sup> და სხვ.

აღსანიშნავია, რომ მკვლევარი თავის რეცენზიაში ზოგიერთი ფაქტის დადგენისას ავითარებს და წყვეტს საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვან საკითხებსაც. მაგალითად, როდესაც ნ. ბერძენიშვილი იხილავს „მატიანე ქართლისაჲ“-ს ცნობას ბაგრატ მეფესა და ლიპარიტ ერისთავს შორის ბრძოლაში ვარანგების მონაწილეობის შესახებ, არქეოგრაფიის თვალსაზრისით საინტერესო დაკვირვებამდე მიდის. იძლევა მატიანის ტექსტის შესწორებას. ხოლო საქართველოში რუსი უფლისწულის შემოყვანა-გაძევების ამბების განხილვისას ეხება XII საუკუნის საქართველოში სოციალური ბრძოლისა და მართვა-გამგეობის წესების საკითხებს (საერო და საეკლესიო ხელისუფლთა მონაწილეობა სახელმწიფო მმართველობაში, მეფე-ქმრის უფლებები, მეჭურჭლეთუხუცესის თანამდებობა, ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესობა და სხვა), იძლევა მნიშვნელოვან მოსაზრებებსა და მეცნიერული კვლევა-ძიების შესანიშნავ მაგალითს.

იწონებს რა ი. ცინცაძის ნაშრომს, ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს: „მრავალმეტყველოა ჩვენი ავტორის მიერ (ი. ცინცაძის მიერ, გ. პ.) შემოკრებილი ცნობები. X საუკუნეში იწყება რუსთა და ქართველთა ურთიერთგაცნობა.

<sup>3</sup> ნ. ბერძენიშვილი, იასე ცინცაძე, ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან. „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, 1951, ნ. 29, გვ. 302.



XI საუკუნეში ეს ურთიერთობა ამ ორ ხალხს შორის კიდევ უფრო ძლიერი ჩანს, როგორც ბიზანტიმის მემკვიდრეობით (კეისრის კარი, კონსტანტინოპოლი), ისე უშუალოდ შეხვედრებითაც. შეიძლება მტკიცება, რომ XI საუკუნეში ქართველები ქირობენ ვარანგებს (ბაშელები...).

XII საუკუნეში საქართველოს პოლიტიკური წონა ახლო აღმოსავლეთში განსაკუთრებით იზრდება. ის ბიზანტიის თანასწორობას ჩემობს. ამ დროს მისი პოლიტიკური და კულტურული გავლენა იმეერკავკასიაში სრულიად უდავოა. კიევის რუს მთავრებს, რაღა საეჭვოა, საქართველოზე გარკვეული ცოდნა ჰქონდათ. ქართველებსაც საკმაოდ უნდა სცოდნოდათ რუსთა დიდი სამთავრო. თუ ინტენსიური პოლიტიკურ-კულტურული ურთიერთობა არა, ქართველი დედოფლის გათხოვება იზიასლაგზე ყოველად წარმოუდგენელი იქნებოდა. ყივჩაყეთი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მოსაშუალებელია: ზღვის გზა. ამ მწკრივში თამარის საქმროდ რუსი უფლისწულის შერჩევის ფაქტს სრულიად ახალი შუქი ეფინება“. დაბოლოს დასძენს: „ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ორ ხალხს შორის ურთიერთობის კვლევისას ეს (ე. ი. ცნობების შეკრება, გ. პ.) არის შრომის პირველი საფეხური. შემდგომი, და უმთავრესი, ამოცანაა ამ ურთიერთობის კვალიფიკაცია: როდის როგორია ეს ურთიერთობა, ვინ ვის როგორ საჭიროებს, ვინ ვის როგორ უყურებს, ვინ ვისგან უპირატესად სესხულობს, ვინ ვის უპირატეს გავლენას განიცდის და სხვ.“. ამასთან დაკავშირებით ნ. ბერძენიშვილი ხაზს უსვამს ქართველი ოსტატის მიერ დიდ ნოვგოროდში ნერედიცას ტაძრის (1185



წ.) კედლის მხატვრობის (მისი გარკვეული ნაწილები შენენი) შესრულებას.

გიგლიჩიძის

შემდგომ ეტაპად ნ. ბერძენიშვილი გამოყოფს XIII—XV საუკუნეების პერიოდს, როდესაც ორივე ქვეყანას საერთო ჭირი ეწვია მომთაბარე მონღოლთა ურდოების შემოსევის სახით. მისი შენიშვნით, აღნიშნული ხანის ურთიერთობის ცნობების უქონლობა საკმარისი არ არის იმაში დასაბუთებლად, რომ მონღოლთა ბატონობას ძველ რუსეთსა და საქართველოს შორის არსებული ურთიერთობის ძაფი მთლად გაეწყვიტოს. მკვლევარს შესაძლებლად მიაჩნდა, რომ ამ პერიოდში ურთიერთობა მცირედ მაინც ბოვინებდა; კერძოდ, ნ. ბერძენიშვილი არ გამორიცხავს რუსებსა და ქართველებს შორის სავაჭრო ურთიერთობის არსებობას ასტრახანვოლგის მეშვეობით. ამის ერთ-ერთ მაჩვენებლად მკვლევარი მიიჩნევს ალექსანდრე კახთა მეფის წიგნს მოსკოვის მეფისადმი 1491 წელს გაგზავნილს.

გარკვეულ ეტაპად რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიაში ნ. ბერძენიშვილი მიიჩნევს 1491—1492 წლებს, როდესაც მოსკოვში საქართველოდან პირველი ელჩობა ჩავიდა.

ზემოდასახელებულ რეცენზიაში მკვლევარი სვამს კითხვას, თუ რა ნიშნის მიხედვით შეიძლება ამ ახალი პერიოდის გამოყოფა, და აღნიშნავს, რომ მონღოლების ძლიერების დაცემა არც ქრონოლოგიურ ნიშნად გამოდგება და არც სხვა რაიმე ნიშნად. ასეთი განმასხვავებელი ნიშანი, ამბობს ავტორი, თვით ურთიერთობის შინაარსში მდგომარეობს.



ჩვენს ისტორიოგრაფიაში ამ ელჩობის საკითხს შესწავლა ი. ცინცაძეს ეკუთვნის. ის აკვირდება არქივულ წყაროებს და აღმოაჩენს კლოსურ ცნობას იმის შესახებ, რომ 1492 წელს ჩინური წყაროების დიდ მთავარს ივერიის ქვეყნიდან მხლებთა ალექსანდრე მეფის ელჩი მურატი და ამასთან დაკავშირებით მეორე საბუთის ანალიზს იძლევა. ესაა ალექსანდრე ივერთა მეფის მოკითხვის წიგნი მოსკოვის დიდ მთავართან<sup>4</sup>. ავტორი არკვევს ამ დოკუმენტის სადავო თარიღს, ათარღებს მას 1491 წლით და ამტკიცებს, რომ ეს საბუთი ალექსანდრე I (1476-1511) კახთა მეფეს ეკუთვნის. მანვე შემოგვთავაზა 1492 წლის ელჩის მურატისა და ალექსანდრე მეფის მოკითხვის წიგნში ნახსენები ელჩების *е...Наримана Дамияна к твоему порогу* (ე. ი. მოსკოვის დიდი მთავრის კარზე, გ. პ.) *послали есмь; Хоземарума шекенца в товарищах с ними же послали есмь* ერთ ელჩობად გააზრება. ნ. ბერძენიშვილი იზიარებს ი. ცინცაძის ამ მოსაზრებას, არკვევს ელჩობის შემადგენლობის საკითხს და შემოაქვს უფრო მისაღები კონიექტურა, რომ Хоземарум шекенец შეიძლება იყოს შაქელი ვაჭარი ხოჯა მურადი, რომლის სახელი „მოკითხვის წიგნის“ რუსული თარგმანის გადანაწერში Хоземарум-ად ქცეულა, ხოლო კვინკლოსურ ჩანაწერებში ამ რთულ სახელს ტიტული ხოჯა (хозя) ჩამოცილებია და გადარჩენილა მარტივი Мурат.

გარდა ამისა, რეცენზენტი გამოთქვამს ფრიად საინტერესო მოსაზრებას ელჩობის მიზეზებისა და მიზნების შესახებ.

<sup>4</sup> ამ ელჩობის შესახებ სხვა რაიმე საბუთი ჩვენ ან მოგვეპოვება.



ხებ. „XVI საუკუნის მეორე ნახევარში, — წერს ნ. ბერძენი-  
 შვილი, — როცა მოსკოვის სახელმწიფო ყაზანსა და ასტრახანსაც,  
 და ასტრახანსაც, კახეთის მეფე (ლევანი) ფრთხილად ზვე-  
 რავს მოსკოვის მეფის შესაძლებლობას და მის პოლიტიკურ  
 დაინტერესებულობას ახლო-აღმოსავლეთში. დასაშვებია,  
 რომ XV საუკუნეში, როცა მოსკოვის სახელმწიფოს საზღვ-  
 რები აგრე შორს იყო ახლო-აღმოსავლეთის სამეაროდან,  
 ალექსანდრე კახთა მეფეს რეალური ვარაუდები ჰქონდა მოს-  
 კოვის მხრით რაიმე დახმარების მიღებისა თუნდაც თურქმა-  
 ნების ერანთან ურთიერთობაში? თითქო შეიძლება ვიფიქ-  
 როთ, რომ ამ ელჩობის კონკრეტული მიზანი არც ერანი უნ-  
 და ყოფილიყო და, მით უფრო, არც ოსმალეთი. კახთა მე-  
 ფემ XV საუკუნის მიწურულს შეიტყო მოსკოვის დიდი მთავ-  
 რის წარმატებათა შესახებ (თათართა გატეხა, ყაზანის და-  
 მორჩილება), მოსკოვის სახელმწიფოს სიმდიდრისა და გაძ-  
 ლიერების შესახებ და ალექსანდრე მეფე ზვერავს მას, ბუ-  
 ნებრივია, სიამოვნებს დიდი საქრისტიანოს წარმოქმნა და  
 გზავნის მოსკოვის დიდ მთავართან ელჩებს მოკითხვის წიგ-  
 ნით (ნავალი დიდვაჭარი შაქელი ხოჯა მურადი ასეთ ელჩო-  
 ბაში სასურველი პერსონაა). ასეთ პირობებში არაა სავალ-  
 დებულო ვეძიოთ, თუ რა კონკრეტული პოლიტიკური წინა-  
 დადებია მიჰქონდათ ამ ელჩებს მოსკოვის დიდმთავართან  
 ასეთი წინადადებანი, ჩვეულებრივ გამოითქმის მაშინ, რო-  
 ცა საამისო წინასწარი მუშაობა უკვე საკმაოდაა გაწეული და





ამ წინადადებათა ხორცშესხმის რეალურობა მეტწილად გარკვეულია<sup>5</sup>.

XVI საუკუნიდან, აღნიშნავს მკვლევარი, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა ახალ ხასიათს იღებს. ამ საკითხის გარკვევისათვის ითვალისწინებს იმ დროს შექმნილ საერთაშორისო ვითარებას, კერძოდ იმას, რომ მოსკოვის სახელმწიფო თათართა ურდოებზე იმარჯვებდა, კავკასიის უახლოვდებოდა და ოსმალეთს სამტროდ უპირისპირდებოდა, ხოლო დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები კაპიტულაციებით ოსმალეთს ესაქმებოდნენ. ავტორი დასძენს, რომ ასეთ ვითარებაში საქართველოში შემუშავდა იდეა აღმოსავლეთის განთავისუფლებისა არა კონსტანტინოპოლის გზით, არამედ ჩრდილოეთიდან, დარუბანდის გზით. მკვლევარის დასკვნით, „ეს იყო მაჩვენებელი იმისა, რომ ბარბაროსული ფეოდალიზმის წინააღმდეგ პროგრესისათვის მებრძოლი კავკასიელი ხალხები გამარჯვების საბოლოო იმედს რუსეთთან კავშირზე ამყარებდნენ“.

1587—1589 წლებში გაფორმდა პირველი აქტი რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობის შესახებ. ეს იყო ქართული დიპლომატიის პირველი ცდა—რუსეთთან კავშირის მეშვეობით გაერღვია მტრული გარემოცვა. ამ საკითხების გამოკვლევას ნ. ბერძენიშვილმა მიუძღვნა თავისი მონოგრაფია „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII საუკუნეთა მიჯნაზე“.

<sup>5</sup> ნ. ბერძენიშვილი, იასე ცინცაძე, ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობიდან..., გვ. 336.



ამ შრომაში ავტორი იძლევა კავკასიაში რუსეთის თურქეთისა და ირანის ინტერესების გადახლართვის დროშის ქვეშ და აშუქებს კახეთის მეფის ალექსანდრე II (1574-1605) დიპლომატიას, რომელიც თავის დროსა და პირობებში მარჯვედ ახერხებდა საქართველოს ინტერესების დაკავშირებას ახლო აღმოსავლეთის საერთაშორისო პოლიტიკის საკითხებთან. ნ. ბერძენიშვილის დასკვნით — „ალექსანდრე კახთა მეფის მიერ საქართველოს საკითხის ეს დიპლომატიური გამართვა *mutatis mutandis* სახელმძღვანელოდ რჩებოდა ჩვენი ქვეყნის ყველა შემდგომ მსხვილ პოლიტიკოსისათვის“.

ნაშრომში ცხადად ჩანს ალექსანდრე კახთა მეფის მიწრაფება — გამოეყენებინა რუსეთის სახელმწიფოს პოლიტიკა თავისი ინტერესებისათვის. კერძოდ, ერთი მხრით, მას სურდა თურქეთის აგრესიისაგან კახეთის დაცვის მიზნით და სულთანის ერთგული შამხალის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოეყენებინა რუსეთი, როგორც სამხედრო მოკავშირე, მეორე მხრით, რუსეთ-ირანის ურთიერთობაში მოსაშუალებედ გამოსულიყო და რუსეთის მფარველობის ქვეშ საქართველოს გაერთიანებისა და აღდგომისთვის მიეღწია.

აღსანიშნავია, რომ ალექსანდრე კახთა მეფის ამ პოლიტიკური კურსის გაშუქებისას მკვლევარი მისთვის დამახასიათებელ დროს განზოგადებას იძლევა და დაასკვნის, რომ კახეთის მეფის კარზე შემუშავებული დიპლომატიური ფორმულა — საქართველო (მოსკოვის ხელდებული) რუსეთ-ირანის კავშირის მოსაშუალებე — შემდგომ, ორი საუკუნის განმავლობაში, არაერთხელ წამოუყენებიათ საქართველოსა და ირან-



რუსეთის ურთიერთობაში ქართველსა თუ რუს პოლიტიკურ მოღვაწეებს (პეტრე I, ვახტანგ VI, თეიმურაზ I, ერეკლე II), ხოლო ალექსანდრეს კარზე ჩასახული გეგმა საქართველოს გაერთიანებისა რუსეთის დახმარებით და მის მოკავშირედ („ხელდებულად“) ქართველ სახელმწიფო მოღვაწეთა სამოქმედო პროგრამად იქცა XVII-XVIII საუკუნეებში, რუსეთ-საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობის მთელ სივრცეზე.

ნ. ბერძენიშვილი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ საქართველოში ბრძოლა ქვეყნის გაერთიანებისათვის არასოდეს შეწყვეტილა და აღნიშნავს, რომ თუ ეს ბრძოლა წარმატებით არ დასრულდა, ამის მიზეზი დამშლელი ძალების სიჭარბე იყო.

მკვლევარი ქვეყნის გაერთიანების ხელისშემშლელ ორ ძირითად მიზეზს ასახელებს: 1. საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურ წყობილებას (თავადურ-ბატონყმურ სისტემას) და 2. უცხოელ დამპყრობთა ცდებს ქვეყნის დასაშლელად.

ავტორი აღნიშნავს, რომ ქართველი პოლიტიკოსები სხვადასხვა გზით ცდილობდნენ ქვეყნის გაერთიანების დაბრკოლებათა გადალახვას. „ქვეყნის გაერთიანებას,— წერს ავტორი, — ცდილობდნენ ოსმალეთის ხელქვეშ (სიმონ ქართლის მეფე, ალექსანდრე კახთა მეფე, გიორგი იმერეთის მეფე, გიორგი სააკაძე, თეიმურაზ I, ერეკლე II), ერანის ხელქვეშ (გიორგი სააკაძე, ვახტანგ V), რუსეთის ხელქვეშ (ალექსანდრე კახთა მეფე, თეიმურაზ I, ვახტანგ VI, ერეკლე II) და ყველა „მფარველისაგან“ დამოუკიდებლად (დავით ქართლის მეფე, ლუარსაბ I „სამივე ტახტის გამაერთიანებელი“.



მაგრაც იმერეთის მეფე, თეიმურაზ I, გიორგი და არჩილ, ვახტანგ VI)<sup>6</sup>.

ამასთან დაკავშირებით ნ. ბერძენიშვილი იხილავს მალეთის, ირანისა და რუსეთის პოზიციას საქართველოს მიმართ და აღნიშნავს, რომ ვერც ირანი და ვერც ოსმალეთი ვერ იქნებოდნენ საქართველოს გაერთიანების მოღვაწენი, რადგან მათი ინტერესები ქვეყნის დამლა-დასუსტებას ითხოვდა: „თუ ირანი ან ოსმალეთი საქართველოს ერთ პოლიტიკურ ორგანიზაციად გადააქცეედა, —წერს ნ. ბერძენიშვილი, — ეს „საქართველო“ კი აღარ იქნებოდა, არამედ ყიზილბაშური „გურჯისტანი“—სახანო, ან ოსმალური „გურჯისტანის ეილაიეთი“ — საფაშო, ე. ი. ყოფილი საქართველო გამაჰმადიანებულ-გადაგვარებული... ამდენადვე ყოველი ცდა ირანის ან ოსმალეთის ხელქვეშ და მათი დახმარებით საქართველოს გაერთიანება-გადარჩენისა უნდა მარცხით დამთავრებულიყო. ასეც ხდებოდა. და ქართველი პოლიტიკური მოღვაწენი ღრმად რწმუნდებოდნენ, რომ არც ირანი („ფოცხვერი“) და არც ოსმალეთი („ბაბრი“) ჩვენი ქართველობით გაერთიანება-გაძლიერებას მზარს არასოდეს დაუშერდნენ“<sup>7</sup>.

მკვლევარი აღნიშნავს, რომ ქართველ პოლიტიკოსებს სულ სხვაგვარად ეჩვენებოდათ გაერთიანების საკითხი

<sup>6</sup> ნ. ბერძენიშვილი, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI—XVII საუკუნეთა მიწნაზე, გვ. 128.  
<sup>7</sup> იქვე, გვ. 128—129.



ერთმორწმუნე რუსეთის დახმარებით. მისი შენიშვნით, რელიგიური ერთობა დიდმნიშვნელოვანი მუქებების წინაშე საუკუნეებში და, განსაკუთრებით, ახლო აღმოსავლეთის საერთაშორისო ურთიერთობაში. იგი თითქო მკვიდრი საფუძველი უნდა ყოფილიყო ამ ორი ხალხის კავშირისათვის. ხოლო ძლიერი მოკავშირე-ხელდებული შორეულ ამიერკავკასიაში თითქოს ხელსაყრელი და სასურველი უნდა ყოფილიყო მოსკოვის აღმოსავლური პოლიტიკისათვის, რადგან ოსმალეთთან და ირანთან მეტოქეობაში რუსეთი რეალურ მოკავშირეებს ეძებდა.

ავტორის დასკვნით, ქართველ პოლიტიკოსებს ღრმად სწამდათ, რომ რუსეთ-საქართველოს ინტერესთა ეს თანხმობა მტკიცე საფუძვლად დაედებოდა საქართველოს გაერთიანება-გაძლიერებას; მათი ამ რწმენის განმტკიცებას; ხელს უწყობდა რუს პოლიტიკოსთა მოქმედებაც. მოსკოვიდან არაერთგზის მოუწოდებდნენ ქართველ მეფე-მთავრებს ქვეყნის ძალთა გაერთიანებისაკენ, რუსეთის მეფის მფარველობის ქვეშ საქართველოს ძლიერების აღდგენისაკენ; არაერთ ქართველ მეფეს პირდებოდნენ გაძლიერებას.

ამასთან დაკავშირებით ნ. ბერძენიშვილი იხილავს რუსეთის ხელისუფალთა პოლიტიკას ამიერკავკასიის მიმართ XVII—XVIII სს-ში და აღნიშნავს იმ კარდინალურ ცვლილებას, რომელიც მან განიცადა XVIII ს. ბოლო მეოთხედსა და XIX ს. დასაწყისში.

„...მთავრულ რუსეთისათვის — წერს ავტორი — ხელდებულის გაძლიერება-გაერთიანება უთუო და უთუმცაო, ყო-



ველ დროს და ეამში სასურველი ვითარება არ ყოფილა...  
 სანამ რუსეთის ამიერკავკასიაში მეტოქეები ჰყავდათ...  
 მათ დასაპირისპირებლად საკმაო საკუთარი ძალები ჰყავდათ...  
 და, ძლიერი მოკავშირე-ხელდებული მისთვის მისაღები იყო  
 (ამ საფუძველს ემყარებოდა როგორც გოდუნოვისეული გეგ-  
 ნა საქართველოს ძალთა გაერთიანებისა მოსკოვის მეფის  
 ხელქვეშ, ისე პეტრე პირველისეული გეგმა, ვახტანგ მეექვ-  
 სეს ამიერკავკასიის საქრისტიანოს მეფედ რომ ჰგულისხმობ-  
 და რუსეთის იმპერატორის მფარველობის ქვეშ. პეტრესეუ-  
 ლი გეგმის დაგვიანებული გამოორება იყო ეკატერინე მეო-  
 რის კარის არაერთგზისი, თუმცა არაერთხმობლივი, საზეიმო  
 დაპირება ერეკლე მეორის მფარველობა-გაძლიერების შე-  
 სახებ). მაგრამ დრო გადიოდა, მოსკოვის სახელმწიფო ძლი-  
 ერდებოდა, ამიერკავკასიის ის თანდათან უახლოვდებოდა;  
 ამ ოდესმე შორეული ქვეყნის უშუალოდ დაუფლება შესაძ-  
 ლებელი ხდებოდა, ძველი მეტოქეები კი სულ უფრო და უფ-  
 რო სუსტდებოდნენ, ხოლო რუსეთის ინტერესები ამიერ-  
 კავკასიისადმი იზრდებოდა,—ამდენადვე ძლიერი და ერთიანი  
 საქართველო მფარველობისათვის საჭირო აღარ იყო, პირი-  
 ქით, ის ამიერიდან არა სასურველიც იყო. ...ამიერიდან არა  
 თუ გაერთიანებული საქართველო ამიერკავკასიაში ჰეგემო-  
 ნობის პრეტენზიით..., გაუერთიანებელი მცირე სამეფოების  
 არსებობაც კი აღარ ეთანხმებოდა ამიერკავკასიის დაპყრო-  
 ბის... გეგმას...

ასე თანდათან რუს პოლიტიკოსთა თვალში „საქართვე-  
 ლომ“ თავისი დრო მოსჭამა. კავკასიის მთავრებილის გადმო-  
 ღმა ამიერიდან მეფის რუსეთის პოლიტიკოსები ჰხედავდნენ



მხოლოდ ტერიტორია Закавказье-ს, რობელის დიდი გარკით გააერთიანეს კიდეც, მაგრამ არა ექსპლუატაციულად, არამედ რუსულ „გუბერნიებად“<sup>8</sup>.

გიგლიჩიძე

დოკუმენტური მასალის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე ნ. ბერძენიშვილი დეტალურად არჩევს ალექსანდრე კახთა მეფის დიპლომატიური მოღვაწეობის ყველა ძირითად მხარეს. ავტორი მთელი სიცხადით გვიჩვენებს, თუ რა საკითხებს აყენებდა და რა ხერხებს მიმართავდა დიპლომატიკურ ალექსანდრე, რა ღონისძიებების გამოყენებას თვლიდა საჭიროდ, რომ რუსეთ-კახეთის კავშირი ნომინალური კი არ ყოფილიყო, არამედ რეალური. ავტორმა გამოიყვლია ის უმთავრესი მიზეზები, რომელთა გამო რუსეთის პირველი აქტიური ჩარევა ამიერკავკასიის საქმეებში მარცხით დამთავრდა.

ყოველივე ამის გარდა, რაც მთავარია, მკვლევარი უარესად რთული წყაროთმცოდნეობითი ხერხებზე გამოყენებით არკვევს ალექსანდრე კახთა მეფისა და რუსეთის მეფე თედორეს შორის დადებული კავშირის ხასიათს. ამ საკითხის უკეთ გაშუქებისათვის და საილუსტრაციოდ ავტორმა თავის ნაშრომს ალექსანდრე მეფის საფიცრის წიგნი და თედორე მეფის წყალობის წიგნის რუსული ორიგინალი და ქართული თარგმანი დაურთო, ხოლო შემდგომ თავის ნაშრომში „მოკიდებული“-სათვის მკვლევარი ავითარებს თავის მოსაზრებას და ქართული ფეოდალური საზოგადოების „მოკიდებულ-

<sup>8</sup> ნ. ბერძენიშვილი, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის..., გვ. 129—130.



თა“ ინსტიტუტის გარკვევისას აღნიშნავს, რომ „მოკიდებული“ („მოკიდული“) სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის გარკვეული სახეობის აღსანიშნავად იგულისხმებოდა ანფეოდალური ხანის მოწმობებში რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობიდან.

ავტორი აკვირდება ალექსანდრე კახთამეფის მიერ 1596 და 1603 წლებში რუს ელჩებთან საუბრისას გამოთქმულ სიტყვებს, რომ ის (ალექსანდრე) რუსეთის მეფის „კალთას მოკიდა“ (ухватился за полу) და, აგრეთვე, 1651 წ. ალექსანდრე იმერთა მეფის მიერ იმავე გამოთქმის ხმარებას და დაასკვნის, რომ ეს გამოთქმა (ухватился за полу) „კალთას მოკიდება“) მჭერმეტყველების ნაყოფი კი არაა, არამედ ტექნიკური ფორმულაა გარკვეული პოლიტიკური ურთიერთობის გამოსახატავად. ნ. ბერძენიშვილის შენიშვნით: „მოკიდებული“ იყო თავისუფალი, თავისი ნებით მფარველობის მაძიებელი, ვინც ასეთ მფარველობას პოულობდა და სამაგიეროდ მფარველს ერთგულების ფიცსაც აძლევდა“. დაბოლოს ავტორი დაასკვნის, რომ „ეტრეკტი კალთას ანუ სამოსლის ფესვს [საბა ორბელიანი, კალთა—სამოსლის ფესვი] მოკიდება ქართულ ურთიერთობაში (დიდი ხნის წინ, შეიძლება, ვიდრე XVI-XVII საუკუნეები) არსებობდა, რომ „კალთას მოკიდებული“ თუ „კალთას მოკიდული“ სოციალურ-პოლიტიკური ტერმინი „მოკიდებულის“ („მოკიდულის“) ერთ-ერთი სახეობა იყო“<sup>2</sup>.

<sup>2</sup> ნ. ბერძენიშვილი, „მოკიდებული“-სათვის, „მომომხილველი“ ტ. I, № 1, 1949, გვ. 52.





მონოგრაფიაში „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII საუკუნეთა მიჯნაზე“ ნ. ბერძენიშვილი ეხება აგრეთვე საქართველოს ისტორიის მსხვილ საკითხსაც. მაგალითად, საქართველო-ირანისა და საქართველო-თურქეთის დამოკიდებულებას, კახეთის სამეფოს მდგომარეობას, მის ურთიერთობას საშამხლოსთან და არკვევს ლეკიანობის არსს. იხილავს კახეთიდან რუსეთს მიმავალ გზებს. გამოთქვამს საყურადღებო მოსაზრებებს ქართული ფეოდალური ლაშქრის წყობისა (როქის სპა, მონა სპა, მორიგე ჯარი) და ციხესიმაგრეების მნიშვნელობის შესახებ შუა საუკუნეების საქართველოში და სხვ.

ნ. ბერძენიშვილმა ამ მონოგრაფიით ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის პრობლემების შეჩვენა-გამოშვების საქმეში ახალი ეტაპი დაიწყო. როგორც სამართლიანად აღნიშნავს პროფ. ვ. ვაბაშვილი, ნ. ბერძენიშვილმა ამ გამოკვლევით ერთბაშად წინ წასწია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხების მეცნიერული შესწავლის საქმე; ავტორის მრავალი დასკვნათუ შეხედულება თანაბრად საყურადღებოა როგორც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის მკვლევართათვის, ისე მაქმადიან მეზობლებთან ურთიერთობის ისტორიის მკვლევართათვის<sup>10</sup>.

XVII-XVIII საუკუნეების რუსეთ-საქართველოს ურთი-

<sup>10</sup> იხ. ვ. ვაბაშვილი, ნ. ბერძენიშვილი, „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII საუკუნეთა მიჯნაზე“, „მომხილველი“, ტ. I, გვ. 461.



ერთობის ისტორიის საკითხებს ნ. ბერძენიშვილი ეხება რამდენიმე სტატიაში<sup>11</sup>, საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოებისა და მრავალტომეული «Очерки истории СССР»-ის სათანადო თავებსა თუ პარაგრაფებში.

ავტორი ხაზს უსვამს იმ ვარემოებას, რომ რუსეთის გამოჩენამ კასპიის დასავლეთ ზღვისპირეთსა და, განსაკუთრებით, აღმოსავლეთ საქართველოში ღრმად შეაშფოთა ირანი, ვინაიდან რუსეთის პოლიტიკა კავკასიაში ქმნიდა ახალ ვითარებას და რეაქცია-ბარბაროსობას ამ მხარეში რეალურად ემუქრებოდა. ამის საპასუხოდ შაჰ-აბასმა, როგორც კი საამისო დრო იხელთა, ყიზილბაშობის წინააღმდეგ მებრძოლი საქართველოს ერთიანი მოსპობა განიზრახა. როგორც შენიშნავს მკვლევარი, შაჰ-აბასის გეგმების ამ მხარეს ადრე ყურადღება არ ექცეოდა და მის ღონისძიებებს ქართველობის წინააღმდეგ მხოლოდ ოსმალეთთან ომით ხსნიდნენ<sup>12</sup>.

XVII საუკუნეში, აღნიშნავს ნ. ბერძენიშვილი, კიდევ უფრო გაღრმავდა და განმტკიცდა ქართველთა თვალსაზრისი, რომ რუსეთი ერთადერთი მოკავშირე იყო. კახეთს გარდა მოსკოვის ხელშეწყობ მფარველობის ხელი დასდო

<sup>11</sup> XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიიდან, „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, 1944, ნ. II; საანგარიშო მოხსენება (მოსკოვ-ლენინგრადში სამეცნიერო მივლინებისა 1946 წ.), „მომომხილველი“, ტ. I, 1949; Путеводитель к выставке «Грузинская колония в Москве» „მომომხილველი“, ტ. III, 1953; საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის, ვერნალი „მნათობი“, 1954, № 6.

<sup>12</sup> ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის, „მნათობი“, 1954, № 6, გვ. 132.



იმერეთსაც, ხოლო რუსეთის დიპლომატიური ღონისძიებანი საქართველოს სასარგებლოდ ირანის შაჰის კავშირზე დაკნინო-შენელობის მორალური ფაქტორი იყო მებრძოლი ქართველებისათვის. ქართული ფეოდალური საზოგადოების პროგრესული ნაწილი დაუცხროშლად იბრძოდა საქართველოს სამეფო-სამთავროების პოლიტიკური გაერთიანებისათვის რუსეთის მფარველობის ქვეშ.

XVIII საუკუნის ოციან წლებს ნ. ბერძენიშვილი გამოყოფს, როგორც საქართველოს რუსეთთან კავშირში მაკმიადიანური გარემოცვის გარღვევის მეორე ცდას, მაგრამ ეს ცდაც შარცხით დამთავრდა. ქართველობის განადგურება სცადეს ჯერ ოსმალებმა (1723—1735), ხოლო შემდეგ ყიზილბაშებმა (1736—1747). ავტორი არკვევს ოსმალობა-ყიზილბაშობის არსს და მის გავლენას საქართველოს სამეურნეო ცხოვრებაზე, ამუშავებს ქართველი ხალხის ბრძოლას უცხოელი მოძალადეების წინააღმდეგ, ამ საკითხებთან დაკავშირებით იგი ეხება მოსკოვის ქართული კოლონიის მნიშვნელობას. „პეტრე I-მა, — აღნიშნავს ავტორი, — საქართველო ოსმალეთს „დაუთმო“, ხოლო მისმა მემკვიდრეებმა უკან დაუბრუნეს ერანს მისგანვე მინატაცები ზღვისპირა ქვეყნები. მაგრამ ეს ფაქტი ოდნავადაც არ არყევდა ქართველ პოლიტიკოსთა რწმენას, რომ რუსეთი მაინც ერთადერთი დიდი ქრისტიანული სახელმწიფოა, რომელსაც ამიერკავკასიაში რეალური პოლიტიკური ინტერესები აქვს და რომ ეს ინტერესები ქართველი ხალხის პოლიტიკურ მისწრაფებას არ ეწინააღმდეგება. მოსკოვის



ქართული კოლონია ქართველთა ასეთი რწმენის გამოსახელება იყო. მთელი XVIII საუკუნის კოლონია ძლიერად ზემოქმედებდა საქართველოს პოლიტიკაზე. მან, უდავოა, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რუს და ქართველ ხალხთა პირველ დაახლოების საქმეში<sup>13</sup>.

მეგზურში<sup>14</sup> კი, რომელიც შედგენილი იყო მოსკოვის დონის მონასტრის მუზეუმისათვის, სადაც მზადდებოდა გამოსაფენად მასალა მოსკოვის ქართველთა კოლონიის შესახებ, ნ. ბერძენიშვილი არსებითად კოლონიის ისტორიის პერიოდიზაციას იძლევა:

1. კოლონიის დაარსება არჩილ მეფის მეტაურობით (XVII ს. მიწურული);

2. კოლონიის საგრძნობლად გაზრდა ვახტანგ მეექვსისა და მისი დიდი ამალის რუსეთს გადასახლების შედეგად (XVIII ს. ოციანი წლები);

3. კოლონია, როგორც პოლიტიკური ცენტრი ემიგრანტი-პატრიოტებისა, რომლებიც თურქი და ირანელი მოძალადეების წინააღმდეგ საქართველოს განთავისუფლებისათვის იბრძოდნენ (XVIII ს. 20—40-იანი წლები);

4. XVIII ს. მეორე ნახევარი. ამ დროს კოლონია აღარ წარმოადგენდა ემიგრანტების ოფიციალურ პოლიტიკურ ჯგუფს, მაგრამ მისი როლი არ შემცირებულა. კოლონიის

<sup>13</sup> ნ. ბერძენიშვილი, XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიიდან, გვ. 185—186.

<sup>14</sup> Путеводитель к выставке «Грузинская колония в Москве», «Империализм», ტ. III, გვ. 281—285.



წევრები ეწევიან დიდ კულტურულ მოღვაწეობას, რამაც ქართველთა მიერ რუსული კულტურის შესწავლის საქმეს შეუწყო ხელი;

5. კოლონია, როგორც ქართული კულტურის კერა XIX საუკუნეში.

ჩვენ განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ ნ. ბერძენიშვილის „საანგარიშო მოხსენება (მოსკოვ-ლენინგრადში სამეცნიერო მივლენებისა 1946 წ.,“), რომელშიც მიმოიხილავს МИД-ის არქივის იმ ფონდებს, სადაც ასახულია XVIII ს. უკანასკნელი მეოთხედისა და XIX ს. დასაწყისის (1804 წლამდე) პერიოდის საქართველოს ისტორია. მკვლევარი იძლევა მრავალ საყურადღებო შენიშვნას ერეკლე მეორის უდიდეს დიპლომატიურ საქმიანობაზე, ახლო აღმოსავლეთში რუსეთის მთავრობის პოლიტიკასა და ირან-ოსმალეთის პოზიციების შესახებ, კრწანისის ბრძოლის მნიშვნელობის შესახებ და სხვა.

მნიშვნელოვანია ნ. ბერძენიშვილის დასკვნები წყაროთმცოდნეობის თვალსაზრისითაც. მაგალითად, ავტორი აღნიშნავს «Сношения России с Турцией» ფონდის შესწავლის აუცილებლობას რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის სრულყოფილი მეცნიერული გაშუქებისათვის.

საარქივო მასალების შესწავლისა და ა. ცაგარელის მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტების შედარების საფუძველზე ნ. ბერძენიშვილი შენიშნავს, რომ ა. ცაგარელის მიერ ჩატარებულ საპატიო შრომას არსებითი ნაკლი ახლავს როგორც საბუთთა შერჩევაში, ისე მათ გამოცემაში. ამის სა-



ფუძველზე მკვლევარი აღნიშნავს ზემოხსენებული საბჭოთა-ბის ხელახლად გამოცემის საჭიროებას და სხვა.

თავის შრომებში ნ. ბერძენიშვილი ეხება, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის უმნიშვნელოვანეს პრობლემას—საქართველოს რუსეთთან შეერთების საკითხს. მართალია, უშუალოდ ამ თემისათვის მას მონოგრაფია არ მიუძღვნია, მაგრამ იგი არაერთხელ შეეხო ამ პრობლემას და გარკვეული მეცნიერული კონცეფციაც შემოგვთავაზა. ამ თვალსაზრისით ჩვენ გვინდა განსაკუთრებით ხაზი გავუსვათ მის ორ ნაშრომს: 1954 წ. ეურნალ „მნათობში“ გამოქვეყნებულ წერილს „საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის“ და მონოგრაფიას „საქართველო XIX საუკუნის პირველ მეოთხედში“.

აღნიშნული წერილი ძირითადად ეხება XI-XVIII საუკუნეების რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის საკითხებს. თვით შეერთების ისტორიის გაშუქების თვალსაზრისით კი იგი საინტერესოა როგორც წინაპერიოდის, უფრო სწორედ, შეერთების გარდუვალობის განსაზღვრა. უშუალოდ შეერთების პროცესის და მისი შედეგების, მისი ისტორიული მნიშვნელობის საკითხების გაშუქებას ავტორი გვპირდებოდა იმავე ეურნალ „მნათობის“ ფურცლებზე მომდევნო წერილში. მართალია, სამწუხაროდ, ეს დანაპირები ავტორმა მკითხველს არ შეუსრულა, სამაგიეროდ თავის თხზულებათა მეორე ტომში გამოსაქვეყნებლად შეიტანა ახალი მონოგრაფია „საქართველო XIX საუკუნის პირველ მეოთხედში“, სადაც მრავალ პრობლემასთან ერთად ეხება ზემოაღნიშნულ საკითხებსაც.



ნ. ბერძენიშვილის კონცეფცია საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიის საკითხზე შემდეგია: XIX საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს ხელსაყრდენმა წინააღმდეგობის პირობები ექმნებოდა. ერეკლე მეორეს შეეძლო სპარსეთის თუ ოსმალეთის აგრესიულ ზრახვათა წინააღმდეგ რუსეთის მხრით რეალური დახმარების იმედი ჰქონოდა. ამ დროს კი სპარსეთი და ოსმალეთი უკიდურესი დაცემის ხანას განიცდიდნენ და თანდათან ევროპის ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა კოლონიებად იქცნენ. „ამისდა შესაფერისად, — აღნიშნავს ნ. ბერძენიშვილი, — შეცვლილი იყო სპარსეთ-ოსმალეთისათვის ამიერკავკასიის ქვეყნების მნიშვნელობა. ახლა საქართველო, მისი კავკასიელი მეზობლებით ორ მოქიშპეთა ურთიერთის წინააღმდეგ შეტევა-თავდაცვის უკიდურეს დასაყრდენს კი არ წარმოადგენდა მხოლოდ, როგორც ეს იყო ამ ძველ მტაცებელთა პოლიტიკური ძლიერების ხანაში, არამედ მათი თავდაცვის დიდმნიშვნელოვან პოზიციასაც ჩრდილოეთიდან მომავალი ახალი ძალის წინააღმდეგ.

ამვე დროს თავს იჩენდა ახალი გარემოებაც: რაც დრო გადიოდა და რუსეთის მოქიშპე ბურჟუაზიული სახელმწიფოები სპარსეთ-ოსმალეთში ფეხს იკიდებდნენ, ამ უკანასკნელთა ყურადღების გააქტიურება ამიერკავკასიის ქვეყნების მიმართ სულ უფრო და უფრო შესამჩნევი ხდებოდა“. ყოველივე ამის გამო, აღნიშნავს ავტორი, საქართველოს შეეძლო „დახმარების“ იმედი ჰქონოდა სპარსეთის ან ოსმალეთის მხრითაც, თუკი მას, ფეხზე წამომდგარს და გარკვეული ძალის მქონებელს ერთი ვინმე სასაყუთროდ მისატაცებლად



წამოეჭიდებოდა. „ერთი სიტყვით, — დაასკვნის ნ. ბერძენი-  
შვილი, — შექმნილი იყო ხელსაყრელი საერთაშორისო პირობები იმისათვის, რომ საქართველო დამოუკიდებელ ძალად  
გამოსულიყო სპარსეთს, ოსმალეთსა და რუსეთს შორის“.

მაგრამ საქმეც ის იყო, რომ საქართველო იმ დროისათვის მეტისმეტად დაზიანებული იყო და მას არ შეეძლო ხელსაყრელი საერთაშორისო პირობებით შესაფერისად ესარგებლნა.

ქვეყანაში თავადურ-ბატონყმური სისტემა სუფევდა. თავადურ რეაქციას ოსმალეთ-ერანის აგრესორთა სახით ერთგული მოკავშირე ჰყავდა. ასე რომ ბრძოლა პროგრესისათვის, ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისათვის, ბრძოლა თავადურ-ბატონყმური სისტემის წინააღმდეგ, ბრძოლა ტყვის სყიდვა-ლექიანობის წინააღმდეგ — უშუალოდ უკავშირდებოდა ირან-ოსმალეთის ბატონობისაგან განთავისუფლებისათვის ბრძოლას. ირან-ოსმალეთის მძლავრობა და თავადურ-ბატონყმური სისტემა ერთიმეორეს აესებდა და ერთიმეორეს გულისხმობდა.

აუცილებელი იყო, რომ საქართველოს საკუთარი ჩამორჩენა გადაეღაბა და საზოგადოებრივი განვითარების ახალ ვზაზე შემდგარიყო. ქართველი ფეოდალური საზოგადოების პროგრესულ ძალებს კარგად ესმოდათ ამის აუცილებლობა. სწორედ ამ მიზანს ისახავდა ქართველთა ბრძოლა XVIII საუკუნეში ერეკლესა და სოლომონის მეთაურობით.

ქართველი საზოგადოების პროგრესულ ნაწილს ამ





ბრძოლაში მნიშვნელოვანი წარმატებაც ხვდა. ერეკლე მეორის ღონისძიებანი სამხედრო თუ სამოქალაქო საქმეებზე, რეფორმები სახელმწიფო თუ კერძო სამართლის საქმეში, ახალი წამოწყებანი ეკონომიკისა თუ კულტურის დარგში ნათლად მოწმობდნენ, რომ მზადდებოდა პირობები ახალი საქართველოს წარმოქმნისათვის, რომ ქვეყანა ბურჟუაზიული განვითარების გზაზე უნდა დამდგარიყო.

ერეკლე II ნახევარი საუკუნის განმავლობაში თავგამოდებით იბრძოდა იმისათვის, რათა თავისი ქვეყანა დამოუკიდებელი განვითარების პოლიტიკურ სამშვიდობოზე გამოეყვანა. მაგრამ სრული გამარჯვებისათვის, საგარეო და საშინაო ხასიათის დაბრკოლებათა სწრაფად და საბოლოოდ გადალახვისათვის საქართველოს საკუთარი ძალა არ ჰყოფნიდა. რეაქციის წინააღმდეგ ქვეყნის ძალთა მობილიზაციისათვის საჭირო იყო საგარეო მამველი ძალა.

თუ ქართულ ფეოდალურ რეაქციას თვალი ირან-ოსმალეთზე ეჭირა, პროგრესული ძალები ქვეყნის გამოხსნა-აღდგომისათვის ბრძოლაში, საქართველოს პროგრესისათვის ბრძოლაში მოკავშირეს რუსეთში ხედავდა. პროგრესულ პოლიტიკურ მოღვაწეებს კარგად ესმოდათ რუსეთის პოზიციები ირან-ოსმალეთის საკითხში და თავიანთ რწმენას ამ ცოდნაზე მართებულად აგებდნენ. ხოლო თვით რუსეთმა ერთხელ კიდევ დაარწმუნა ქართველი სახელმწიფო მოღვაწეები, რომ მისი პოლიტიკური ინტერესები ამიერკავკასიაში ეთანხმებოდა საქართველოს გამოხსნა-აღდგომის საქმეს და ქართველებიც მტკიცედ დარწმუნდნენ, რომ რუსეთი რეალურად მოიწვედა ამიერკავკასიისაკენ და მოიწვედა სწორედ



ირანისა და თურქეთის საწინააღმდეგოდ. ასეთ პირობებში  
ერეკლემ დამხმარედ (მფარველად) პროგრესული  
მოიწვია.

1783 წელს, როდესაც შეიქმნა ხელსაყრელი პირობები,  
განხორციელდა პოლიტიკური კავშირი რუსეთსა და საქარ-  
თველოს შორის.

საქართველოს ისტორიაში, — აღნიშნავს ნ. ბერძენიშვი-  
ლი, — ეს იყო უდიდესი მნიშვნელობის პოლიტიკური აქტი.  
„ამ აქტით — ამბობს მკვლევარი — საქართველო გა-  
ემიჯნა აზიურ (ოსმალურ-ყიზილბაშურ) ჩა-  
მორჩენილობას და გადაქრით პირი მიიქ-  
ცია პროგრესული ჩრდილოეთისაკენ... არ-  
სებულ პირობებში ეს იყო საუკეთესო გა-  
მოსავალი, რომელსაც ერთადერთს შეეძლო  
ქვეყანა პროგრესის გზით ახალი ცხოვრე-  
ბისაკენ წაეყვანა“<sup>15</sup>. გარდა ამისა, ავტორი აღნიშნავს,  
რომ ეს იყო საქართველოს დიდი ისტორიული დამსახუ-  
რება ამიერკავკასიის ხალხთა წინაშე.

მაგრამ ამ გარეშე ძალის მოწვევას საშინაო თუ საგარეო  
რეაქციამ გადამწყვეტი ომით უბასუხა. მოკავშირე-მფარვე-  
ლის დახმარება კი საკმაო არ აღმოჩნდა. 17 წლის განმავლო-  
ბაში წარმოებდა მძაფრი ბრძოლა, რომლის შედაგად 1783—  
1800 წლებში აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა განა-  
ხევრდა.

<sup>15</sup> ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს რუსეთთან შეერთების  
ისტორიული მნიშვნელობისათვის, „მნათობი“, 1954, № 6, გვ. 139.



ამავე დროს რუსეთის იმპერიის პოლიტიკური ინტერესე-  
 იი საქართველოს მიმართ კიდევ უფრო გაიზარდა. მისი მო-  
 სავლეთისათვის მსოფლიო-პოლიტიკურ ბრძოლაში მონაწილე  
 გამოსვლისათვის. რუსეთს ამიერკავკასიაში სუსტი მოკავში-  
 რი—საქართველო აღარ აკმაყოფილებდა. სამხედრო-ფეოდა-  
 ლურ იმპერიას ამიერკავკასიაში მტკიცე დასაყრდენის შექმნა  
 აინტერესებდა და გიორგი მეთორმეტეს რუს ხელმწიფისა-  
 თვის ქვეშევრდომობა რომც არ ეთხოვა, სულ ერთია, 1801  
 წლის აქტი მაინც გარდუვალი გახდებოდა.

თავის ნაშრომში „საქართველო XIX ს. პირველ მეო-  
 თხედში“ ნ. ბერძენიშვილი ეხება საქართველოს რუსეთთან  
 შეერთების პროცესს, რომელიც რუსეთის სამეფო კარმა განა-  
 ხორციელა.

ავტორი იხილავს გიორგი მეთორმეტესა და პავლე იმ-  
 პერატორს შორის 1800 წ. წარმოებულ მოლაპარაკებას  
 ქართლ-კახეთის მეფის რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომო-  
 ბაში შესვლის თაობაზე. აღნიშნავს მაშინდელ საერთაშორის-  
 სო ვითარებას ევროპაში. რუსეთ-ინგლისის დამოკიდებულე-  
 ზის გამწვავებასა და რუსეთ-საფრანგეთის კავშირის დამყა-  
 რებას, რამაც პავლე პირველს თავისი ადრინდელი პოზიცი-  
 ები შეაცვლევინა აღმოსავლეთის საკითხში; იხილავს პავლე  
 პირველის მანიფესტს საქართველოს რუსეთთან შეერთების  
 შესახებ და ქართული ფეოდალური საზოგადოების დამოკი-  
 დებულებას ამ მანიფესტისადმი. შემდეგ ავტორი ეხება იმ-  
 პერატორ ალექსანდრე პირველის პოზიციას საქართველოს  
 საკითხში, რუსეთის სახელმწიფო საბჭოში ქართლ-კახეთის



საკითხის განხილვას და აღექსანდრე პირველის 1801 წლის  
 12 სექტემბრის მანიფესტს აღმოსავლეთ საქართველოში  
 სეთთან შეერთების თაობაზე; რუსული მმართველობის შე-  
 მოღებას, მის ხასიათს, ქართული სამეფო სახლის, თავად-  
 აზნაურობისა და გლეხობის დამოკიდებულებას ახალი მმარ-  
 თველობის წესისადმი. გარდა აღმოსავლეთ საქართველოს  
 რუსეთთან შეერთებისა, მკვლევარი აშუქებს დასავლეთ სა-  
 ქართველოს შეერთებასაც და ამდენად მთელი საქართვე-  
 ლოს შეერთების პროცესი მთლიანობაში აქვს წარმოდგენი-  
 ლი.

ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს, რომ ქართველ ხალხს რუ-  
 სეთთან კავშირი, მართლაც, გულთ სურდა იმისათვის, რომ  
 „გამოხსნა-აღდგომა“ მას „ქართველობით“ შეძლებოდა.

რუსეთთან ამ კავშირის ფორმის დადგენისას ქართული  
 ფეოდალური საზოგადოების მიერ შემუშავებული და წარ-  
 დგენილი პროექტები და აღექსანდრე იმპერატორის მანი-  
 ფესტის საფუძველზე შედგენილი საქართველოს შინაგანი  
 მმართველობის წესები ერთიმეორისაგან პრინციპულად გან-  
 სხვავდებოდნენ.

მაგრამ საქართველოს მდგომარეობის ყოველმხრივი გა-  
 თვალისწინების საფუძველზე ნ. ბერძენიშვილი ხაზგასმით  
 აღნიშნავს, რომ საქართველოს პროგრესის საქმე ამიერიდან  
 მხოლოდ რუსეთთან შეერთების გზით შეიძლებოდა წარ-  
 მართულიყო, რომ ეს იყო შექმნილი მდგომარეობიდან ერ-  
 თადერთი საუკეთესო გამოსავალი. „ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო , —  
 დაასკვნის ნ. ბერძენიშვილი, — რ უ ს ე თ თ ა ნ კ ა ვ შ ი რ ს  
 ე ძ ე ბ დ ა . ი ს ნ ე ბ ა ყ ო ფ ლ ო ბ ი თ ხ ე ლ მ წ ი ფ ი ს ს ა -



ფარველში შევიდა და ცარიზმის „ხალხთა  
საპყრობილეში“ კი აღმოჩნდა. მარტო მარ-  
თველი ხალხის „გამოხსნისა და გან-  
სათვის“ ბრძოლის გზა ამის შემდეგაც რუ-  
სეთზე გადაიოდა. ყველა სხვა გზა უარესი  
იყო და უპერსპექტივო. ქართველი ხალხის  
ბრძოლა ამიერიდან კიდევ უფრო რთულ-  
დებოდა, მაგრამ ეს ბრძოლა გამარჯვების  
იმედია იყო: საქართველო თავის „გა-  
მოხსნასა და აღდგომას“, ბოლოს და ბოლოს,  
მხოლოდ ამ გზით მიაღწევდა“.

როგორც ვხედავთ, მკვლევრის მართებული დასკვნით,  
ქართველი ერის შემდგომი სოციალურ-ეკონომიკური განვი-  
თარება შექმნილი ვითარების გამო მხოლოდ რუსეთთან და-  
კავშირების საშუალებით იყო შესაძლებელი და ამ პერსპექ-  
ტივის გათვალისწინებით ნ. ბერძენიშვილი იძლევა საქარ-  
თველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობის  
შეფასებას.

ამრიგად, პრობლემის გადაწყვეტის დროს ავტორი  
მრავალმხრივ, დიალექტიკურად იხილავს საკითხს და, კერ-  
ძოდ, აღნიშნავს: 1. საქართველოს მოსწრაფებას რუსეთთან  
კავშირისადმი; 2. საქართველოს რუსეთთან შეერთების გარ-  
დუვალობას; 3. თვით შეერთების პროცესს, რომელიც რუსე-  
თის იმპერიამ მისთვის დამახასიათებელი წესით ჩაატარა და  
ქართველი მშრომელი მასების სოციალური ჩაგვრის სიმძიმეს  
ეროვნული ჩაგვრის უღელიც დაუმატა; 4. ქართველი ერის  
შემდგომი სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული გან-



ვითარების პერსპექტივას, რომელიც შექმნილი  
 გამო, მხოლოდ საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ  
 ვად იყო შესაძლებელი.

ბიბლიოთეკა

ამრიგად, ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს, რომ მიუხედავად  
 რუსეთის ცარიზმის რეაქციული პოლიტიკისა და საქართვე-  
 ლოს მის კოლონიად გადაქცევისა, ქართველმა ხალხმა რუ-  
 სეთთან შეერთების ვხით შეძლო თავისი შემდგომი პროგ-  
 რესული განვითარება.

ნ. ბერძენიშვილის შრომებმა არა მარტო გაამდიდრეს  
 ქართული საბჭოური ისტორიოგრაფია, არამედ აიყვანეს იგი  
 განვითარების ახალ საფეხურზე. მის შრომებზე იზრდებიან  
 ქართველი ისტორიკოსების თაობები. აკად. ნ. ბერძენი-  
 შვილს, გამოჩენილ მეცნიერს, ბევრი მოწაფე და მიმდევარი  
 ჰყავს.

## მიხეილ ალექსანდრეს ძე პოლიევქტოვი\*

(დაბადების 100 წლისთავის გამო)

გამოჩენილი ისტორიკოსის მიხეილ ალექსანდრეს ძე პოლიევქტოვის სახელი დამსახურებული პატივისცემით სარგებლობს XVII-XVIII საუკუნეების რუსეთის საგარეო პოლიტიკის ისტორიის შემსწავლელ არა მარტო რუს ისტორიკოსთა შორის, არამედ საერთოდ საბჭოთა, კერძოდ, ქართველ ისტორიკოსთა შორისაც. ეს სავესებით ბუნებრივი და გასაგებია. პროფ. მ. პოლიევქტოვის შრომების დიდი ნაწილი პირდაპირაა დაკავშირებული საქართველოს და კავკასიის ისტორიის პრობლემების შესწავლასთან, ხოლო მისი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 22 წელი—უშუალოდ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან.

მ. ა. პოლიევქტოვი დაიბადა 1872 წლის 24 მარტს პეტერბურგში, მოსამსახურის ოჯახში. მისი მამა, ალექსანდრე ნიკოლოზის ძე, პროგრესულად განწყობილი ადამიანი იყო. 1861 წლის სტუდენტთა მოძრაობაში მონაწილეობის გამო იგი დააპატიმრეს და აძულებული იყო სწავლისათვის თავი

---

\* პირველად დაიბეჭდა ეურნალ „მაცნეში“ (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია), 1972, № 2.

განებებინა; შემდეგში იგი მომრიგებელ მოსამართლედ  
შაობდა. დედა — ნატალია მიხეილის ასული მაიკოვა —  
ბილი პოეტის ა. ნ. მაიკოვის ბიძაშვილი იყო.



1890 წელს კალუგის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ  
მ. ა. პოლიევქტოვი პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე შევიდა, რომელიც 1894 წელს პირველი ხარისხის დიპლომით დაამთავრა. მისი სადიპლომო ნამუშევარი კი («Екатерининская комиссия для составления проекта Нового Уложения») ოქროს მედლით დაჯილდოვდა.

უნივერსიტეტში რუსეთის ისტორიის, წყაროთმცოდნეობისა და რუსეთის საგარეო პოლიტიკის კურსს მ. ა. პოლიევქტოვი ს. ფ. პლატონოვის, ა. ს. ლაპო-დანილევსკის, ს. მ. სერედონინის, ნ. დ. ჩეჩულინისა და სხვათა ხელმძღვანელობით სწავლობდა.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მ. ა. პოლიევქტოვი რუსეთის ისტორიის კათედრაზე იქნა დატოვებული უმაღლესი სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობისათვის მოსამზადებლად. ს. ფ. პლატონოვის რეკომენდაციით მ. ა. პოლიევქტოვი მალე მიაღწინეს საზღვარგარეთ არქივებში სამუშაოდ. ბრწყინვალე ნიჭმა, კარგმა მეცნიერულმა მომზადებამ და ღრმა ერუდიციამ, უცხო ენების ზედმიწევნით ცოდნამ (მ. ა. პოლიევქტოვი ფლობდა ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, იტალიურ, შვედურ და პოლონურ ენებს) და უდიდესმა შრომისმოყვარეობამ მტკიცე საფუძველი შექმნეს მისი მუშაობის წარმატებისათვის.

მ. ა. პოლიევქტოვი სხვადასხვა დროს ტურიინის, ვენე-



ციის, ვატიკანის, პარიზის, ბერლინის, კომენაგენის, სტოკ-  
ჰოლმისა და ვენის არქივებში მუშაობდა. ენერგიულად წაე-  
ლობდა იგი აგრეთვე სამამულო არქივებს პეტერბურგში და  
მოსკოვში.

იტალიაში ყოფნისას მ. ა. პოლიევქტოვი ხელოვნების  
ისტორიის შესწავლამ გაიტაცა და შემდგომში ბერლინის  
უნივერსიტეტში ამ საგანში წამყვანი სპეციალისტების ლექ-  
ციების კურსი მოისმინა.

1902 წ. მ. ა. პოლიევქტოვი პეტერბურგის უნივერსიტე-  
ტის რუსეთის ისტორიის კათედრის პრივატ-დოცენტი გახდა  
და იმავე დროს ქალთა უმაღლეს კურსებზე რუსეთის ისტო-  
რიაში ლექციებს კითხულობდა, ხოლო ქალთა პედაგოგი-  
ურ ინსტიტუტში ხელოვნების ისტორიის კურსი მიჰყავდა.

1908 წ. მ. ა. პოლიევქტოვმა საჯაროდ დაიწყო საღისერ-  
ტაციო შრომა „ნიშტადტის ზავის შემდეგ რუსეთის პოლი-  
ტიკა ბალტიის საკითხის შესახებ“ («Балтийский вопрос в  
русской политике после Ништадтского мира») და მაგისტ-  
რის ხარისხი მიიღო. მალე მ. ა. პოლიევქტოვი გენერალური  
შტაბის აკადემიაში და საზღვაო აკადემიაში მიიწვიეს ლექ-  
ციების წასაკითხად. 1917 წ. მიხეილ ალექსანდრეს ძე პოლი-  
ევქტოვი პეტროგრადის უნივერსიტეტის პროფესორი გახდა.

უნდა აღინიშნოს ის გარკვეული დამსახურება, რომე-  
ლიც მ. ა. პოლიევქტოვსა და მის მეუღლეს რუსულად ნიკო-  
ლოზის ასულ ნიკოლაძეს<sup>1</sup>, აგრეთვე მის ცოლისდას თამარ

<sup>1</sup> რუსულად ნიკოლოზის ასული ნიკოლაძე, ცნობილი ქართველი ქი-  
მიკოსი, გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის ქა-  
ლიშვილი.



ნიკოლოზის ასულს მიუძღვით პეტროგრადის პოლიციის არქივის გადარჩენის საქმეში. ეს განსაკუთრებული წყნადობა იყო, რომელიც რევოლუციური მოძრაობის ისტორიის შესახებ ძეგარფას მასალებს შეიცავდა.

როგორც არქივთმცოდნეობის დარგის დიდი სპეციალისტი მ. ა. პოლიევქტოვი 1918 წელს საარქივო საქმის რეფორმის მომამზადებელ კომისიაში მიიწვიეს სამუშაოდ. ხოლო მთავარი საარქივო სამმართველოს ჩამოყალიბების შემდეგ ერთ-ერთ სექციას ჩაუდგა სათავეში.

1920 წ. მ. ა. პოლიევქტოვი თბილისში გადმოდის საცხოვრებლად. აქედან დაწყებული მან თავის სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა ისტორიის პრობლემების შესწავლასა და ქართველი ისტორიკოსების თაობათა აღზრდის საქმეს დაუკავშირა.

მ. ა. პოლიევქტოვი 1942 წ. 21 დეკემბერს გარდაიცვალა. იგი თბილისში, ვაკის სასაფლაოზეა დასაფლავებული.

მ. ა. პოლიევქტოვის სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა ორ პერიოდად უნდა გაიყოს — ერთი მოიცავს მისი მოღვაწეობის ხანას პეტერბურგში, მეორე კი თბილისში.

პეტერბურგის პერიოდში დაწერილი შრომები თავისი ხასიათის მიხედვით შემდეგნაირად შეიძლება დაჯგუფდეს:

I. გამოკვლევები, რომლებიც რუსეთის საგარეო პოლიტიკის პრობლემების, განსაკუთრებით, XVIII საუკუნის რუსეთ-ევროპის ურთიერთობათა საკითხების გაშუქებას ეხება. ამათგან, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს მონოგრაფია «Балтийский вопрос в русской политике 'после Ништадтского мира (1721-1725)» (СПб., 1907). ეს მონო-

გრაფია მდიდარ ფაქტობრივ მასალას შეიცავს და მას ძვე-  
საც არ დაუკარგავს თავისი მეცნიერული ღირებულება, ასე-  
ვე მნიშვნელოვანია შრომები რუსეთში ესპანეთის მემკვიდრე-  
ლოს დაარსებისა და XVIII საუკუნის პირველ ნახევარში  
პოლშტინის საკითხთან დაკავშირებით ბალტიის ზღვაზე რუ-  
სეთის პოლიტიკის შესახებ<sup>2</sup>.

II. რუსეთ-ევროპის ურთიერთობათა ამსახველი საინ-  
ტერესო საარქივო მასალის პუბლიკაციები. ესენია მასალები  
რუსეთ-სარდინიის ურთიერთობის შესახებ XVIII ს. ბოლო  
ნეოახედში<sup>3</sup>; პეტრე პირველის დროინდელი დიპლომატიე-  
ბისა და აგრეთვე ბარონ ა. ი. ისტერმანის მიმოწერა სხვა-  
დასხვა პირებთან<sup>4</sup>; რუსეთში ფისკალ-კოლეგიის დაარსების  
პროექტის შესახებ<sup>5</sup> და სხვ.

<sup>2</sup> М. А. Полневков, Герцог де-Лирна и его проект уч-  
реждения испанского консульства в России, в сб. «Сергею Федоро-  
вичу Платонову ученики, друзья и почитатели», СПб., 1911; М. А.  
Полневков, Гоштинский вопрос и политика России на Бал-  
тийском море в первую половину XVIII столетия, «Русская старина»,  
1907.

<sup>3</sup> «Из переписки великого князя Павла Петровича и великой  
княгини Марии Федоровны с сардинским королевским домом», в «Рус-  
ской старине», 1899, октябрь; «Письмо сардинского посла барона де-  
ла Турбиа о России 1796 г.», в «Чтениях ОИДР», 1900, кн. IV; «Про-  
ект союза России с Сардинским королевством в царствование им-  
ператора Павла I», в сборнике «Памяти Л. Н. Майкова», СПб., 1902.

<sup>4</sup> «Из переписки дипломатов петровского времени (А. П. Бес-  
тужев, А. И. Остерман; вопрос о зундской пошлине)», в сборнике  
«Петр Великий», СПб., 1903; «Из переписки барона А. И. Остермана  
(Письма к князю Б. И. Куракину и графу А. Г. Головкину (1727—  
1729))», в «Чтениях ОИДР», 1913, кн. III.

<sup>5</sup> «Проект барона Гюнссена об учреждении в России фискал-  
коллегии (1713)», в «Чтениях ОИДР», 1914.



III. შრომები არქივთმცოდნეობაში. თათ მიეკუთვნება პეტროგრადის არქეოლოგიურ ინსტიტუტთან არსებულ არქივო კურსებზე 1918 წელს წაკითხული ლექციები და სხვადასხვა სტატიები სპზღვარგართული არქივების შესახებ<sup>6</sup>.

IV. სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომები რუსეთის ისტორიის სხვადასხვა საკითხებზე. საენციკლოპედიო სტატიები, რეცენზიები და მიმოხილვები<sup>7</sup>.

V. შრომები ხელოვნების ისტორიაზე. ეს ძირითადად სტატიებია, რომლებიც სხვადასხვა ეურნალებსა და ენციკლოპედიებში გამოქვეყნდა 1900—1901 წლებში.

<sup>6</sup> იხ. წიგნი «История архивного дела классической древности в Западной Европе и на Мусульманском Востоке», Петроград, 1920; იხ. აგრეთვე, «Журнал Министерства народного просвещения», 1902, № 2.

<sup>7</sup> «Родоначальники русской революции—декабристы», Петроград, 1917; «Противоречия самодержавия», в «Вестнике культуры и политики», 1918, № 5; «Правительствующий Сенат в царствование Екатерины II», в книге «История Правительствующего Сената за двести лет, 1711—1911 гг.», т. II, СПб., 1911; «Пограничный рубеж Европейской России в его историческом развитии», в журнале «Международная политика и мировое хозяйство», 1918; «Литература по внешней русской истории XVIII—XIX вв. за 1900—1915 гг.», в «Известиях», издаваемых историческим обществом при Московском университете, 1915, № 1; «Десятый археологический съезд в Риге», в ЖМНП, 1886, № 12; «Обзор деятельности Императорского Русского Исторического Общества за 1866—1916 годы», в Сборнике ИРНО, т. 148, Петроград, 1916 и др.

ზემოაღნიშნულიდან ნათლად ჩანს ის პრობლემატიკა და სამეცნიერო მიმართულებანი, რომლის სფეროშიც მოხდა მ. ა. პოლიევქტოვი.

თბილისში გადმოსვლის შემდეგ იგი იმავე მიმართულებით განაგრძობდა კვლევა-ძიებას, მაგრამ, ბუნებრივია, უკვე ადგილობრივი ისტორიის პრობლემებთან დაკავშირებით.

მის მოღვაწეობაში ცენტრალური ადგილი არქეოგრაფიულმა მუშაობამ, კერძოდ, რუსეთ-საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობის ისტორიის დოკუმენტური მასალების გამოცემამ დაიკავა.

მ. ა. პოლიევქტოვმა XVII საუკუნის, ძირითადად პირველი ნახევრის, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის მნიშვნელოვანი მასალა გამოავლინა და შესანიშნავად, მაღალ პროფესიულ დონეზე გამოსცა. ადრე არსებული პუბლიკაციები, რომლებიც მ. ბროსესა\* და ს. ბელოკუროვს<sup>9</sup> ეკუთვნოდა, მხოლოდ ნაწილობრივ ასახავდნენ XVII საუკუნის რუსეთსა და საქართველოს შო

\* «Переписка на иностранных языках грузинских царей с российскими государями, от 1639 г. по 1770 г.», изданная М. Броссе, СПб., 1861.

<sup>9</sup> Сношения России с Кавказом. Материалы, извлеченные из Московского Главного архива Министерства Иностранных дел 1578—1613 гг., изд. С. А. Белокуровым. «Чтения ОИДР», вып. I. М., 1889.



რის ურთიერთობის ისტორიას. მ. ა. პოლიევქტოვის პუბლიკაციების წყალობით კი<sup>16</sup> XVII საუკუნის პირველ ნახევარის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის თითქმის ყველა ძირითადი დოკუმენტი შეცნობილი მოხმარების საგნად იქცა. აღნიშნულ პუბლიკაციებს დიდი მნიშვნელობა აქვთ არა მარტო თვით რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა, არამედ აღნიშნული პერიოდის საქართველოს პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ისტორიის მრავალი საკითხის გაშუქებისთვისაც.

დიდი ქართველი ისტორიკოსი აკად. ივ. ჯავახიშვილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მ. ა. პოლიევქტოვის პუბლიკაციებს. მაგალითად, მ. ა. პოლიევქტოვისადმი 1926 წლის 20 აგვისტოს მიწერილ წერილში ივ. ჯავახიშვილი წერდა:

„ღრმად პატივცემულო მიხეილ ალექსანდრეს ძეე!

თქვენმა წერილმა დაადასტურა ქართველოლოგებისათვის ის სასიხარულო ცნობა, რომლის შესახებ „ზარია ვოსტოკაში“ წერდნენ. ჩვენთვის ეს დიდი საჩუქარია. მოუთმენლად ველი ამ ძეგლის გამოქვეყნებას. თქვენ ისე გაგვანებებრეთ, რომ შე ვბედავ ვთხოვოთ გაგვიგოთ, ხომ არ მოიპოვება XVI საუკუნის ბოლოსა ან XVII საუკუნის დასაწყისის ქართლის სამეფოს ელჩობის მიერ შედგენილი აღწერილობა. და თუ

<sup>16</sup> Материалы по истории грузино-русских взаимоотношений 1615—1640 гг., Тб., 1937; Посольство князя Мышенцкого и дьяка Ключарева в Кахетию в 1640—1643 гг. Тиф., 1928; Посольство стольника Толочанова и дьяка Ивлева в Имеретию, 1650—1652 гг., Тиф., 1926; К вопросу о сношениях Ростома карталинского с Москвою, Известия «ИЯИМК», V—VI, Тбилиси, 1940.



მოიპოვება, თქვენ ერთობ დაგვაფალვბთ, თუ გამოაქვეყნებთ ამ ძეგლსაც. საქმე ის არის, რომ ჩვენს მრავალწლოვანი მთავრობის მიერ სწორედ შეფარულ საქართველოს, ქართლის სამეფოს აღწერილობები გვაკლია. ამგვარი ნაპოვნი შეავსებდა ამ ხარვეზს და საშუალებას მოგვცემდა რუსი ელჩების ცნობების შედარებისა ქართული, სპარსული და დასავლეთევროპული წყაროების მონაცემებთან. თქვენ რუსულსა და ქართულ ისტორიას ისეთ ფასდაუღებელ სამსახურს უწევთ, შეგაქვთ იმდენი ახალი, გამოუქვეყნებელი მასალა, რომ თქვენი სახელი, როგორც იტყვიან, ოქროს ასოებით ჩაიწერება ჩვენს ისტორიოგრაფიაში და თქვენი ნაშრომები სამაგიდო წიგნები იქნება ქართველოლოგებისათვის და იმათთვის, ვინც კაციასიონთან და აღმოსავლეთთან რუსეთის ურთიერთობის ისტორიის კვლევით დაინტერესდება".

1937 წლის 10 სექტემბერს მიწერილ წერილში კი ვკითხულობთ:

„ღრმად პატივცემულო მიხეილ ალექსანდრეს ძე!

გულიაად მადლობას ვიძღვნით თქვენი მშვენიერი წიგნისათვის, რომელიც თქვენ კეთილ-ინებეთ და მუზეუმში შემომიტანეთ. თუმცა რუსთაველის გამოფენით ყელამდე დაკავებული ვარ, მაინც ცდუნებისაგან თავის შეკავება ძნელი იყო; თქვენ მიერ გამოცემულ ძეგლებს უდიდესი სიამოვნებით ვკითხულობ. ერთხელ კიდევ გიძღვნით გულითად მადლობას და ვისურვებთ ჯანმრთელობასა და მზნობას, რათა მეცნიერებისათვის, განსაკუთრებით კი საქარ-



თველოს ისტორიისათვის, ასეთი მნიშვნელოვანი კვლევითი გეგმელებიანოთ და დაგესრულებიანოთ<sup>11</sup>. ზ. ი. ზ. ლ. ი. მ. ი. მ. ი. მ.

უნდა აღინიშნოს, რომ მ. ა. პოლიევქტოვს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა საკითხზე მუშაობის იდეა ჯერ კიდევ თბილისში გადმოსვლამდე მისმა სიმამრმა ნიკო ნიკოლაძემ მიაწოდა. ბუნებრივია, რომ ნიკო ნიკოლაძე, რომელმაც 1888 წ. გაზეთ «Наше индустриальное»-ში პირველმა გამოაქვეყნა იმერეთში ტოლოჩანოვის ელჩობის მასალები, შემდგომაც დიდად იყო დაინტერესებული XVII საუკუნის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა დოკუმენტებით. მას მოსკოვის არქივში მომუშავე მ. ა. პოლიევქტოვისათვის ზოგიერთი ცნობის დაზუსტება უთხოვია. ამას მოწმობს მ. ა. პოლიევქტოვის მიერ ნ. ნიკოლაძისადმი 1911 წლის 1 ივნისს მიწერილი წერილი, რომლითაც იგი წინასწარი ძიებით მიღებულ შედეგებს ატყობინებდა. წერილში ხაზი ესმებოდა იმ გარემოებას, რომ არქივში XVII საუკუნის „საქართველოსა და იმერეთის“ საქმეები საკმაოდ მოიპოვებოდა და საქმისწარმოების თვალსაზრისით მათი საერთო შეფასება იყო მოცემული<sup>12</sup>.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა ისტორია, ისევე როგორც ისტორიის რიგი სხვადასხვა პრობლემები, არაერთხელ გამხდარა მათი საუბრისა და მიმოწერის საგნად. მაგა-

<sup>11</sup> Летопись дружбы грузинского и русского народов с древнейших времен до наших дней, т. II, Тб., 1961, с. 96—98.

<sup>12</sup> ნ. ნიკოლაძისა და მ. პოლიევქტოვის მიმოწერა დაცულია ნ. ნიკოლაძის პირად არქივში, რომელიც კ. მარქსის სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში ინახება.





ლითად, 1915 წ. 16 მარტს მ. პოლიეკტოვი ნ. ნიკოლაძეს სწერდა: „არაერთხელ ... ვიხსენებ მაღლიერებში ერთ-ერთ ჩვენს საუბარს, როდესაც თქვენ მარტოხუბნდით არ. მიმეტოვებინა საგარეო ურთიერთობათა შესწავლა. მას შემდეგ ხშირად მივმართავდი მას, და საერთო აზრი ჩემი ნუშაობის წარმართვისა და იმის შესახებ, რაც მინდოდა გამეკეთებინა კიდევ — რუსეთის პოლიტიკა აღმოსავლეთში და ინგლის-რუსეთის ურთიერთობანი — სულ ნათლად და ნათლად ყალიბდება ჩემთვის როგორც მსოფლიო ისტორიის ერთ-ერთი მთავარი ფურცელთაგანი (ვთი, რომ ჭერ კიდევ არ დაწერილი და ყოველ შემთხვევაში — კიდევ ვაი დაწერილი არა ჩვენს, რუსების მიერ...).

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობამ, რა თქმა უნდა, ამ გამოკვლევებში თავისი მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაიკავოს. ვეძვობ, რომ თვით მომიხდეს მუშაობა ადგილობრივ არქივებში. გზა მაინც მიმენიშნებინა, იქითკენ, რომელიც დუბროვინის, ბროსუს, ბერეესა და სხვათა შემდეგ, როგორც ჩანს, საფუძვლიანად მივიწყებულია.

ეს, რა თქმა უნდა, ხელს არ შემისწლის მომავალში ხშირად და ხანგრძლივად ვეწვიო ჭიხაიშს. ვწუხვარ, რომ ამჟამად ეს ჩემთვის შეუძლებელია“.

მ. პოლიეკტოვისა და ნ. ნიკოლაძის მიმოწერა თავისთავად მეტად საინტერესოა. იგი ნათლად ასახავს გულთბილ დამოკიდებულებას სხვადასხვა ეროვნების ამ ორ ადამიანს შორის, გულწრფელობასა და სიყვარულს სიძესა და სიმამრს შორის, მოწმობს უფროსი და უმცროსი თაობის



ერ. კ. ს. შ. ი.  
გ. ი. ზ. ლ. ი. მ. ი. შ. ი. ა.

წარმომადგენელთა მეგობრულ თანამშრომლობასა  
ლიერ ერთობას.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა 1924 წლის 19 სექტემბერს ნ. ნიკოლაძის მიერ თბილისიდან ლენინგრადში მ. პოლიევქტოვისადმი მიწერილი წერილი.

„ძვირფასო მიშა!

არ ვიცი როგორ გადავიხადო მადლობა ბელოჯუროვის შრომის ორი წიგნისათვის, რომლებიც მივიღე უკვე რამდენიმე დღის წინ. მე აქ არ ვიყავი: გავემგზავრე ჭიხაიშში ჩემი ნივთებისა და წიგნებისათვის...

...საჭიროდ ვთვლი გაგაფრთხილო, რომ მათ შორის ვიპოვნე იმავე ბელოჯუროვის ორივე ტომი „არსენი სუხანოვისა“, ასე რომ თავს ნუღარ შეიწუხებ მათი გამოგზავნით გულითადი მადლობა იმისთვისაც, რაც გამომიგზავნე ასეთ მშვენიერ მდგომარეობაში...

ძალზე მოხარული ვარ, რომ ხელს კიდებ კავკასიასთან რუსეთის ურთიერთობის ისტორიის მასალების გადასინჯვას და ახალ გამოცემას დიდი მთაერის იოანე III-ის დროიდან. ეს საგანი უდიდეს პოპულარიზაციას მოითხოვს, რადგანაც ამ ურთიერთობათა მუდმიუობისა და ბუნებრივობის სწორი შესწავლით შეიძლება საბოლოოდ გამომუშავდეს ურთიერთდამოკიდებულების სისწორეც. შენ სერაიოზულ დახმარებას გაუწევ შენს და განსაკუთრებით ჩვენს ქვეყანას ამ ურთიერთობათა შინაარსის გარკვევით. მე დიდი ხანია ვაპირებდი ამის გაკეთებას და ამგვარი სამუშაოს მთელ აუცილებლობას ვგრძნობდი. მაგრამ მე დილეტანტი ვარ რუსულ ისტორიულ მეცნიერებაში და არ მყოფნიდა საჭირო ერუდი-



ცია ამ ამოცანის შესასრულებლად იმ სისრულეით და შედეგით, რომლის გარეშე იგი დანიშნულებას განსრულებას. შენ კი ზუსტად ამგვარი მიზნის განხორციელებისათვის ხარ შექმნილი და აღზრდილი.

კეთილ ინებე, დროდადრო გამომიგზავნე ხოლმე ახალგამოცემულ ისტორიულ ნაშრომთა კატალოგები. შენ იცი, რაოდენ სიამოვნებას მანიჭებს რუსული სკოლის ყველა ამგვარ ნაშრომთა კითხვა. გამოდის თუ არა ამჟამად რაიმე ისტორიული ჟურნალი რომელიც უნდა გამოვიწეროთ? თუ ასეთი რამდენიმეა, მაშინ ვთხოვ დამიხსიათო მათ შორის სხვაობა და შირჩიო, რომელი გამოვიწერო. ძალზე მადლობელი ვიქნები ყველაფრისათვის“.

მ. პოლივექტოვის მიერ 1924 წლის 6 ოქტომბერს მიწერილი საბასუხო წერილი ორმხრივია საინტერესო: ჯერ ერთი, იგი ასახავს ძველი სკოლის პროგრესულად განწყობილი რუსი ინტელიგენტის, 52 წლის ასაკის იტორიკოსის მსოფლმხედველობასა და განწყობილებას იმ ეპოქაში, როდესაც ახალი, საბჭოური ისტორიული მეცნიერება ისახებოდა, როდესაც მისი ჩამოყალიბებისა და განვითარების ბობოქარ პროცესში, ბუნებრივია, ცალკეული გადახრები და შეცდომებიც ხდებოდა ხოლმე. მეორეც, წერილი საინტერესოა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა ისტორიის თვით პრობლემის ისტორიოგრაფიის თვალსაზრისითაც.

ამ წერილში, მაგალითად, ნათქვამია:

„ძვირფასო ნიკო! ძალზედ მოხარული ვარ, რომ ჩემს მიერ გამოგზავნილმა ბელოჯეროვის წიგნებმა მშვიდობით მოაღწიეს დანიშნულებისამებრ, და უფრო მეტად მიხარია,



რომ შევძელი შენი დავალების შესრულება. შენ იცი, რა დი-  
და სიამოვნებით ვასრულებ ყოველთვის შენს დავალებას.  
სიამოვნებით შეყოლები რუსული ისტორიული მეცნიერების  
სფეროში ყოველა სიახლის კურსში, როგორც კი მე თვი-  
თონ აქ მოვეწყობი და მივიხედ-მოვიხედავ.

მაგრამ უნდა გაგაფრთხილო, რომ ზუსტად ამ სფეროში  
დიდი სიჩუმეა, რაც გამოწვეულია გარეგანი და შინაგანი პი-  
რობებით. იმის ტრადიცია, რასაც შენ ეძახი „რუსულ სკო-  
ლას“ ისტორიულ მეცნიერებაში, შეწყდა და — ვშიშობ —  
დიდი ხნით. სამეცნიერო ისტორიული საზოგადოებები ლე-  
ტარგის მდგომარეობაშია, პერიოდული გამოცემები ეფე-  
მურულია.

ისტორიის სწავლება უმაღლეს სასწავლებლებში დაყვა-  
ნილია არაჩაობაჰდევ. ეს, ჩემის აზრით, დიდი შეცდომაა  
სწორედ დღეს გაბატონებული იდეოლოგიის თვალსაზრისით.

რუსული ისტორიული მეცნიერება ძლიერი იყო თავი-  
სი ტრადიციით, რომელიც ნიადაგს ქმნიდა ახალი მიმართუ-  
ლებების აღმოცენებისა და განმტკიცებისათვის.

სოლოვიოვიდან სერგეევიჩისა და კლუჩევსკისაკენ, გან-  
შტოებით კოსტომაროვისაკენ და, მეორე მხრივ, ბესტუჟევი-  
რიუმინისაკენ და პლატონოვისაკენ, დაბოლოს თითოეული  
დასახელების მოსწავლეთა პლეადისაკენ — სამეცნიერო მუ-  
შაობის ერთი განუწყვეტელი ჯაჭვია. ამავე დროს, თითოე-  
ულ მათგანს აქვს თავისი სახე, არ იმეორებს მხოლოდ თავი-  
სი მოსწავლეების სიტყვებს. დამუშავებულ ნიადაგზე იზრ-  
დებოდნენ და ნაყოფს იძლეოდნენ ახალი მიმართულებები,  
ახალი სკოლები. ბოლოს და ბოლოს ზომ თავით ისტორიკოს-



მარქსისტთა რუსული სკოლის საუკეთესო წარმომადგენლებიც ამ ნიადაგზე აღიზარდნენ, ამ უწყვეტ მეცნიერებათა მუშაობის ატმოსფეროში. მაგრამ ამ ატმოსფეროში შექმნა შესაძლებელია მხოლოდ უმაღლეს სასწავლებლებში ისტორიული მეცნიერების ფართოდ დაყენების პირობებში, ამ უკანასკნელთა მჭიდრო კავშირში სამეცნიერო საზოგადოებებთან და რედაქციებთან.

ყოველივე ამის მოშლა და არაფრამდე დაყვანა ნიშნავს მოჭრას იმ ტოტრსა, რომელზედაც პირველ რიგში თვით მარქსისტულ მიმართულებას ისტორიულ მეცნიერებაში შეეძლო ბრწყინვალე აყვავება მოეცა.

კავკასიასთან რუსეთის ურთიერთობა დიდი პრობლემაა, რომელიც გვიზიდავს საინტერესო პერსპექტივებით, მაგრამ არსებობს მოუცველის უფსკრულში ჩაძირვის საშიშროებაც. ამას ახლა მე განვიცდი ამ სფეროში ჩემს საკუთარ პატარა სამუშაოზე, რომელშიც დღითიდღე სულ ვიძირები და მალე, ალბათ, სულ დავეიძალეები თავიდან ბოლომდე. ყოველ ნაბიჯებზე იმდენია ჯერ არგაკეთებული, იმდენი გაუქვალავი ნიადაგია. ამავე დროს, რაც უფრო სიღრმეში შედიხარ, მით უფრო ყოველი გადაკრული სიტყვა, ყოველი წერილმანიღებულობს სულ უფრო მეტ აზრს და ზოგჯერ მოულოდნელად აღმოგაჩენინებს ისეთ პრობლემებს, რაზედაც არ გიფიქრია ნახევარი საათის წინ.

მაგრამ რამდენი რამის ამოკრეფა შეიძლებოდა ამ თემისათვის, თუნდაც უკვე დიდი ხნის წინ დაბეჭდილი დოკუმენტებიდან, რომლებიც უკელას თვალწინ აქვთ და რომლებშიც, როგორც ჩანს, არავის არ ჩაუხედავს. არქივებზე



უკვე აღარ ვლაპარაკობ. ნეტავ შესაძლებელი გახდეს ჩემს განხორციელება, რაზედაც ორი წლის წინ ლაპარაკობდით და დო ი. ა. ჭავჭავაძის — ახალი გამოცემა რუსეთის საგარეო დიპლომატიის ურთიერთობის ძეგლებისა. აი სფერო, რომელშიც მე-აქ დიდი სიამოვნებით დახმარებას გაუწევე ქართულ მეცნიერებას.

ახლა კი ამ დიდი ასპარეზის პატარა ნაკვეთი მაინც დავამუშაოთ. ვფიქრობ, რომ ჩემს მიერ მომზადებული ახალი გამოცემა ტოლოჩანოვის მისიისა იმერეთში 1650 წ., თუ იგი ოდესმე გამოიცა, დაადასტურებს, რომ თბილისის უნივერსიტეტს არ წაუგია არაფერი ამ ზაფხულს მოსკოვში ჩემი გაგზავნით.

ზოგჯერ კი, რომ არ ჩავიძირო წერილმანებში, ვერთობი ხოლმე საერთოდ ზოგადი მოსაზრებებით ამავე თემაზე. მაგალითად, ამეამად თავისუფალ დროს, ერთი ეურნალის წინადადებით, ვფიქრობ პატარა ნაშრომზე დაახლოებით ასე: რუსეთი და კავკასია როგორც პრობლემა რუსეთის საგარეო პოლიტიკის ისტორიისა.

მინდა საკუთარ თავს პასუხი გავცე, თუ რა ხაზით და როგორ უნდა წარიმართოს მუშაობა ამ დარგში საკითხის უფრო სწორად დაყენების თვალსაზრისით და უმეტესი გემამაზომიერების უზრუნველყოფისათვის“.

არანაკლებ საინტერესოა ნ. ნიკოლაძის აზრი მ. პოლიევქტოვის პუბლიკაციების შესახებ. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ რამდენიმე ამონაწერს. მაგალითად, 1926 წ. 21 ივლისის თბილისიდან მოსკოვში მ. პოლიევქტოვისადმი მიწე-



რილ წერილში ნ. ნიკოლაძე წერდა: „შენმა პროცესის წერილმა ძალიან გამახარა. განსაკუთრებით კი შეფუთვებში პირველთან თავად მიშეცეის ელჩობის მუხლობრივი აღმოჩენის ამბავმა. ამ მეფის ამ პერიოდის შესახებ ხომ არავითარი ცნობები არ გვაქვს და ამ სიის მონაცემები უდიდეს ისტორიულ მასალას წარმოადგენენ. ყველა, ვინც შენი ნაბოვნის შესახებ შეიტყო, აუწერელ აღფრთოვანებაში მოვიდა, განსაკუთრებით კი ვუკოლ ბერიძე, რომლის მოწონება ესოდენ მნიშვნელოვანია. მე განსაკუთრებით ის მახარებს, რომ ამ ძეგლის მონაცემები საბოლოოდ ჩაშლიან საქართველოზე შარდენის ჩანაწერების მნიშვნელობას. შარდენი ოსტატურად მოატყუეს კათოლიკე მისიონერებმა, რომელთა ტრაბახი თავიანთ არარსებულ გმირობასა და პროპაგანდის მიღწევებზე *in partibus infidelium* მან სიმართლედ მიიჩნია. ხოლო მის მიერ აღწერილი ქვეყნის უცოდინარობა იქამდე მიდის, რომ, ვაიარა რა გზა ხოფა-ბათუმიდან ახალციხემდე და ვორამდე, ამტკიცებს, რომ თითქოს კავკასიონის ძირითადი ქედი გადაიარა<sup>13</sup>. მისი ცნობების არასისწორესთან დაკავშირებით, რასაც შენ მიერ გამოცემული ტოლჩანოვის მუხლობრივი სია ამტკიცებს, თავად მიშეცეის სია XVII საუკუნის შუახნის აღმოსავლეთ საქართველოს თავისი ქვეშაირიტი სახით წარმოგვიდგენს და არა იმ მატყუარა სახით, როგორც ამას კათოლიკე ბერები ხატავდნენ, რათა ევროპის თვალში თავიანთი მოღვაწეობა გაეზვიადებინათ. შენ ეს ახა-

<sup>13</sup> იხ. ე ა ნ შ ა რ დ ე ნ ი ს მ ო გ ზ ა უ რ ო ბ ა ს პ ა რ ს ე თ ს ა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში. ფრანგულიდან თარგმნა, გამოკლევია და კომენტარები დაურთო მ. შვალაბლიშვილმა. თბ., 1975.



ლი სია უნდა გადაიწერო და ჩამოიტანო, რათა  
ლიბა მალე გამოაქვეყნო\*.


პ. რ. ც. ნ. შ. მ.

1924 წ. 28 ოქტომბერს ნ. ნიკოლაძე ელენე  
წერდა: „მიშა მოსკოვშია, მივლინებაში. იქაურ არქივებში  
მეშაობს და აპირებს იმერეთში აღექსი მიხეილის ძის დრო-  
ანდელ ტოლჩანოვის ელჩობის კრიტიკულ გამოცემას, რო-  
მელიც მე 1888 წელს სათაურით „იმერეთი 1650 წელს“  
„ნოვოე ობოზრენიეში“ საკმაოდ დაუდევრად დაებეჭდე.  
ასეთი ვეებვრთელა რამის დაბეჭდვა ყოველდღიურ გაზეთში  
ჩემს მხრივ უაზრობა იყო, არ შეიძლებოდა შენიშვნებისა და  
ვანმარტებების დატევა. ვერც ბეჭდვით შეცდომებს აუვლი-  
დით გვერდს. ახლა ჩვენი უნივერსიტეტი ამ ხელნაწერის  
მთელი ხელოვნებით გამოცემას აპირებს“.

1926 წ. 11 ივლისს იმავე პიროვნებისადმი მიწერილ წი-  
რილში ნ. ნიკოლაძე აღნიშნავდა: „მიშა პოლიეგქტოვმა  
უკვე გამოსცა (რუსულ ენაზე) პირველწყაროებზე მეცნი-  
ერულად შემოწმებული „სტოლნიკ ტოლოჩანოვისა და  
დიაკ იველევის ელჩობა იმერეთში 1650-1652 წლებში“, რო-  
გორც დასაწყისი სერიისა „საქართველოს საერთაშორი-  
სო კავშირები უცხო ქვეყნებთან“. სამი კვირის წინ  
მიშა ვაკაციებზე წავიდა მოსკოვში იქაურ არქივებში სამუშ-  
აოდ. სამი დღის წინათ კი წერილით გამახტა. მწერს, რომ  
აღმოაჩინა დღემდე სრულიად უცნობი დოკუმენტი „თავად  
უფიმ მიშეცკის კახეთში 1641-1642 წწ. ელჩობის მუხლობ-  
რივი სია მეფე თეიმურაზ პირველისათვის ნაბოძები სიგელი-

14 გამოჩენილი ქართველი მწერლისა და პუბლიცისტის გიორგი წე-  
რეთლის ქალიშვილი, ფრანგი აკადემიკოსის დემოლონის მეუღლე.





თურთ". როგორც ტოლოჩანოვის ელჩობა წარმოადგენს XVII საუკუნის შუახნის იმერეთის შესანიშნავ გეოგრაფიულ პოლიტიკურ აღწერილობას, ასევე მიშეცკის ეს ელჩობა უსაველეთ საქართველოს იმავე პერიოდის აღწერილობას იძლევა. ამ ძეგლის მეორე მნიშვნელობა ის არის, რომ აქამდე ისტორიულმა მეცნიერებამ თეიმურაზ პირველის ამ დროის მოღვაწეობაზე არაფერი იცოდა. ჩვენი ახალგაზრდა უნივერსიტეტისათვის ამ ძეგლის გამოქვეყნება ახალი დიდების გვირგვინი იქნება. ამ რამდენიმე ხნის წინ, რუსული ისტორიის ბრწყინვალე მცოდნე აკადემიკოსი ს. თ. პლატონოვი მიშას წერდა, რომ „ტოლოჩანოვის ელჩობის“ მისი გამოცემა საუკეთესო წიგნია იმ ნაშრომებს შორის, შარშან რომ გამოიცა რუსეთის ისტორიის დარგში. თუკი ასეთი მნიშვნელობა აქვს ტოლოჩანოვის ელჩობას, რომელიც ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში იყო გამოქვეყნებული ნოვიკოვის მიერ, ხოლო XIX საუკუნეში ჩემ მიერ, წარმოიდგინე რა იქნება გამოცემა დღემდე უცნობი მიშეცკის ელჩობისა, რომელიც შეიცავს XVII საუკუნის შუახნის საქართველოს აღწერილობას. ეს იქნება საბოლოო ვათახსირება შარდენის ჩანაწერებისა, რომელმაც წმინდა ფრანგული ქარაფშუტობით ჩაიწერა არა თავისი პირადი დაკვირვებები იმ ქვეყნებზე, რომლებსაც ეწვია, არამედ ის ჭორები და ტრამაზი, რაც მას ჩაეგონეს კათოლიკე ბერებმა, რომლებსაც მთელი გულით სძაგდათ ის ქვეყნები, სადაც თვალთმაქცობდნენ. ისარგებლეს რა მიმნდობი მსმენელის ადგილობრივი ენისა და ტრადიციების უცოდინარობით, გააზვიადეს თავიანთი „აპოსტოლატის გამირობები ურწმუნო ქვეყნებში“. ტოლოჩანოვმა უკვე ნა-



ხევარზე მეტად გააქარწყლა შარდენის ჩანაწერების მნიშვნელობა. ეჭვი არ მეპარება, რომ „მიშეცის ელჩებთან“ საბოლოოდ გაანადგურებს განსაკუთრებით კავკასიის ხელისუფლების თვალსთან დაკავშირებით“.

უდიდესი საცნობარო-საინფორმაციო მნიშვნელობა აქვს მ. პოლიევქტოვის მიერ გამოცემულ ორ წიგნს XIII—XIX საუკუნეებში კავკასიაში ევროპელი მოგზაურების შესახებ<sup>15</sup>. უნდა აღინიშნოს აგრეთვე მ. პოლიევქტოვისა და პროფ. გ. ნათაძის მიერ ცალკე კრებულის სახით გამოცემული უცხოელი მოგზაურების ცნობები ძველი თბილისის შესახებ.

საარქივო მასალებზე პრაქტიკულად მუშაობისათვის გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება მ. ა. პოლიევქტოვის სტატიას რუსეთ-საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობის დოკუმენტების შემადგენლობისა და რუსეთის საგარეო საქმეთა საგანგვიში არსებული საქმის წარმოების წესის შესახებ. ეს ნაშრომი 1940 წ. თბილისის უნივერსიტეტის შრომებში დაიბეჭდა<sup>16</sup>.

პუბლიკაციებისა და არქივთმცოდნეობის დარგში წარმოებული დიდი სამუშაოების გარდა მ. ა. პოლიევქტოვს გამოკვლევებაც ეკუთვნის. მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, უნდა დავასახელოთ ნაშრომი XVII საუკუნის მოსკოვის სახელ-

<sup>15</sup> М. А. Полиевктов, Европейские путешественники XIII—XVIII вв. по Кавказу, Тифл., 1935; его же, Европейские путешественники по Кавказу 1800—1830 гг., Тб., 1946.

<sup>16</sup> М. А. Полиевктов, Делопроизводственный генезис и состав документов дипломатических сношений России с Грузией московского периода (XVI—XVII вв.), «Труды Тбилисского университета», 1940, т. II.



მწიფოს მიერ კავკასიაში წარმოებული პოლიტიკური და ეკონომიკური დაზვერვების შესახებ<sup>17</sup>. ამ ნაშრომებში აღწერილია პირველწყაროების დაწვრილებითი ანალიზის საფუძველზე XVII საუკუნეში რუსეთსა და კავკასიას შორის მიმოსვლისა და ტრანსპორტის ტექნიკურ საშუალებათა პირობები. განხილულია დაზვერვითი მუშაობის ტექნიკა, რომელსაც საელჩო პრივაზი როგორც საქართველოდან რუსეთში ჩასული ელჩების, ისე საქართველოში და საერთოდ კავკასიაში გაგზავნილი თვით რუსი ელჩებისა და ეაქრების მეშვეობით ახორციელებდა. აღწერილია საქართველოში გამოგზავნილი რუსეთის ელჩობათა მარშრუტები, შრომას დართული აქვს აგრეთვე საინტერესო რუკები და სქემები. რუსეთის მთავრობისათვის საინტერესო საკითხების ხასიათის განხილვისას მ. პოლიევქტოვი აღნიშნავდა, რომ XVII საუკუნეში საქართველოში გაგზავნილ ელჩებს, ჩვეულებრივ, ორი „ანკეტა“ ეძლეოდათ: 1. პოლიტიკური და 2. სტატისტიკურ-ეკონომიკური, რომელთა მიზანს შეადგენდა: 1. ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობის შესწავლა; 2. მოსახლეობის, მისი საერთო რიცხვისა და დასახლებული პუნქტების რაოდენობის შესახებ ცნობების შეგროვება; 3. მოსახლეობის საერთო-პოლიტიკური განწყობილებისა და ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ დამოკიდებულების გარკვევა; 4. ქვეყნის ეკონომიკის შესწავლა; 5. სამხედრო ორგანიზაციის გამორკვევა.

თავისი შრომის დასასრულს ავტორი ასკვნის, რომ უკვე

<sup>17</sup> М. А. Полневков, Экономические и политические разведки Московского государства XVII в. на Кавказе, Тифлис, 1932.



XVII საუკუნეში მოსკოვის სახელმწიფო კავკასიაში წინსვლისათვის საგულდაგულოდ ემზადებოდა, ზეგანაკენი შესაძლებლობებსა და სიძნელეებს, რომლებსაც აქ მოუხდა. მან შეხვედროდა. მ. პოლიევქტოვის სამართლიანი მითითებით: „... კავკასიაში რუსული კაპიტალიზმის კოლონიური შეტევის მეცნიერულ ავანგარდს, XVIII და XIX სს. „აკადემიურ“ კავკასიისმცოდნეობას, თავისი უშუალო წინამორბედები ჰყავდა XVII საუკუნის მოსკოვის კავკასიისმცოდნეობითი ძიებების სახით. ერთისა და მეორის შესწავლა, მათ ერთიერთადმოკიდებულეებაში და კავკასიაში რუსეთის კაპიტალიზმის პოლიტიკასთან მჭიდრო კავშირში, არის თანამედროვე საბჭოური მარქსისტული კავკასიისმცოდნეობისათვის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა“<sup>18</sup>.

პეტრე პირველის კასპიისპირეთში ლაშქრობის ეკონომიკურ მიზნებს მ. ა. პოლიევქტოვმა ორი ნაშრომი მიუძღვნა<sup>19</sup>.

XVIII საუკუნის რუსული კავკასიისმცოდნეობის ისტორიის საკითხებზე ორ სპეციალურ სტატიაშია განხილული<sup>20</sup>.

<sup>18</sup> М. А. Полиевктов, Экономические и политические разведки Московского государства XVII в. на Кавказе, Тифл., 1932, с. 54.

<sup>19</sup> М. А. Полиевктов, Проект Бругемана и русская оккупация прикаспийских областей в двадцатых годах XVIII века, в кн. «К истории прикаспийского вопроса», Тифл., 1934; М. А. Полиевктов, Проект хозяйственной эксплуатации оккупированных в XVIII в. Россией прикаспийских областей Кавказа, в «Материалах по истории Грузии и Кавказа», 1937.

<sup>20</sup> М. А. Полиевктов, Из истории русского академического Кавказоведения XVIII в., «Известия АН СССР, отд. общ.



თავის შრომებში მეცნიერი შეეხო XIX საუკუნის დასაწყისის საქართველოს ისტორიის პრობლემებს, არქეოლოგიის საკითხებსაც. მაგალითად, 1819—1826 წლებში მერეთის, გურიისა და სამეგრელოს აჯანყების საარქივო საქმეს,<sup>21</sup> მასალებს 1832 წ. შეთქმულებისა და ალექსანდრე ჭავჭავაძის მოღვაწეობის შესახებ და სხვ.

მ. პოლიევქტოვს დიდი ამაგი მიუძღვის 1832 წლის შეთქმულების ისტორიის მასალების შეგროვებისა და ლენინგრადიდან თბილისში გადმოტანის საქმეში<sup>22</sup>.

მ. ა. პოლიევქტოვმა სპეციალური შრომა მიუძღვნა საქ. სსრ ცენტრალურ არქივში დაცულ კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის მემკვიდრეობას<sup>23</sup>. მ. პოლიევქტოვსავე ეკუთვნის აგრეთვე სენატორების — კუტაისოვისა და მეჩნიკოვის მიერ ამიერკავკასიის მხარის რევიზიის ლენინგრადში დაცული საარქივო მასალების მიმოხილვაც<sup>24</sup>.

მოღვაწეობის ბოლო პერიოდშიც მ. პოლიევქტოვი არ ივიწყებდა ხელოვნების ისტორიის თემატიკას. მაგალითად,

наук», 1935, № 8; Е го же. Архивные данные о смерти на Кавказе академика Самуила Готлиба Гмелина (младшего) по документам Цетрархива ССР Грузии, в «Известиях Кавказского историко-археологического института», Тифл., 1925, т. III.

<sup>21</sup> „საისტორიო მოამბე“, 1924, ტ. 2.

<sup>22</sup> ცნობა ამის შესახებ პროფ. ა. კიკვიძემ მოგვამოდა.

<sup>23</sup> „საისტორიო მოამბე“, 1925, ტ. 2.

<sup>24</sup> იხ. „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები“, 1940,



1941 წელს „კულტურისა და ხელოვნების ისტორიის მუზეუმის შრომების“ კრებულში მან გამოაქვეყნა მუზეუმის კატალოგის I ტომის შესახებ<sup>22</sup>.  
XVI-XVII საუკუნეებში საქართველოში მყოფი მოსკოველი მხატვრების შესახებ<sup>23</sup>.

მაგრამ მ. პოლივექტოვის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ძირითადი საგანი მაინც კავკასიაში რუსეთის მიერ გატარებული პოლიტიკის ისტორიის შესწავლა იყო.

ამ დარგში დაწერილმა ნაშრომებმა, განსაკუთრებით ძვირფასმა პუბლიკაციებმა, დიდი როლი ითამაშეს რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობათა ისტორიის შემდგომი შესწავლისა და კვლევითი სამუშაოების ყოველმხრივი განვითარებისათვის.

---

<sup>22</sup> М. А. Подневктов, Новые данные о московских художниках XVI—XVII вв. в Грузии, в сб. «Труды метехского музея истории, культуры и искусства», 1941.

ი. ანთილავა. XVIII საუკუნის საქართველოს  
სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხასიათის  
საკითხისათვის\*

(სოფლის მასალების მიხედვით)

XVIII ს-ის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკითხები ქართულ ისტორიოგრაფიაში ყოველთვის ყურადღების ცენტრში იდგა. ამ პრობლემას არაერთი მკვლევარი შეხებია. მაგრამ დღეს ამ პრობლემისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება განპირობებულია ძირითადად იმით, რომ XVIII საუკუნე საქართველოს ისტორიაში წარმოგვიდგება იმ ეტაპად, როდესაც ქართულ ფეოდალურ საზოგადოებაში ჩასახვას იწყებს ახალი, კაპიტალისტური საზოგადოების ელემენტები, რაც პროგრესული განვითარების მაუწყებელი იყო, ხოლო, მეორე მხრივ, შეიმჩნევა ფეოდალური საზოგადოების გადაგვარების, რევრუსული ხასიათის ზოგიერთი მოვლენა, რაც განპირობებული იყო უაღრესად არახელსაყრელი საგარეო ვითარებით. XIII საუკუნიდან მოყოლებული გარეშე მტრების გამუდმებული ბარბაროსული თავდასხმები, ბუნებრივია, ამუხრუჭებდნენ

\* პირველად დაიბეჭდა ვერნალ „მაცნეში“ (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია), 1977, № 3.



ქვეყნის წინსვლას, საშუალებას არ აძლევდნენ ნორმალური ცხოვრებისათვის, ქვეყნის ნორმალური განვითარებისათვის. კ. მარქსი და ფ. ენგელსი საგანგებოდ აღნიშნავდნენ, რომ ბარბაროსული თავდასხმები იწვევდნენ ქვეყნის საწარმოო ძალების განადგურებას, რომ საკმარისი იყო უბრალო შემთხვევებიც, მსგავსი ბარბაროსული ხალხების შემოსევისა, ან ჩვეულებრივი ომები იმისათვის, რომ მათი მსხვერპლი ქვეყანა თავისი განვითარებული საწარმოო ძალებითა და მოთხოვნილებებით იძულებული გამხდარიყო ყოველივე თავიდან დაეწყო<sup>1</sup>. „თავისთავად ცხადია, — წერდა ფ. ენგელსი, — რომ ყოველთვის, როცა დამპყრობლად ნაკლებ კულტურული ხალხი გამოდის, ეკონომიური განვითარება ფერხდება, ხოლო საწარმოო ძალები ნადგურდება“<sup>2</sup>.

სწორედ ამის შედეგი იყო ის, რომ საქართველო ცალკე სამეფო-სამთავროებად დაყოფილი აღმოჩნდა, ხოლო სახელმწიფოში, ცენტრალური ხელისუფლების დასუსტების გამო, სათავადოებმა პოლიტიკურად გაიმარჯვეს, რაც ფეოდალური საზოგადოების განვითარების საერთო პროცესში უპირისპიდე უარყოფითი მოვლენა იყო. იგი რევრესულ როლს თამაშობდა.

განკურნება ამ მიმე სენისაგან და ამავე დროს გამოსწორება იმ რთული საგარეო მდგომარეობისა, რომელიც ქვეყნის შიგნით რეაქციულ ძალებს ხელს უწყობდა, ქართული ფეოდალური საზოგადოების პროგრესული ძალების ძირითად ამოცანას წარმოადგენდა. ამდენად, ბრძოლა ქვეყნისათვის სა-

<sup>1</sup> К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 3, с. 54.

<sup>2</sup> ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, თბ., 1952, გვ. 216.





ჭირთ პირობების შესაქმნელად, ბრძოლა ქვეყნის შემდგომი პროგრესისათვის უაღრესად რთულ ვითარებაში შექმნი-  
 რებოდა. ამიტომაც გვიანფეოდალური ხანის საქართველოს  
 ისტორიაში ჩვენ ვხედავთ, ერთი მხრივ, ქვეყნის განვითა-  
 რების პროგრესულ ნიშნებს, ხოლო მეორე მხრივ, რევრე-  
 სულ მოვლენებსაც სათავედოთა სისტემის ბატონობის  
 „ტყვის სყიდვის“ და „ლეკიანობის“ სახით.

ესოდენ წინააღმდეგობებით აღსავსე მოვლენების გარ-  
 ევევამ და განვითარების საერთო ხასიათის დადგენამ იმთა-  
 ვითვე მკვლევართა დიდი ინტერესი გამოიწვია. მაგრამ ამ  
 რთული პრობლემების მეცნიერულ შესწავლას ელოებოდა  
 ის გარემოება, რომ ჩვენ არ გავგაჩნდა არავითარი სტატის-  
 ტიკური მონაცემები იმდროინდელი საქართველოს რომელი-  
 ზე სამეურნეო დარგისა და, მით უმეტეს, ქვეყნის საერთო-  
 ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ.

მიუხედავად ესოდენ არახელსაყრელი ვითარებისა, ამ  
 მიმართულებით ქართულმა ისტორიულმა მეცნიერებამ  
 მაინც დიდი წარმატება მოიპოვა. მკვლევართა მიერ გაწეუ-  
 ლი თავდადებული შრომის შედეგად ახალი დოკუმენტური  
 მასალის გამოვლენის, ახალი ფაქტების დადგენისა და რთუ-  
 ლი წყაროთმცოდნეობითი მეთოდების გამოყენების მეშვე-  
 ნობით შეგვექმნა გარკვეული საფუძველი გვიანფეოდალური  
 ხანის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების  
 ხასიათის დასადგენად.

ბუნებრივია, რომ ესოდენ რთულ საკითხებზე მეცნი-  
 ერებაში გამოითქვა სხვადასხვა საწინააღმდეგო მოსაზრება.  
 რაც შეეხება XVIII ს-ის სოციალურ-ეკონომიკური განვი-



თარგმის ხასიათის გარკვევას ისტორიოგრაფიულ რევენ შემდეგი სურათი გვესახება.

1902 და 1904 წლებში ფ. ვოგიჩაიშვილმა, ხოლო 1912 წ. ს. ავალიანმა XVIII ს-ის მიწურულისა და XIX ს-ის საქართველო წარმოდგინეს ნატურალური მეურნეობის ტიპური ფორმების ფარგლებში ჩამორჩენილ ქვეყნად.

1924 წ. ს. კაკაბაძემ აღნიშნა XVIII ს-ის მეორე ნახევრის ქართლ-კახეთის ეკონომიკური ცხოვრების თვალსაჩინო გამოცოცხლება, თუმცა იმავე დროს წერდა, რომ „მიუხედავად რუსეთთან საქარაენო გზის გახსნისა და მათთან ეკონომიური განვითარებისათვის ახალ შესაძლებლობათა მიღებისა, ქართლ-კახეთი ჩიხში იყო მომწყვდეული და ვერ ახერხებდა თავისი ეკონომიური მდგომარეობის თვალსაჩინოდ გამაჯრებას“<sup>3</sup>. 1930 წ. ს. კაკაბაძე წერდა XVIII ს-ის მეორე ნახევრის ქართლ-კახეთში ეკონომიკური ცხოვრების საგრძნობი აღორძინების შესახებ, ხოლო 1956 წ. ჟურნალ «Вопросы истории»-ს ფურცლებზე გამოქვეყნებულ რეცენზიაში დავით გვრიტიშვილის ნაშრომზე „სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან ფეოდალურ საქართველოში“ ს. კაკაბაძემ გაატარა ის მოსაზრება, რომ მიუხედავად მრავალი დამაბრკოლებელი გარემოებისა, XVIII ს-ის ქართლ-კახეთის ცხოვრებაში ადგილი ჰქონდა გარკვეულ ძვრებს, რომლებიც ერთგვარ საფრთხეს უქმნიდნენ ფეოდალურ ურთიერთობას. თავის რეცენზიაში ს. კაკაბაძემ აღიარა კაპიტალისტური წყობის არსებობა აღმოსავლეთ საქართველოში.

<sup>3</sup> ს. კაკაბაძე, საქართველოს ეკონომიური განვითარების შესახებ მე-18-ე საუკუნეში, ჟურნ. „მნათობი“, 1924, № 3, გვ. 272.



1930 წ. გ. ნათაქმ მიმოიხილა XVIII ს-ის მიწურულის საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა და მისი განვითარების საქონლო წარმოების განვითარება, საბაზრო კავშირითი-ერთობათა გაფართოება, მიწების ყიდვა-გაყიდვის გაძლი-ერება, მამულების დამრგვალება, ილაპარაკა რაციონალურ საფუძველზე მოწყობილ მეურნეობებზე, შესავალ-გასავლის ზუსტ აღრიცხვაზე მსხვილ მეურნეობებში და სხვ.

1934 წ. ნ. ბერძენიშვილმა მოხსენება წაიკითხა, ხოლო 1937 წ. გამოაქვეყნა თავისი ნაშრომი „სამღებროთა შესა-ხებ XVIII საუკუნის საქართველოში“. ფაქტობრივი მასა-ლის ღრმა ანალიზის გზით ნ. ბერძენიშვილმა დაასკვნა, რომ სამღებრო საქმეში შუასაუკუნეობრივი ხელისნური წარმო-ების გვერდით არსებობდა მანუფაქტურული წარმოებაც.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკითხებს ნ. ბერძენიშვილი არაერთგზის შეეხო თავის მრავალრიცხოვან შრომებში. რაც შეეხება XVIII საუკუნეში, კერძოდ კი, მის მეორე ნახევარში მიმდინარე პროცესის ხასი-ათს, ნაშრომში „საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტო-რიული მნიშვნელობისათვის“ მან კონკრეტულად და მისთვის ჩვეული ფართო განზოგადების უნარით გადმოგვცა თავისი შე-ხედულება. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ვრცელ ამონაწერს აღნიშნული ნაშრომიდან.

„...XVI საუკუნეში საქართველოში თავი იჩინა მეტად მძიმე ნიშანდობლივმა მოვლენამ, რაც საზოგადოებრივი გან-ვითარების დაჩიხულობის ნიადაგზე ფეოდალური საზოგადო-ების გადაგვარების, ფეოდალური საზოგადოების დაშლის მო-მასწავებელი იყო. ეს იყო „ტყვეთა სყიდვა“ და „ლეკიანო-



ბა“. ყველა და ყველაფერი, რაც კი ქართულ ფეოდალურ საზოგადოებაში პროგრესული იყო, ამ სოციალურ-ეკონომიკურ ნააღმდეგ ბრძოლად იყო მოწოდებული, ყველა და ყველაფერი, რაც კი საქართველოში რეაქციული იყო, ხელს უწყობდა ამ სენის გავრცელება-განმტკიცებას... ყველა ამათი (ე. ი. რეაქციული ძალების—გ. პ.) მფარველი და წამქეზებელი იყო ყიზილბაშური სპარსეთი და, განსაკუთრებით ოსმალეთი.

საქართველოს ფეოდალური საზოგადოების პროგრესული ნაწილი მხნედ იბრძოდა ამ მოვლენის აღმოსაფხვრელად თუმცა, ვიდრე ის ამ ბარბაროსულ გარემოცვაში იმყოფებოდა, ვიდრე ქვეყნის შიგნით სათავადო-სამთავროების სისტემა მტკიცე იყო, ხოლო გარშემო მათი მფარველი ირან-ოსმალეთი ქვეყანას დასამონებლად შემოსდგომოდნენ, — ამ სოციალური სენისაგან განკურნება ქართულ ფეოდალურ საზოგადოებას არ შეეძლო, მაგრამ, მეორე მხრით, თუ ეს მოვლენა ქართული ფეოდალური საზოგადოების დაავადების მოწმობა იყო, ამ დაავადების წინააღმდეგ დაულალავი ბრძოლა იმას ნიშნავდა, რომ ეს საზოგადოება სოციალისტურ ხალხურ ინარჩუნებდა, პროგრესისათვის იბრძოდა“<sup>4</sup>.

ერეკლე მეორის საშინაო და საგარეო პოლიტიკის დახასიათებისას კი ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავდა: „ბურჯუაზიის („ევროპის“) გამარჯვების ამ საუკუნეში ერეკლე II საქართველოს ტიპური მეფე აღარ იყო. ამის საბუთია მისი

<sup>4</sup> ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, V, თბ., 1971, გვ. 167.



დაუცხრომელი ზრუნვა იმსათვის, რომ თავისი ქვეყანა „ევროპულად“ მოეწყო. ღონისძიებანი სამხედრო-სამოქალაქო ასპარეზზე, რეფორმები სახელმწიფო-სამართლის საქმეში, ახალი წამოწყებანი ეკონომიკისა თუ კულტურის დარგში, — თანხმობით მოწმობდნენ, რომ მზადდებოდა პირობები ახალი საქართველოს წარმოქმნისათვის, რომ თავადურ-ბატონყმური სისტემა პომეშიჩიერ-ბატონყმური სისტემით უნდა შეცვლილიყო, რომ ქვეყანა ბურჟუაზიული განვითარების გზაზე უნდა დამდგარიყო. მართლაც და თავადების შევიწროება (ზოგი სათავადოს სავსებით მოშლა, ზოგის შემცირება), „ახალთავადების“ (პომეშიჩიების) გაჩენა (ლეონიძე, ოსეშვილი, არღუთაშვილი), საგლეხო კანონები, საქალაქო წყობილების წესები, კანონი მოქალაქის საკუთრების შესახებ, სახელმწიფო წყობილების საკითხები (მმართველობის დარგობრივი დანაწილება: სამხედრო, საგარეო საქმეთა, სისამართლო, სასწავლო-საგანათლებლო), სამხედრო რეფორმის ცდები (ახატ-მოლაშქრეთა ინსტიტუტის შექმნა, მორიგე, რეგული), მსაჯულთ შეკრებულობის ინსტიტუტი (მდივანბეგების სასამართლო), საქარზნო-საფაბრიკო წარმოების დანერგვის ცდები (შაქრის, მინის, შალის, ჩარალის), სამთამადნო (სპილენძის, ოქრო-ვერცხლის, თუჩის, რკინის) წარმოების წამოწყება, ზარაფხანის განახლება, კულტურა-განათლების საქმეები: სტამბის განახლება, სემინარიების დაარსება, განათლებულ მოღვაწეთა ძლიერი დასის წარმოქმნა, გაცხოველებული თარგმნა სამეცნიერო-პოლიტიკური თუ მხატვრული ლიტერატურისა რუსული ენიდან, — ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, ფეოდალურ-თავადურ ქვე-



ყანას აღარ ეგუებოდა და ამზადებდა პირობებს იმ პოლიტიკური ნახტომისათვის, რომელსაც მხოლოდ ერთეულმა საქართველოს სახელმწიფოებრივი არსებობა დაერჩინა<sup>6</sup>.

1937 წ. დ. უჩანეიშვილი შეეხო XVIII ს-ის მეორე ნახევარში აღმოსავლეთ საქართველოს ეკონომიკური განვითარების საკითხს. ავტორმა განიხილა აღმოსავლეთ საქართველო როგორც ნატურალური მეურნეობის ქვეყანა და უარყო კომუტაციის თვით ცალკეული შემთხვევაც კი.

1941 წ. გამოქვეყნებულ ნაშრომში „კაპიტალიზმის წარმოშობა და განვითარება საქართველოსა და ამიერკავკასიაში“ პ. გუგუშვილმა ხაზი გაუსვა მანუფაქტურული წარმოების არსებობას XVIII საუკუნეში.

დ. გერიტიშვილმა მონოგრაფიულად შეისწავლა ქართლის სათავადოები და 1955 წ. გამოქვეყნებულ ნაშრომში „ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან“ ხაზი გაუსვა იმ ვითარებას, რომელიც ხელს უწყობდა სათავადოების გამარჯვებას.

1954 წ. გამოქვეყნდა მ. დუმბაძის და ზ. ანჩაბაძის თეზისები „საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარების ხასიათის საკითხისათვის XIX ს. რეფორმამდე პერიოდში“, სადაც გატარებულია ის აზრი, რომ XVIII საუკუნეში საქართველოში „... ჯერ კიდევ არ იყო შექმნილი სათანადო პირობები სოციალურ-ეკონომიური განვითარებისათვის“ და

<sup>6</sup> 6. ბ ე რ ტ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, V, გვ. 176—177.


რომ „კაპიტალისტურმა ელემენტებმა ამ დროს სათანადო განვითარება ვერ პოვეს“.

აქვე საჭიროა აღინიშნოს, რომ შემდგომ <sup>მარქსიზმის</sup> ~~განვითარების~~ ნაწილობრივ შეიცვალა შეხედულება და XVIII საუკუნეში თავისუფალ გლეხთა ფენის არსებობა აღნიშნა, „ახალი საზოგადოების წანამძღვარ მოვლენებზე“ მიუთითა.

ა. როგაეა დიდი ხნის განმავლობაში გამოდიოდა იმის მტკიცებით, რომ XVIII ს-ის მეორე ნახევრის საქართველოში მტკიცედ ჩამოყალიბდა კაპიტალისტური წყობა (капиталистический уклад). ამის თაობაზე თავისი შეხედულება ა. როგაეამ გაუზიარა მკითხველებს 1956 წ. გამოცემულ ნაშრომში «Обозрение Грузии по части права и законовещения Давида Багратиони» და 1974 წ. დაბეჭდილ მონოგრაფიაში «Зачатки капитализма в Грузии и политика Ираклия II».

1959 წ. შ. მესხიამ თავის მონოგრაფიაში «Города и городской строй феодальной Грузии» დაამტკიცა რომ XVIII ს-ის მეორე ნახევრის საქართველოს ქალაქები თავისი ხასიათით ფეოდალური იყო, მაგრამ იქ მიმდინარე პროცესები მანუფაქტურული წარმოების წარმოშობის სახით, ვაჭრობის განვითარებისა და ვაჭარ-მოქალაქეთა უფლებების გაფართოებით და სხვ. ხელს უწყობდნენ ახალი ურთიერთობის განვითარებას.

იმავე 1959 წ. ვ. ჩანტლაძემ ნაშრომში „სულხან-საბა ორბელიანის ეკონომიკური შეხედულებანი“ აღნიშნა სასაქონლო-ფულადი მეურნეობის განვითარება, ფულადი რენტის ხვედრითი წონის ზრდა, სოფელსა და ქალაქს შორის



შრომის დანაწილების პროცესის გაღრმავება, მანუფაქტურების წარმოშობა, მიწების გაყიდვის ზრდა და აქტიურობის დაყრდნობით დაასკვნა, რომ XVII საუკუნის მეორე ნახევარში და XVIII საუკუნის დამდეგიდან, უფრო გამოკვეთილად კი XVIII საუკუნის მეორე ნახევარიდან, საქართველოში შემჩნევა „ფეოდალიზმის დაშლის ელემენტები“.

XVIII ს-ის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ისტორიის საკითხებს არაერთი ნაშრომი მიუძღვნა გ. აკოფაშვილმა. მან სამეცნიერო ბრუნვაში შემოიტანა ახალი მასალები, განიხილა ახალი ტიპის მებატონეების („პომეშჩიკების“) მეურნეობები, რომელსაც განსაკუთრებულად ახასიათებდა წარმოების პროცესის რაციონალიზაცია, მკიდრო კავშირი ბაზართან, შეისწავლა ფულადი საბატონო გადასახადების ფაქტები, რენტის ფორმები, აღნიშნა თავისუფალწარმოებელთა რიცხვის ზრდა და სხვ. გ. აკოფაშვილის დასკვნით, XVIII ს-ის 40—80-იან წლებში აღმოსავლეთ საქართველოში აღვილი ჰქონდა ეკონომიკური ცხოვრების გამოცოცხლებას, იგი შეუჩერებელი აღმავლობის გზით მიდიოდა, ხდებოდა ეკონომიკური ცხოვრების ახალი შინაარსით გამდიდრება. მიმდინარეობდა შრომის დანაწილების შემდგომი გაღრმავება, ვითარდებოდა ხელოსნური წარმოება, ფართოვდებოდა საშინაო და საგარეო ვაჭრობა, საქალაქო ცხოვრება. მრეწველობაში ისახებოდა კაპიტალისტური ელემენტები. მიუხედავად იმისა, რომ ახალი ურთიერთობა იმ დროს ქვეყნის ეკონომიკაზე თვალსაჩინო გავლენას ჯერ კიდევ ვერ ახდენდა, ვინაიდან მის საერთო



წარმოებაში შედარებით მცირე აღგილი ვაეა, მაგრამ მისი ჩასახვა იმის საწინდარი იყო, რომ ხელსაყრელი ვითარების პირობებში იგი სულ უფრო და უფრო მეტ კარგადი და კავებდა ქვეყნის საწარმოო ურთიერთობაში.

დ. გოგოლაძის აზრით, XVIII საუკუნე საქართველო-სათვის უნდა მივიჩნიოთ იმ გარდატეხის ხანად, როცა ქვეყნის სოციალურ აღმავლობას უნდა გამოეწვია სოციალურ-ეკონომიკური ძვრები, მაგრამ ეს ძვრები ჯერ კიდევ არ უნდა ნიშნავდეს ფეოდალური ურთიერთობის რღვევას.

მ. სამსონაძემ გამოიკვლია თბილისის სამრეწველო განვითარება XIX ს-ის რეფორმამდელ ხანაში და ახალი მასალების შესწავლის საფუძველზე დაასკვნა, რომ XVIII ს-ის დამლევს საქსოვი, კერძოდ კი ბამბეულის საქსოვი წარმოება აღმოსავლეთ საქართველოში განვითარების მაღალ დონეზე იდგა, რომ საფეიქრო მრეწველობა მანუფაქტურულ დონემდე დაწინაურდა, რაც ავტორს, ცხადია, სათანადო ფაქტობრივი მასალით აქვს დასაბუთებული.

XIX ს-ის საქართველოში სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში კაპიტალიზმის გენეზისის საკითხები გაშუქებული აქვთ ი. ანთელავას, ე. ორჯონიციძეს, ე. ხოშტარიას.

ერთი სიტყვით, მკვლევართა უმრავლესობის აზრით, XVIII ს-ის მეორე ნახევრის საქართველოში შეიმჩნევა ეკონომიკური აღმავლობა და რომ იმ დროს მიმდინარეობდა პროგრესული სოციალურ-ეკონომიკური პროცესები.

ეს საკვებით სწორი და დოკუმენტურად დასაბუთებული დასკვნები კიდევაც აისახა საქართველოს ისტორიის



1958 წ.

სათანადო სახელმძღვანელოებში, მაგალითად, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით გამოცემულ დაბეჭდულ სახელმძღვანელოს პირველ ტომში, შ. მეცხიას დაბეჭდულ ავტორობით გამოცემულ საშუალო სკოლის სახელმძღვანელოშიც.

მკვლევართა მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი უარყოფს პროგრესული ხასიათის ძვრებს XVIII ს-ის მეორე ნახევრის საქართველოში. ხოლო რაც შეეხება იმ უმრავლესობას, რომელიც საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში ამ ძვრებს ხედავს, ასეთ მკვლევართა შორისაც აზრთა სხვადასხვაობაა. გამოიყოფა ნაწილი, რომელიც აშკარად აქარბებს და ამ ძვრებს წარმოგვიდგენს როგორც ჩამოყალიბებულ კაპიტალისტურ წყობას; ნაწილი ლაპარაკობს ფეოდალური ურთიერთობის ინტენსიურ რღვევაზე, ზოგიერთი კი რღვევის ნიშნებზე.

ი. ანთელავას მონოგრაფია მიზნად ისახავს ვაარკვიოს XVIII ს-ის საქართველოს სოფელში მიმდინარე პროცესების ხასიათი. ავტორის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ მან თავი მოუყარა ყველა გამოცემულ დოკუმენტურ და ნარატიულ მასალას; ამასთანავე, რაც მთავარია, შეისწავლა მრავალი ახალი საარქივო საბუთი, მაგალითად, XVIII ს-ის მამულების ნასყიდობის 2390 სიგელი, გადასახადის ნუსხები და სხვა სახის საარქივო მასალა, რითაც საგრძნობლად გაამდიდრა საკვლევი პრობლემის წყაროთმცოდნეობითი ბაზა. ღრმად გააანალიზა ყველა მასალა და მოგვცა საყურადღებო დასკვნები.

ნაშრომის პირველი და ძირითადი დასკვნა უდავოდ სწო-



რია. ი. ანთელავა სავსებით მართალი არის, როდესაც აღნიშნავს, რომ შეკვლევართა ერთი ნაწილი ძალზე გამყარდებულად წარმოგვიდგენს XVIII ს-ის საქართველოს სტრუქტურულ-ეკონომიკური განვითარების დონეს, როდესაც მიიჩნევს, რომ XVIII ს-ის მეორე ნახევრიდან საქართველოში თითქოს უკვე სახეზე იყო კაპიტალისტური წყობა („უცლად“), რომელიც ინტენსიურად არღვევდა ფეოდალურ ურთიერთობას; მეორე ნაწილი კი, პირიქით, ლაპარაკობს ქვეყნის საზოგადოებრივი და ეკონომიკური ცხოვრების დაჩიხულობაზე, რაღაც საოცარ რეგრესზე, რომელიც შეუძლებელს ხდიდა რაიმე პროგრესული ხასიათის ძვრებსა და ცვლილებებს. ავტორის მართებული თქმით, ორივე თვალსაზრისი ცოდავს ქეშმარიტების წინაშე.

აქ შევნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ მიუხედავად შესანიშნავი ისტორიოგრაფიული მიმოხილვისა, რომელიც წიგნის შესავალ ნაწილშია წარმოდგენილი, დასკვნაშიც სასურველი იყო კონკრეტული მითითება იმ ავტორებისა, რომელთაც ი. ანთელავა გულისხმობს პირველსა და მეორე შემთხვევაში. მკითხველისათვის, მაგალითად, გაუგებარი რჩება, თუ ვინ იგულისხმება ქვეყნის „სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების სრული დაჩიხულობის“ მქადაგებლებად.

სიტყვა „ჩიხი“ და „დაჩიხულობა“ პირველად, როგორც ჩანს, ს. კაკაბაძემ იხმარა. ამ სიტყვებს ნ. ბერძენიშვილიც ხმარობდა, მაგრამ არც ერთი მათგანი არამეტუ არ გამოორიცხავდა პროგრესული ხასიათის ძვრებსა და ცვლილებებს XVIII ს-ის საქართველოში, არამედ, პირიქით, ორივე ამტკიცებდა ამას.



ი. ანთელავა სავსებით მართებულად აღნიშნავს: „მართალია, იმდროინდელი საქართველოს მდგომარეობა (ირან-თურქეთის აგრესია, ლეკიანობა) სერიოზულად აფერხებდა ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარებას, მაგრამ მას სრული დამუხრუჭება და პროგრესის შეჩერება არ გამოუწვევია. ხალხი არა მარტო იბრძოდა, არამედ შრომობდა, მატერიალურ დოვლათს ქმნიდა, თავის სამეურნეო ჩვევებს ამდიდრებდა, სიახლეს ნერგავდა“, რომ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში XVIII საუკუნეში მომხდარი ძვრები და სიახლენი ნიადაგს ამზადებდნენ „ბუჩქუთაზიული ურთიერთობისათვის მომავალში. XVIII ს-ის საქართველოში მიმდინარე ეს პროცესი მნიშვნელოვნად გაღრმავდა 1801 წლის შემდეგ, როდესაც ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთთან შეერთების შედეგად შედარებით უკეთესი პირობები შეიქმნა ქვეყნის სოციალური, ეკონომიკური და კულტურული განვითარებისათვის“.

სწორი ამოსავალი იმის შესახებ, რომ „განსაზილველი ხანის საქართველოში მიმდინარეობდა პროგრესული ძვრები და რომ მას არ ჰქონდა დაკარგული შინაგანი განვითარების უნარი“, ავტორს, ბუნებრივია, ფაქტობრივი მასალის ჩვენების საფუძველზე აქვს წარმოდგენილი. XVIII ს-ის საქართველოს სოფლის ცხოვრებაში მომხდარი პროგრესული ძვრების ჩვენება და მათი ხასიათის დადგენა კიდევაც წარმოადგენს ი. ანთელავას მონოგრაფიის ძირითად მიზანს.

ბუნებრივია, რომ თავის ნაშრომს ავტორი იწყებს XVIII ს-ის მეორე ნახევრის საქართველოს საერთო მდგომარეობის



ზოგადი დახასიათებით და ცენტრალური ხელისუფლების სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის კლასობრივი პოზიციის განმარტებით. ავტორი ეხება თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის მიერ გატარებულ ღონისძიებებს, როგორც იყო მორიგე ჯარის დაწესება, ბრძოლა სათავადოების წინააღმდეგ, „ბატონყმობის რიგის“ დაცვა, კანონი ბეითალმანი მამულისა და ვაჭართა მესაკუთრული უფლებების შესახებ. გლეხების უმიწოდ გაყიდვის ამკრძალავი ძველი კანონის აღდგენა, მათი საგადასახადო ტვირთის რეგულირება-შემსუბუქების ცდა და სხვ.

ავტორი კარგად გადმოგვცემს ბერძენიშვილისეულ შეფასებას ერეკლე მეორის მიერ გატარებული ღონისძიებების სოციალური არსისა, ნათლად გვიჩვენებს, რომ იგი იყო არა „გლეხური მეფე“, არამედ მეფე, რომელიც გაბატონებული კლასის ინტერესებით ხელმძღვანელობდა. ავტორის დასკვნით, ერეკლეს მიერ განხორციელებული ღონისძიებები „მიზნად ისახავდნენ ძლიერი ფეოდალურ-ბატონყმური საქართველოს შექმნას, ხალხის სამეურნეო საქმიანობის გაშლა-გაფართოებას, აგრესიის უარყოფითი შედეგების ლიკვიდაციას, ზარალის კომპენსირებას. ამ უკანასკნელს მთავრობა... მართლაც აღწევდა თუ მთლიანად არა, მნიშვნელოვანწილად მაინც“. და რომ ყველაფერი ეს თავისი ობიექტური შედეგებით ხელს უწყობდა „ისეთი მოვლენების განვითარებას, რომლებიც, საბოლოო ჯამში, უპირისპირდებოდნენ არსებული წყობილების საფუძვლებს“.

ნაშრომის ამ თავის მიმართ შევნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ მორიგე ჯარის შემოღება ქართლ-კახეთში უნდა დათარიღდეს 1756 წლით და არა 1774 წლით, როცა დამტკიცდა



დებულება ამ სახის ჯარის შესახებ. პრაქტიკულად მოლოცვ  
 ჯარი XVIII ს-ის 50-იან წლებში იყო შემოღებული და ამჟამად  
 თხი კარგადაა გაშუქებული და დამტკიცებული აქვს. მის  
 ლის მიერ 1966 წელს დატულ საკანდიდატო დისერტაციაში.

ნაშრომის მეორე თავში განხილულია სასაქონლო წარ-  
 მოებისა და საბაზრო კავშირ-ურთიერთობათა განვითარე-  
 ბა XVIII ს-ის მეორე ნახევრის საქართველოში. ავტორმა  
 შეისწავლა მსხვილი საერო თუ სასულიერო ფეოდალების  
 მიერ შედგენილი დანახარჯების ნუსხები, რომლებიც, უდა-  
 ვოდ, საყურადღებო მასალას იძლევიან სასაქონლო წარმო-  
 ებასა და საბაზრო კავშირ-ურთიერთობაზე. ეს მასალები ნაწი-  
 ლობრივ გამოქვეყნებული აქვს ნ. ბერძენიშვილს პუბლი-  
 კაციაში „მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორი-  
 ისათვის“. მაგრამ გარდა ამ გამოცემული საბუთებისა,  
 ი. ანთელავამ გამოიყენა მრავალი ახალი საბუთი, რომელიც  
 საქართველოს სსრ სახელმწიფო არქივსა და კ. კეკელიძის  
 სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება. ავტორის დას-  
 კვნით, XVIII ს-ის საქართველოს ბაზარზე იყიდებოდა თით-  
 ქმის ყველაფერი — ტყემლიდან დაწყებული და ადგილობრივი თუ  
 უცხოური წარმოშობის ძვირფასი ნივთებით დამთავრებული,  
 და რომ ამ საუკუნის არც ერთ მონაკვეთში, თვით ძნელბე-  
 დობის ხანის ჩათვლითაც კი, სასაქონლო ურთიერთობა არ  
 ჩამკვდარა, ქვეყანა ნატურალური მეურნეობის ნორმებს არ და-  
 ბრუნებია. ავტორი მართებულად აღნიშნავს, რომ „იოანე ბა-  
 ტონიშვილის „კალმასობაში“ მოცემული თბილისის ბაზრის  
 აღწერა მკაფიოდ მეტყველებს მის ფართო მასშტაბზე, სა-



ქონლის სიუხვეზე, ასორტიმენტის მრავალფეროვნებაზე“, რაც სასაქონლო ურთიერთობის განვითარების უზრუნველყოფის უდავო მოწმობაა.

გი. ბ. ლ. ი. ი. ი. ი.

თბილისის ვარდა ავტორი აღნიშნავს სხვა მნიშვნელოვან საეკონომიკურ პუნქტებს: თელავს, სიღნაღს, დუშეთს, ქუთაისს, გორს, ცხინვალს, სურამს, ანანურს, ახალგორს, ახალდაბას, წილკანს, ონს, ხონს. იგი აკვირდება გიულდენშტედის მონაცემებს და მართებულად შენიშნავს, რომ, როგორც ჩანს, იმ ხანად ხონს საქართველოს საეკონომიკური ცენტრის მნიშვნელობა ჰქონია და რომ იქ თავს იყრიდა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მყიდველ-გამყიდველი. წიგნში მოტანილი მასალა ნათელყოფს იმას, რომ ამ ბაზრებზე გლეხობა მყიდველიც იყო და გამყიდველიც. ი. ანთელავა იმეორებს გ. აკოფაშვილის შრომებს და აღნიშნავს, რომ ახალი ტიპის „პომეშჩიკები“ და მათი მეურნეობები მჭიდრო კავშირში იყვნენ ბაზართან. საბაზრო პროდუქციის მწარმოებელ მემამულეთა რიცხვს თემანიშვილებისა და ყორღანაშვილების სახით ი. ანთელავა თარხნიშვილებსაც უმატებს.

ავტორი გაკვირვებით ეხება აგრეთვე საქართველოს საგარეო ვაჭრობის განვითარების მაჩვენებლებსაც თბილისის საბაზრო მონაცემების მიხედვით. ნაშრომის 52—53 გვერდებზე მოტანილია საინტერესო სააარქივო საბუთი — კაცხის არქიმანდრიტის 1782 წლის ნაღვაწის ანგარიში, საიდანაც ჩანს, რომ კაცხის ეკლესია, რომელიც ბევრ პროდუქტს საქუთარი ყმების ძალებით ამზადებდა, მაინც მჭიდროდ იყო



დაკავშირებული ბაზართან და სასაქონლო-ფულად ურთი-  
ერთობაში იყო ჩაბმული. სხვათა შორის, ამ საბჭოთა სახელმწიფოს  
დროინდელი ფასებიც არის ნაჩვენები და ურთიერთობა  
ყრობს ის გარემოება, რომ ერთი ფილონის (სასულიერო პი-  
რის სამოსლის) შეკერვა 100 მარჩილი ღირებულა, ერთი  
ფარჩის შეკერვა სტიხრად 15 მარჩილი ღირდა, ხოლო კი-  
დევე ერთ სხვა სტიხარში 73 მარჩილი გადაუხდია ამ არქი-  
მანდრიტს, მაშინ როდესაც ყანა 24 მარჩილად უყიდაა,  
ხოლო ერთი სახლის ადგილის ყიდვა—80 მარჩილად მოუხ-  
და. ერთი დიდი ქუჩი კი 4 მარჩილად უყიდაა.

ჩვენი აზრით, სასურველი იყო ავტორს ემსჯელა იმ-  
დროინდელ ფასებსა და ფულის კურსზეც საერთოდ. ამით  
ნაშრომი მხოლოდ მოიგებდა.

წიგნის მესამე თავში განხილულია დოკუმენტური მა-  
სალა, რომელიც მიწების ყიდვა-გაყიდვას ეხება. იმის გა-  
მო, რომ ამ საკითხზე არ არსებობს რაიმე სტატისტიკური  
მონაცემები, მკვლევარი იძულებული შეიქნა გაცნობოდა  
მიწების ნასყიდობის დიდი რაოდენობის სიგელებს და მა-  
თემატიკური გაანგარიშების საფუძველზე გამოეყვანა ის  
საშუალო არითმეტიკული თუ პროცენტული მონაცემები,  
რომლებიც რეალური სურათის გარკვევის საშუალებას და-  
ახლოებით მაინც იძლევა. ვამბობთ „დაახლოებით“, რადგა-  
ნაც მასალა უზუსტოა და მეთოდიც პირობითი, „აღბათო-  
ბაზე“ აგებული. როგორც ამას თვით ავტორი აღნიშნავს:  
„ნასყიდობის სიგელებში ნაჩვენებია გამყიდველის და მყიდ-  
ველის გვარი და სახელი, მიწის გაყიდვის მიზეზი და ცალკე-  
ულ შემთხვევაში გაყიდული მიწის ფართობი. მარტო ამ





მონაცემებით, რა თქმა უნდა, ძალიან ძნელია საცვლელი საკითხის სასურველი სისრულით და უშეცდომოდ დასრულება, მაგრამ სხვა უცეთესი საშუალების უქონლობამ გვაიძულა, რომ ნასყიდობის სიგელებისათვის მიგვემართათ.

ზემოაღნიშნულ სირთულეს ისიც ემატება, რომ ნასყიდობის სიგელებში, როგორც ამას ხაზს უსვამს თვით ავტორი, მყიდველ-გამყიდველთა მხოლოდ გვარებია ნახსენები სოციალური კუთვნილების გარეშე.

და აი, მიუხედავად ასეთი დიდი დამაბრკოლებელი ფაქტორებისა, ი. ანთელავამ შეისწავლა 2390 ნასყიდობის სიგელი, რის საფუძველზეც შეეცადა პროცენტული მონაცემები დაედგინა. ი. ანთელავას გაანგარიშებით 1700-1751 წლებში მამულების გაყიდვის 1303 შემთხვევიდან 50,6% მოდიოდა გლეხობაზე, ხოლო 49,4 % ფეოდალებზე. ცხადია, რომ ამის შესაბამისად ავტორმა ის მონაცემები მიიღო, რომ მყიდველთა შორის 46,7 %-ს გლეხობა შეადგენდა, ხოლო 53,3 %-ს — ფეოდალები.

რაც შეეხება 1751-1800 წლების პერიოდს, ავტორმა შეისწავლა 813 შემთხვევა და მიიღო ის, რომ მიწების გაყიდვის 52,2 % ფეოდალებზე მოდიოდა, ხოლო 47,8 % — გლეხობაზე. ამ მონაცემებიდან ავტორმა გამოიყვანა, რომ მიწების მყიდველთა შორის 64,4 % გლეხები იყო, 35,6 % — ფეოდალები. ასეთივე მეთოდით ავტორი ცდილობს სოციალური წოდებების მიერ გაყიდული და შესყიდული მიწების ფართობის დადგენას. მისი გაანგარიშებით 310 სიგელით დამოწმებული გაყიდული 1102 დღიური მიწიდან ფეოდალებს გაუყიდიან



519,5 დღიური, ანუ 47,1 %, გლეხებს კი გაუყიდიათ 582,2 დღიური, ანუ 52,9 %.

ი. ანთელავას გაანგარიშებით გაყიდული მიწების უმეტესი ნაწილი—716,5 დღიური, ანუ 65,1 % გლეხებს შეუძენიათ, ხოლო 385,5 დღიური ანუ 34,9 % — ფეოდალებს.

ი. ანთელავა სავესებით სწორად შენიშნავს, რომ გლეხები მიწას უპირატესად წერილ ნაკვეთებად იძენდნენ, თუმცა მსხვილი ნაკვეთების შესყიდვის შემთხვევებსაც პქონდა ადგილი. მაგრამ მიღებული მონაცემების საფუძველზე (რაც, ვიმეორებთ, პირობითია და ამას თვით ავტორიც აღიარებს) გადაჭარბებულად გვეჩვენება ავტორის მტკიცება, რომ XVIII ს. საქართველოში ადგილი პქონია ფეოდალურ საკუთრებაზე გლეხების მხრივ იერიშის შიტანას.

გადაჭარბებულად მიგვაჩნია ის მტკიცებაც, რომ „ფეოდალთა კლასის ერთი ნაწილის მიერ მიწების ინტენსიური ყიდვა, ფულადი-სასაქონლო ურთიერთობის განვითარებით რომ იყო შეპირობებული, მიზნად ისახავდა მსხვილი რაციონალური მეურნეობების შექმნას, რომლებიც ოჯახის მოთხოვნილებასაც დააკმაყოფილებდნენ და საბაზრო პროდუქციასაც დაამზადებდნენ“.

ასეთი რაციონალური მეურნეობის შექმნის სურვილს ჩვენ ზომ მხოლოდ ახალი „პომეშჩიკების“ ტიპის მეტატონეების მხრივ ვხედავთ ჯერჯერობით და არა ყველა იმ ფეოდალისა, ვინც კი მიწას ყიდულობდა საერთოდ.

ერთი სიტყვით, ჩვენ იმის თქმა გვსურს, რომ მიწების ყიდვა-გაყიდვის ფაქტები თავისთავად ჯერ კიდევ არ მოწ-

მობს ფეოდალურ მიწათმფლობელობაში მომხდარ ცვლილებას. ამ შემთხვევაში ჩვენ არგუმენტულური ვითარებაც გამოგვადგება, რომ ქართველთა მიწის ყიდვა-გაყიდვას ადრეფეოდალური ხანიდან მოყოლებული ფეოდალური ურთიერთობის მთელ მანძილზე ეწეოდა, რაც ხაზგასმული აქვს ჩვენს ავტორსაც.

წიგნის აღნიშნულ თავში მოტანილი მასალა არ მოწმობს რაიმე ცვლილებებს საქართველოს ფეოდალურ მიწათმფლობელობაში. ამდენად ამ თავის სათაურის ფორმულირება: „ცვლილებები XVIII საუკუნის საქართველოს ფეოდალურ მიწათმფლობელობაში“, ჩვენი აზრით, არ არის გამართლებული.

ნაშრომის მეოთხე თავში განხილულია ფაქტობრივი მასალა გლეხების თავდახსნა-განთავისუფლებისა და მათი დაყმევების შესახებ, მოცემულია ამ პროცესების ურთიერთშეფარდების ცდაც.

ავტორი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ქართველი გლეხი ფეოდალურ ხანაში ყოველთვის ოცნებობდა ბატონყმური ურთიერთობიდან თავის დახსნაზე, სრულ თავისუფლებაზე. ამის მიღწევის ყველაზე კანონიერ და მშვიდობიან გზას გამოსყიდვა წარმოადგენდა, მაგრამ იგი სოფლის მშრომელი მოსახლეობის მხოლოდ მცირე პროცენტისათვის იყო ხელმისაწვდომი. ამიტომ გლეხოზა სხვადასხვა გზას და საშუალებას მიმართავდა. მთავრობაში საჩივრების შეტანით, მოწმეთა დასახელებით, ხშირად არაარსებული არგუმენტებითაც ცდილობდა მებატონეთა პრეტენზიების უსაფუძვლობის დამტკიცებას. ავტორი აღნიშნავს, რომ გვიანფეოდალური ხანის სამართალი და სამართლებრივი აზროვნება,



რომელიც თავისი არსით ფეოდალურ-ბატონყმური ერთგვარად ხელსაც კი უწყობდა ასეთი პროცესების განხორციელებას. დიდძალ ახალ გამოუქვეყნებელ საარქივო მასალებსა და არსებულ პუბლიკაციებში ი. ანთელავამ XVIII ს-ის ფარგლებში აღწესბა გლეხთა განთავისუფლება-გათარხნება-გააზატების 350 საბუთი. ავტორის დაანგარიშებით აქედან 250 შემთხვევაში ლაპარაკია სოფლის მშრომელი მოსახლეობის სრულ განთავისუფლებაზე ფეოდალურ-ბატონყმური ერთობიდან, ხოლო 100 შემთხვევაში — გლეხების გათარხნება-გააზატებაზე, ე. ი. მათი სოციალურ-ეკონომიკური და იურიდიული მდგომარეობის საგრძნობ გაუმჯობესებაზე. განთავისუფლებულ გლეხთა 250 რიცხვს ი. ანთელავა უმატებს იმ 200 კომლს, ერეკლე II-მ 1755 წ. ყვარლის ბრძოლაში გმირული მონაწილეობისათვის რომ გაათავისუფლა, რაც ისტორიოგრაფიაში მ. დუმბაძემ გააშუქა. ამის საფუძველზე ი. ანთელავა მართებულად აღნიშნავს, რომ არსებული მასალების საფუძველზე XVIII საუკუნეში სრული თავისუფლება მიუღია 450 კომლს.

შემდეგ კი ავტორი მსჯელობს იმის თაობაზე, რომ რადგანაც ამ რიცხვის ზუსტი აღრიცხვა შეუძლებელია, უნდა გავითვალისწინოთ დღემდე მოუკვლეველი მრავალი საბუთის არსებობაცო და ამიტომ ეს რაოდენობა ორჯერ მაინც უნდა გაეზარდოთ. აქედან მიღებული რიცხვი — 900 კომლის ოდენობით, თვით ავტორის შენიშვნებით, ბევრი არ არის, მაგრამ თავისთავად ფრიად საყურადღებო ფაქტიაო.

შემდეგ ავტორი მსჯელობს განთავისუფლებულ გლეხთა



ნაწილის კვლავ დაყმევებაზე. მისი აღრიცხვით იმ 450 შემთხვევიდან 125 დაყმევების შემთხვევა მომხდარა (17,2%) შეადგენს. გამომდინარე აქედან, ი. ანთელავამ დაასკვნის, რომ ყოველივე ეს მკაფიო მოწმობაა იმისა, „რომ XVIII საუკუნეში, უპირატესად, მის მეორე ნახევარში, მიმდინარეობდა ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის სოციალური საფუძვლების მოშლის მეტ-ნაკლებად საგრძნობი პროცესი“.

ვფიქრობთ, რომ ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის სოციალური საფუძვლების მოშლის საგრძნობ პროცესზე ლაპარაკი XVIII ს-ის მეორე ნახევრის საქართველოში ნაადრევია. ყოველ შემთხვევაში იმ 450 რიცხვის ჩვენება, რაც თავისთავად მნიშვნელოვანია და რითაც ი. ანთელავამ გარკვეული წვლილი შეიტანა თავისუფალ გლეხთა ფენის შემდგომი შესწავლის საქმეში, ფეოდალიზმის საგრძნობი რღვევის დასამტკიცებლად მაინც არ გამოდგება, მით უმეტეს რომ ამ რიცხვიდან 125 შემთხვევაში მაინც დაყმევა მომხდარა, რაც, ვფიქრობთ, ბატონყმური ურთიერთობის ჯერ კიდევ საგრძნობ ძლიერებაზე მიუთითებს. ე. ი. ამ მხრივაც XVIII ს-ის საქართველოს ფეოდალური ურთიერთობის სოციალურ საფუძვლებში რაიმე ცვლილებაზე ლაპარაკი ნაადრევია.

ერთია ძერები, შემდგომი პროგრესული განვითარების ნიშნები, ახლის ჩასახვა და ა. შ., მაგრამ სულ სხვაა ცვლილება საფუძვლებში. იგი ხომ მართლაც ცვლილებას უნდა ნიშნავდეს.



ნაშრომის მეხუთე თავში განხილულია საბატონო ფუ-  
ლადი რენტა-გადასახადები XVIII ს-ისა და XIX ს-ის და-  
დგის საქართველოში.

ეს თავი ოთხი პარაგრაფისაგან შედგება. პირველში გან-  
ხილულია საკითხის ისტორიოგრაფია, შემდეგ ცალ-ცალკე  
განხილულია საბატონო ფულადი რენტა-გადასახადები XVIII  
ს-ის აღმოსავლეთ საქართველოში, XIX ს-ის დამდეგის აღმო-  
სავლეთ საქართველოში და საბატონო ფულადი რენტა-გადა-  
სახადები XVIII ს-ის და XIX ს-ის დასავლეთ საქართველოში.

ამ თავში ი. ანთელავამ, ისტორიოგრაფიულ ასპექტში  
განიხილა ს. ავალიანის, ს. კაკაბაძის, დ. გვრიტიშვილის,  
ნ. ქანთარის, ა. ფანცხავას, მ. როჯკოვას, მ. დუმბაძის,  
ე. ხოშტარის, ნ. ქოიავას, ივ. სურგულაძის, გ. აკოფაშვი-  
ლის, ო. სოსელიას შრომები, რომლებიც რენტა-გადასახა-  
დების საკითხს ამა თუ იმ კუთხითა და მოცულობით ეხება.  
გამოცემული შრომების და, რაც მთავარია, დიდძალი გამო-  
ქვეყნებული და გამოუქვეყნებელი დოკუმენტური მასალის  
კრიტიკული შესწავლის საფუძველზე ი. ანთელავამ კონ-  
კრეტული ფაქტების ილუსტრირებისა და მათი დაჯამების  
და პროცენტული მაჩვენებლების დადგენის გზით ღრმად  
გააშუქა აღნიშნული პრობლემა. განსაკუთრებით გესურს  
ხაზის გასმა იმ გარემოებისთვის, რომ დასავლეთ საქართვე-  
ლოში ფულადი რენტა-გადასახადების საკითხს მიეძღვნა  
სპეციალური პარაგრაფი; ცხადია, რომ ამის საშუალებას,  
პირველ რიგში, თვით მასალის არსებობა იძლევა, რაც სამ-  
წუხაროდ ავტორისათვის გამორიცხული იყო სხვა საკითხე-  
ბის შესწავლა-გაშუქების დროს.



ი. ანთელავას სახეობით მართებული დასკვნით, ფულადი რენტა (გადასახადები), რომელიც რენტის სხვა ფორმებთან იყო გადახლართული, საკმაოდ გავრცელებული იყო XVIII საუკუნეში და ვაცილებით მეტ როლს თამაშობდა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში, ვიდრე ეს დღემდე იყო აღიარებული ჩვენს ისტორიოგრაფიაში.

ავტორი აღნიშნავს, რომ განსახილველ ხანაში მკვეთრად შეიმჩნევა პროდუქტადი რენტის შეცვლის შეუნელებელი ტენდენცია, რაც ხშირ შემთხვევაში არა მარტო მებატონეთა, არამედ მწარმოებელი კლასის ინტერესებსაც ემთხვეოდა.

ავტორის დაკვირვებით ფულადმა რენტამ XVIII ს-ის დამლევსა და XIX ს-ის დამდეგს საქართველოს ეკონომიკაში მტკიცე ადგილი დაიკავა, მისი აზრით, იგი მეორეადგილზე იდგა. პირველი და მესამე ადგილები შესაბამისად პროდუქტად და შრომით რენტას ეჭირათ.

ი. ანთელავა ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ სათანადო მასალების უქონლობა საშუალებას არ იძლევა ფულადი რენტა-გადასახადების ბვედრითი წონის განსაზღვრისა. ავტორის ვარაუდით იგი 15—20%-ზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო. ხოლო რადგანაც სახელმწიფო გადასახადებს შორის ფულადი სახეობა დომინირებდა, ეს პროცენტაც შეიძლება უფრო ბევრად წარმოვიდგინოთ.

ფულადი რენტა-გადასახადები აღმოსავლეთ საქართველოში უფრო გავრცელებული იყო, ვიდრე დასავლეთ სა-



ქართველოში, მაგრამ იქაც 4%-ზე მეტი უნდა ყოფილიყო  
 დასაქმეთ საქართველოში ამ რენტის განსაზღვრის მიზნით  
 მ. ღუმბაძეს და ო. სოსელიას ეკუთვნით.

წიგნის მეექვსე თავში განხილულია საკითხი გლეხობის  
 ქონებრივი დიფერენციაციის შესახებ XVIII ს-ის მეორე ნახევარსა და XIX ს-ის დამდეგს. კონკრეტული მასალის გაანალიზების საფუძველზე ი. ანთელავა გვიჩვენებს, რომ დოკუმენტური მასალა დაბეჭითებით ლაპარაკობს სხვადასხვა ეკონომიკური მდგომარეობის და შეძლების მქონე გლეხთა ჯგუფების არსებობაზე. უმამულო ან მცირემამულიანი გლეხების გვერდით წყაროები ასახელებენ ეკონომიკურად აღზევებულ და მატერიალური შესაძლებლობით გამორჩეულ ყმებს.

ავტორის აზრით, საქართველოს იტორიის XVIII ს-ის მეორე ნახევრის შესახებ შეიძლება ლაპარაკი როგორც ისეთ დროზე, როდესაც გლეხთა ქონებრივი დიფერენციაციის კლასობრივში გადაზრდის პროცესი თავის საწყისს პოულობს.

ნაშრომის მეშვიდე თავი გლეხთა კლასობრივ ბრძოლას ეძღვნება. იგი შეიცავს მრავალ საინტერესო კონკრეტულ მონაცემს ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის წინააღმდეგ სოფლის მშრომელი მოსახლეობის ბრძოლის სხვადასხვა ფორმის შესახებ, აგრეთვე ფაქტობრივ მასალას გლეხობის ანტიფეოდალური მოძრაობის წინააღმდეგ გაბატონებული კლასის ინტერესებიდან გამომდინარე სამეფო ხელისუფლების პოლიტიკისა და მოქმედების შესახებ. ეს თავი უდავოდ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია მთელი მონოგრაფიისა.





ჩვენ აღნიშნავთ მხოლოდ უზუსტობას, რომელიც, როგორც ჩანს, მექანიკურად გაიპარა ტექსტში. ალნიშნავთ, წიგნის 201 გვერდზე ავტორი სავსებით მართებულად აღნიშნავს, რომ განსახილველი პერიოდის პირველი მასობრივი მლელვარება დაიწყო კახეთში 1700 წელს და დაკავშირებული იყო ბოდბის მონასტრის გლეხობის გამოსვლასთან. შემდეგ ავტორი ეხება ამ მლელვარების საბაბს და წერს, რომ იგი დაკავშირებული იყო „ძროხის რიგის“ დაბეგვრასთან, „რაც ითვალისწინებდა ყოველწლიურად ძროხის გარკვეული რაოდენობის შირთმევას მონასტრისათვის“. ამ ფაქტს ყმებში დიდი უკმაყოფილება გამოუწვევია და მათ, დოკუმენტის სიტყვით, „ბუნტი უქმნიათ“. გამოდის, რომ XVIII ს-ის დასაწყისის ქართულ საბუთში სიტყვა „ბუნტია“ ნახმარი, რაც ყოველად შეუძლებელია. აღნიშნული საბუთი გამოცემული აქვს ნ. ბერძენიშვილს პუბლიკაციაში „დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან“, თბ., 1940 წ., გვ. 384, საბ. 535. ტექსტში სიტყვა „ბუნტი“ მართლაც არის ნახსენები, მაგრამ საქმეც ის არის, რომ თვით ეს ტექსტი XIX ს-ის დასაწყისის ჩანაწერია, რომელიც მოკლედ გადმოგვცემს ნამდვილი დოკუმენტის შინაასრს.

აღნიშნულ თავში ავტორი გვაძლევს საინტერესო დასკვნებს. ი. ანთელავას დაკვირვებით, კლასობრივი ბრძოლის სხვა ფორმებს შორის ყველაზე გავრცელებული იყო აყრა-გაქცევა, რასაც გლეხები აღრეც მიმართავდნენ, მაგრამ XVIII ს-ის მეორე ნახევარში ამ მოვლენამ ფართო ხასიათი მიიღო. ასევე შედარებით მასობრივი ხასიათი მიიღო წინა პე-



რიოდში ოდნავ საგრძნობმა ისეთმა მოძრაობამ, ურყეობისა და  
 ბრძოლა სამეფო (სახაზინო) უწყებაში გადასვლისკენ, მასმან  
 თალია, ის არ ათავისუფლებდა გლახს ფეოდალურ-ბატონყმურ  
 ჩაგვრისაგან, მაგრამ რამდენადმე მაინც უმსუბუქებდა  
 მდგომარეობას.

აეტორის დასკვნით, XVIII ს-ის მეორე ნახევარში სრული-  
 ად ახალი იყო კლასობრივი ბრძოლის ისეთი ფორმა, როგო-  
 რიცაა ყმური დამოკიდებულების სრული უარყოფა გლახის  
 მიერ. ე. ი. როდესაც გლახები ბატონს არ სცნობდნენ, ყმურ  
 სამსახურზე უარს აცხადებდნენ და თავისუფლებას იჩემებ-  
 დნენ. თანაც ყოველივე ამას აკეთებდნენ ყალბი ცნობების და  
 ცრუმოწმებების დასახელების გზით. აეტორი საკვსებით მართალია,  
 როდესაც გლახთა კლასობრივი ბრძოლის ყველა ფორმას განი-  
 ხილავს როგორც ანტიბატონყმურ მოძრაობას. მაგრამ ამ  
 მოძრაობის საერთო შეფასებაში, ვფიქრობთ, ცდება, რო-  
 დესაც წერს, და წერს ამას რამდენჯერმე (იხ. გვ. 191, 200,  
 209-210), რომ „XVIII საუკუნის მეორე ნახევრის საქართვე-  
 ლოში გაბატონებულ კლასს ჩვეულებრივზე მეტად უჭირდა  
 თავისი მდგომარეობის შენარჩუნება, ხოლო გლახობას არ  
 სურდა ძველებურად ცხოვრება“.

ფაქტობრივად ეს ხომ პერიფრაზია რევოლუციური სი-  
 ტუაციის განმარტებისა, რომელიც ე. ი. ლენინმა მოგვცა.  
 მაგალითად, რევოლუციური სიტუაციის ნიშნების განსაზღვ-  
 რისას ე. ი. ლენინი წერდა, რომ „ჩვენ უეჭველად არ შეე-  
 ცდებით, თუ აღვნიშნავთ შემდეგ სამ მთავარ ნიშანს: 1. შე-  
 უძლებლობა გაბატონებული კლასებისათვის — შეინარჩუ-  
 ნონ უცვლელი სახით თავიანთი ბატონობა; „ზედაფენების“



ესა თუ ის კრიზისი, გაბატონებული კლასების პოლიტიკის კრიზისი, რომელიც ქმნის ბზარს, რაშიც ამოხტეხეს ჩვე- რული კლასების უკმაყოფილება და აღშფოთება. რევოლუ- ციის დაწყებისათვის ჩვეულებრივ საკმარისი არ არის რომ „ქვედაფენებს არ უნდოდეთ“ ძველებ- ბურად ცხოვრება, არამედ საჭიროა კიდევ, რომ „ზედაფენებს არ შეეძლოთ“ ძველებ- ბურად ცხოვრება (ხაზგასმა ჩვენია — ვ. პ.). 2. ჩაგ- რული კლასების გაჭირვებისა და უბედურების გამწვავება ჩვეულებრივზე მეტად. 3. აღნიშნული მიზეზების გამო, მას- სების აქტივობის მნიშვნელოვნად გადიდება“<sup>6</sup>.

ამრიგად, რევოლუციური სიტუაციის პირველი ნიშნის დასახელებისას ვ. ი. ლენინი აღნიშნავს, რომ ეს ისეთი დროა, როდესაც ქვედაფენებს არ უნდათ, ხოლო ზედაფენებს არ შეუძლიათ ძველებურად ცხოვრებაო. ასეთი სიტუაცია, ანუ კრიზისი რუსეთის ფეოდალურ საზოგადოებაში, როგორც ცნობილია, პირველად შეიქმნა მხოლოდ XIX ს-ის 50-იან წლებში, ვ. ი. ბურჟუაზიული რეფორმის გატარების წინა ხანაში და XVIII ს-ის მეორე ნახევრის საქართველოს მიმართ ამგვარი დებულების გამოყენება არაფრით არ არის გამართლე- ბული.

უნდა აღენიშნოთ წიგნის მაღალი კულტურა, იგი დი- დი ინტერესითა და ადვილად იკითხება. ძალიან იშვიათია (მაგრამ, სამწუხაროდ, მაინც გვხვდება) კორექტურული ხა- სიათის შეცდომები.

<sup>6</sup> ვ. ი. ლენინი, — თხზულებანი, ტ. 21, გვ. 248.



ტექნიკური ხასიათის შეცდომებს შორის ალენიშნავთ მხოლოდ შემდეგს: წიგნის მეხუთე თავი ოთხე პარაგრაფი-საგან შედგება. ყველა პარაგრაფს თავისი საფუძვლიანი მერაცია აქვს. მაგრამ არ ჩანს პირველი პარაგრაფის არც სათაური და არც ნუმერაცია. სარჩევში საერთოდ არ არის ამ პარაგრაფის ჩვენება. არ არის ნაჩვენები აგრეთვე წიგნის მეშვიდე თავიც. წიგნის შესავლისა და მეოთხე თავის დასათურება განსხვავდება სარჩევში მითითებული დასათურებ-ისაგან.

დასასრულ, უნდა ითქვას, რომ ი. ანთელაევს ნაშრომი პროფესიული სიღრმით დიდძალი დოკუმენტური მასალის შესწავლის შედეგია და ამის საფუძველზე მაღალკვალიფიციურად დაწერილი მონოგრაფიაა, რომელიც ჩვენი ისტორიოგრაფიის კარგი შენაძენია.



ეროვნული  
ენციკლოპედია

## ალა-შაჰმად-ხანის თავდასხმა საქართველოში\*

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ 1969 წელს გამოაქვეყნა პროფ. იასე ცინცაძის მონოგრაფია „ალა-შაჰმად-ხანის თავდასხმა საქართველოზე“. უკვე ის ფაქტი, რომ შემოხსენებული წიგნი მეორედ გამოიცა და სწრაფად გასაღდა ბაზარზე, ნათლად მოწმობს მკითხველი საზოგადოების დიდ ინტერესს იმ ლიტერატურისადმი, რომელიც საქართველოს ისტორიას ეძღვნება.

1795 წელი ქართველი ერის ისტორიაში საბედისწერო აღმოჩნდა... საქართველოზე ალა-შაჰმად-ხანის თავდასხმა ჩვენი მრავალტანჯული ქვეყნის ცხოვრების ერთ-ერთ ტრაგიკულ ფურცელს წარმოადგენს. ამჟამად 1795 წელი სამშობლოს დასაცავად ქართველთა თავგანწირული, გმირული ბრძოლის მკაფიო მაგალითია. ერწანისის გმირთა სახელი ქართველი ხალხის გულში უკედელია. ჩვენი ისტორიის სწორედ ამ ფურცელს, რომელიც დრამატიზმითა და გმირული პათოსითაა აღსავსე, მიუძღვნა პროფ. ი. ცინცაძემ თავისი სპეციალური გამოკვლევა.

წიგნი დიდი ინტერესით იკითხება. ავტორის უმთავრესი დამსახურება ის არის, რომ მან მოგვცა ყოველმხრივი

\* პირველად დაიბეჭდა ეურნალ „მნათობში“, 1970, № 6.



დრმა ანალიზი იმ საისტორიო წყაროებისა და ლიტერატურის, რომელიც საკვლევ პრობლემას ეხება. ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს პროფ. ი. ცინცაძის მოცემული კვლევითი მუშაობები, მეცნიერული კრიტიკული შეფასება პეტრე ბუტკოვის და არტემ არარატელის თხზულებებისა, რომლებიც გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებით, კრწანისის ბრძოლის ტრაგედიას ქართველებს შორის უთანხმოებასა და ურთიერთღალატს მიაწერენ. დიდძალი მასალის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე პროფ. ი. ცინცაძე აღადგენს მოვლენათა განვითარების რეალურ სურათს და წარმტაცად მოგვითხრობს ისტორიულ ამბებს.

იმდროინდელ საერთაშორისო ურთიერთობათა ისტორიის ფონზე ავტორი დეტალურად განიხილავს ქართლ-კახეთის სამეფოს მდგომარეობას და ერეკლე მეორის მიერ ჩატარებულ მრავალმხრივ თავდაცვით ღონისძიებებს. წიგნში ნაჩვენებია ირანის სახელმწიფოს მდგომარეობაც. მოცემულია ალა-მაჰმად-ხანის დახასიათება და საქართველოზე მისი თავდასხმის მიზეზები და მიზნებია გაშუქებული. „ირანი და თურქეთი, — წერს ი. ცინცაძე, — ფარულად რუსეთის წინააღმდეგ შეკავშირდნენ და რუსეთის მფარველობაში მყოფ ქართლ-კახეთის სამეფოზე კბილებს ილესავდნენ. არსებითად ეს რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლას ნიშნავდა. ირან-თურქეთის ასეთი შეკავშირება ინგლის-საფრანგეთის დიპლომატიის მუშაობის გარეშე არ მომხდარა. თბილისის დაქვევებაში არანაკლები ბრალი ინგლის-საფრანგეთის დიპლომატიასაც ედება. ევროპის



დიპლომატიისათვის თვითმპყრობელური რუსეთის ამიერკავკასიიდან ფეხის ამოსაკეცთად ჩატარებულმა რუსეთის იმპერატორის ალა-მაჰმად-ხანის მხედური ბუნება მხოლოდ მხედრობის შემთხვევა იყო“ (გვ. 119-120). რუსეთის იმპერიის პოზიციების გარკვევისას კი ავტორი აღნიშნავს, რომ 1792-1795 წლებში რუსეთის დიპლომატიის მიზანი ამიერკავკასიაში status quo-ს შენარჩუნება იყო (გვ. 124). თვითმპყრობელობა, — განაგრძობს ი. ცინცაძე, — კავკასიის პრობლემის თავის სასარგებლოდ გადაწყვეტას მხოლოდ დროის საკითხად თვლიდა. რუსეთი იმხანად, თავის მეტოქეებთან შედარებით, იმდენად ძლიერი სახელმწიფო იყო, რომ მის წინსვლას ამიერკავკასიაში ირანისა და თურქეთის გაერთიანებული ძალებიც კი ვერ შეაჩერებდნენ (გვ. 135). მანამდე კი ამიერკავკასიაში status quo-ს შენარჩუნებას რუსეთის იმპერიის მესვეურნი აზერბაიჯანელი მფლობელებისა და ქართლ-კახეთის მეფის ძალებით ფიქრობდნენ, რაც საკმარისი არ იყო (გვ. 124-127).

ი. ცინცაძე სავსებით მართებულად შენიშნავს, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს დაზვერვა იშვიათი ოსტატობით მუშაობდა და ალა-მაჰმად-ხანის მიერ გადადგმული თითქმის ყველა ნაბიჯი დროულად იცოდა. ქართლ-კახეთის სამეფოს მზვერავებს ზოგჯერ თვით ალა-მაჰმად-ხანის მიერ ხელმოწერილი საიდუმლო დოკუმენტებით უვარდებოდათ ხელთ, რომელთაც მეფე ერეკლე ჩრდილოეთ კავკასიაში მყოფ რუსთა ჭარების სარდალს გენ. გუდოვიჩს უგზავნიდა. მაგალითად, ერეკლე მეორემ გუდოვიჩს გადაუგზავნა თვით ალა-მაჰმად-ხანის ხელით დაწერილი საქართველოზე თავდასხმის გეგმა (გვ. 130).



ცენტრის სამართლიანი თქმით, ქართველ დიპლომატებს/ ეკვი არ ეპარებოდათ, რომ ალა-მაჰმად-ხანი საქართველოში ლაშქრის აპირებდა და ამიტომ ყიზლარსა და ში შიკრიკს შიკრიკზე გზავნიდნენ. მეფე ერეკლე, აღნიშნავს ავტორი, ეკატერინე მეორისაგან გეორგიევსკში 1783 წელს დადებული ტრაქტატით გათვალისწინებულ სამხედრო დახმარებას მოითხოვდა (გვ. 142). მაგრამ გუდოვიჩის უხეირობის გამო რუსეთის იმპერიის მთავრობაში საკითხი გეროვნად შესწავლილი არ ყოფილა (გვ. 123). უბედურებაც ის იყო, დასძენს ავტორი, „რომ ამიერკავკასიაში მოვლენები იმაზე უფრო სწრაფად ვითარდებოდა, ვიდრე პეტერბურგი გადაწყვეტილებას მიიღებდა და თავისი ბიუროკრატიული აპარატით „კავკასიის ხაზზე“ გენ. გუდოვიჩს მიჰქონდა. საქართველოშიაც მდგომარეობა ყოველდღიურად იცვლებოდა, პეტერბურგიდან გუდოვიჩამდე, ხოლო გუდოვიჩიდან თბილისამდე მოღწეული განკარგულება სრულიად მოძველებული აღმოჩნდებოდა. საქართველოსა და რუსეთის ცენტრებს შორის არსებული მანძილი მე-18-ე საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე თავისებურ უარყოფით გავლენას ახდენდა. ოთხი სექტემბრის რესკრიპტი (საქართველოში დამხმარე ჯარის გაგზავნის ნებართვა — გ. პ.) გენ. გუდოვიჩმა მაშინ მიიღო, როცა თბილისი ალა-მაჰმად-ხანს უკვე დარბეული ჰქონდა“ (გვ. 133—134).

ყოველივე ეს უდავოდ სწორი და მართალია. მაგრამ აქ ბუნებრივად იბადება კითხვა. რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოში დამხმარე ჯარის გაგზავნის თაობაზე დადგე-





ნიღების ესოდენ დაგვიანებით მიღება თავიდანვე შეგნებულ  
 ლი ნაბიჯი ხომ არ იყო? ჩვენ სრული საფუძვლიანი შედეგს  
 ეს ვიფიქროთ, ვინაიდან რუსეთის იმპერიისათვის, რომელიც  
 იმ დროს უკვე საქართველოს მომავალ ინკორპორაციას გე-  
 გმავდა, ქართლ-კახეთის სამეფოს დასუსტება ხელსაყრელი  
 უნდა ყოფილიყო. ამასთან დაკავშირებით მკითხველს შევახ-  
 სენებთ იმ მოსწრებულ გამოთქმა-დახასიათებას, რომელს-  
 საც ცნობილი რუსი საბჭოთა მწერალი იური ტინიანოვი  
 იძლევა თავის ისტორიულ რომანში „ვახირ მეხთარის სი-  
 კვდილი“.

„იმ წელიწადს, როდესაც იგი (ა. გრიბოედოვი — გ. შ.)  
 მოსკოვში დაბადა, კავკასიაში დასჯილ იქნა ქალაქი თბილი-  
 სი, მისი დასჯა ექვს დღეს გრძელდებოდა, ხოლო დამსჯელი  
 საქურისი აღა-მაჰმადი, სპარსეთის შაჰი იყო.

„აღა-მაჰმადი ადგა და დაიძრა თბილისისაკენ ჯარით,  
 რომელსაც შემდეგ ღრუბელს, კალიას, გრიგალს, წარლენასა  
 თუ ტრამალის ხანძარს ადარებდნენ. და მართლაც ძნელი  
 წარმოსადგენია, რომ ეს ნახევრადშიშველი, სასწრაფოდ შე-  
 იარაღებული მრავალათასიანი ბრბო ყოფილიყო. ეს მართ-  
 ლაც იყო ადგილიდან აყრილი და თითქოს გრიგალით შეკ-  
 რული ბრბო.

და ქალაქი უმწეო იყო.

ეკატერინემ გაყიდა იგი, ხელი აიღო, როგორც ამას  
 მემამულეები შორ და შფოთიან ადგილას მყოფ საველე ად-  
 გილ-მამულეებზე დაეისას შერებოდნენ ზოლმე.

შორი და სუსტი ერის მფარველობა უფრო ადვილია,

ვიდრე ძლიერის, მისი მდიდარი და თვითნებური, თავის  
თავადი ქალაქითურთ<sup>1</sup>.

ი. ცინცაძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მისი მემკვიდრე  
წყალობით მცოდნეობითი ხასიათის ანალიზის საფუძველზე  
იგი აღგენს და აშუქებს იმდროინდელი ისტორიის მრავალ-  
მნიშვნელოვან ფაქტსა და დეტალს. მაგალითად, ნაშრომში  
საინტერესოაა განხილული ქართული ფეოდალური ლაშქ-  
რის საბრძოლო და საორგანიზაციო თვისებების საკითხე-  
ბი; მოცემულია საყურადღებო დამკვიდრებელი კრწანისის ბრძო-  
ლის წინ ქართველთა მიერ ჩატარებული თავდაცვითი ლო-  
ნისძიებების შესახებ; დეტალურადაა აღწერილი თვით კრწა-  
ნისის ბრძოლა და სხვ.

კრწანისის მარცხის მიზეზების ჩვენების შემდეგ ავტორი  
თანმიმდევრობით განიხილავს შემდგომ მომხდარ ფაქტებს,  
კერძოდ, ამიერკავკასიაში რუსთა ჯარების ლაშქრობას, აღ-  
მაშამად-ხანის აღსასრულს, ერეკლე მეორის გარდაცვალებას  
და სხვ. ი. ცინცაძის დამსახურებად ისიც უნდა ჩაითვალოს,  
რომ თავის წიგნში, გარდა მრავალი გამოქვეყნებული მასა-  
ლისა და ლიტერატურისა, მან გამოიყენა ახალი საარქივო  
დოკუმენტები, რომლებიც ინახება თბილისისა და მოსკოვის  
არქივებსა და სიძველეთსაცავებში. მაგრამ აქვე უნდა შეე-  
ნიშნოთ, რომ მოსკოვში დაცული მასალების მისამართის და-  
სახელებისას იგი რატომღაც არქივის ძველ სახელწოდებას  
ხმარობს. ასახელებს ГАРКЭ-ს (ე. ი. Государственный  
архив феодальнокрепостнической эпохи), ეს მაშინ, რო-

<sup>1</sup> Ю р и й Т ы н я н о в. Сочинения, том второй, М.—Л., 1959,  
с. 176.

დესაც აი უკვე ოცდაათი წელია რაც ამ არქივის რეორგანიზაცია მოხდა და ახლა მას ЦГАДА-ს (ე. ი. Центральный государственный архив древних актов) შეუდგენენ. უკვე შეეხება «Грузинские дела»-ს ფონდს, იგი ორად არის გაყოფილი და დოკუმენტები XVIII ს-ის 20-იანი წლებიდან მოყოლებული, ამჟამად ინახება რუსეთის საგარეო პოლიტიკის არქივში АВПР-ში (ე. ი. Архив внешней политики России).

დასასრულ, კვლავ მინდა ხაზი გავუსვა სარეცენზიო ნაშრომის დიდ მნიშვნელობას. ი. ცინცაძის მონოგრაფია ქართული საბჭოური ისტორიოგრაფიის ძეირფასი შენაძენია.

## მონობრაფია ანთიმოზ ივარიელზე\*

გამომცემლობა „მეცნიერებამ“ გამოაქვეყნა ოთარ გვინჩიძის ნაშრომი<sup>1</sup>, რომელიც მიზნად ისახავს XVII საუკუნის მიწურულისა და XVIII საუკუნის დასაწყისის გამოჩენილი მოღვაწის ანთიმოზ ივერიელის ბიოგრაფიის დადგენასა და მისი საქმიანობის გაშუქებას. ნაშრომი ეხება საქართველო-რუმინეთის ურთიერთობის ისტორიის საკითხს, რადგანაც სწორედ ვლახეთში (რუმინეთში) მოღვაწეობდა ეს გამოჩენილი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, განმანათლებელი და პუბლიცისტი, შესანიშნავი მხატვარი, ხუროთმოძღვარი, მწერალი, ორატორი, მბეჭდავი, პოლიგრაფი, რუმინული ლიტერატურული ენის რეფორმატორი, ვლახეთში ბეჭდვითი საქმის დიდი ორგანიზატორი, რომელიც ეროვნებით ქართველი იყო. სამშობლოდან მოტაცებისა და კონსტანტინოპოლში მონად გაყიდვის შემდეგ ანთიმოზმა თავისი მეორე სამშობლო ვლახეთში პოვა და განსაკუთრებული როლი შეასრულა საქართველო-რუმინეთის კულტურული ურთიერთობის ისტორიაში.

აქვე შევნიშნავთ, რომ ჩვენ ვერ დავეთანხმებით ავ-

\* პირველად დაიბეჭდა ჟურნალ „მნათობში“, 1975, № 5.

<sup>1</sup> ოთარ გვინჩიძე, ანთიმ ივერიელი, თბ., 1973.



ტორის მიერ შემოთავაზებულ ფორმას — ქართულად ამ პიროვნების საკუთარი სახელის ხმარებას „ანთიმოზ“ სახელით. ვფიქრობთ, ავტორის განმარტება იმის შესახებ, რომ სინტაქსში მიღებული „ანთიმოზ“ ბერძნული გამოთქმისა და ამიტომ თითქოს უმჯობესია ვიხმაროთ „ანთიმ ივერიელი“, როგორც ამას ის თვითონ უწოდებდა თავის თავს რუმინულ დოკუმენტებში, ვერ უძლებს კრიტიკას. თუ რუმინული დოკუმენტების მიხედვით ვიმსჯელებთ, მაშინ ჩვენ უნდა ვიხმაროთ „ანთიმ ივერიანუ“ და არა „ივერიელი“. საქმეც ის არის, რომ ბერძნული წარმოშობის ეს სახელი ქართულში შემოვიდა „ანთიმოზის“ ფორმით, ისევე, როგორც „ნიკოლოზი“. ხოლო სხვა ენებში განსხვავებული სახით იხმარება. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ქართულად „ანთიმოზ ივერიელის“ ხმარება უფრო სწორია.

წარმოშობით ქართველს, ამ გამოჩენილ ადამიანს რუმინეთის ისტორიაში საპატიო ადგილი უჭირავს და ამიტომ ბუნებრივია, რომ რუმინულ ენაზე მის შესახებ არაერთი საინტერესო ნაშრომი არსებობს. თანამემამულის ესოდენ საინტერესო ბიოგრაფიით, ცხადია, ბევრი ქართველი მკვლევარი დაინტერესებულა, რომელთა შორის, პირველ რიგში, ჩვენ უნდა აღვნიშნოთ პოეტ-აკადემიკოსის გიორგი ლეონიძის დამსახურებაც.

გ. ლეონიძემდეც არაერთი ქართველი მეცნიერი შეხებია ანთიმოზ ივერიელის მოღვაწეობის ამა თუ იმ მხარეს და მრავალი საყურადღებო დაკვირვება და დასკვნა მოუცილათ; თვით ნაშრომთა გამოქვეყნების ქრონოლოგია რომ დავიცვათ, დავასახელებთ — ალექსანდრე ხახანაშვილს, პო-



ლივექტ კარბელაშვილს, ზაქარია ჭიჭინაძეს, პავლე ჭუგუჯიშვილს, აკაკი შანიძეს, ნიკო ბერძენიშვილს, ხოლო შემდგომად 50—60-იან წლებში გამოქვეყნებულ ნაშრომთა ავტორებს შორის აღვნიშნავთ ქრისტიანე შარაშიძეს, შ. კურდღელაშვილს, ფ. ჭინჭიხაშვილს და სხვ.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, სათანადო მასალების სიმცირის გამო ანთიმოზ ივერიელის ბიოგრაფია, მისი საქმიანობა ჯეროვნად გაშუქებული მაინც არ იყო. ოთარ გვინჩიძის დამსახურება სწორედ ის არის, რომ მან შეძლო როგორც ქართულ, ისე რუმინულ და სხვა ენებზე არსებული სათანადო ლიტერატურისა და მასალების ფართო გამოყენება და ამის საფუძველზე მონოგრაფიულად შესწავლა ანთიმოზ ივერიელის საქმიანობისა რუმინეთის კულტურის და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების სარბიელზე. ამდენად, სარეცენზიო ნაშრომიც ორი ნაწილისაგან შედგება. პირველში ნაჩვენებია ანთიმოზ ივერიელი როგორც მესტამბე, ხოლო მეორეში გაშუქებულია მისი პოლიტიკური მოღვაწეობა.

ო. გვინჩიძის განსაკუთრებულ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მან შეძლო რუმინულ ენაზე არსებული მასალებისა და ლიტერატურის გაცნობა, რის შედეგადაც ახალი დაკვირვებები და დასკვნები შემოგვთავაზა. ბუნებრივია, რომ აქ ჩვენ განსაკუთრებით ვუსვამთ ხაზს რუმინულ ენაზე არსებულ მასალებსა და ლიტერატურას, რადგანაც ამის გარეშე წარმოუდგენელია ანთიმოზ ივერიელის, როგორც რუმინელი მოღვაწის საქმიანობის რაიმე საფუძველიანი შესწავლა.



იმის გამო, რომ ანთიმოზ ივერიელის შესახებ ბიოგრაფიული ცნობები (განსაკუთრებით რუმინეთში ცხოვრობდამდე პერიოდისა) ძალზე მცირეა, მკვლევარს, მუხმბრძოლისა, ხშირად უხდება მხოლოდ სავაზაუდო მოსაზრებების გამოთქმა და ლოგიკური მსჯელობის საფუძველზე ამა თუ იმ ვერსიის მტკიცება და ამ გზით ბიოგრაფიის დადგენა.

ავტორის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ ამგვარი სამუშაოს ჩატარების შედეგად მან შეძლო ანთიმოზ ივერიელის ბიოგრაფიისა და მოღვაწეობის საფუძვლიანი გაშუქება; მან არაერთი საინტერესო საკითხის დასმა და ახლებური გადაწყვეტა შემოგვთავაზა.

სავსებით ვეთანხმებით ოთარ გვინჩიძის მსჯელობას და ლოგიკურ დასკვნას იმის თაობაზე, რომ რადგანაც ანთიმოზ ივერიელმა რუმინეთში მის მიერ აშენებული და რეკონსტრუირებული საეკლესიო ნაგებობებმა და გამოცემული წიგნების მოხატულობაში საკუთარი ხელით შეიტანა ქართული ხუროთმოძღვრებისა და მხატვრობისათვის დამახასიათებელი ელემენტები, ეს იმის ნათელი დადასტურებაა, რომ როგორც მხატვარი და ხელოვანი ანთიმოზი უდავოდ ქართული კულტურის ნიადაგზე იყო აღზრდილი და რომ მას თავისი ახალგაზრდობა საქართველოში უნდა გაეტარებინა.

მაგრამ ჩვენ ვერ დავეთანხმებით ო. გვინჩიძის იმ მოსაზრებას, რომ სასტამბო საქმიანობაში დაოსტატება ანთიმოზს მხოლოდ ქ. იასში ან რუსეთში შეეძლო, და არა სადმე სხვაგან. ო. გვინჩიძის აზრით ეს მტკიცდება იმ გარემოებით, რომ იერუსალიმის პატრიარქმა დოსითეოსმა, რომელ-



მაც კონსტანტინოპოლში ტყვეობიდან გამოისყიდა ანთიმოზ ივერიელი. 1682 წელს ქ. იასში ბერძნული სტამბა დაარსდა.

ო. გვინიძე კატეგორიულად უარყოფს ანთიმოზ ივერიელის მიერ სასტამბო საქმის შესწავლის შესაძლებლობას ქ. კონსტანტინოპოლში იმ მოტივით, რომ კონსტანტინოპოლის ბერძნული სტამბა თურქების მიერ ჯერ კიდევ XVII საუკუნის 30-იან წლებში იყო განადგურებული და შემდგომ დიდი ხნის განმავლობაში აღარ მოქმედებდა.

მაგრამ საქმეც ის არის, რომ იმავე იერუსალიმის პატრიარქ დოსითეოსს, რომლის რეზიდენცია გარკვეული პოლიტიკური ვითარების გამო ქ. კონსტანტინოპოლში იმყოფებოდა, იმავე 1682 წლისათვის კონსტანტინოპოლში აღუდგენია ბერძნული სტამბა, სადაც ქართული წიგნების ბეჭდვის საქმეც წამოიწყია. ამის შესახებ თვით დოსითეოსი ატყობინებდა ასტრახანში მყოფ არჩილ მეფეს 1682 წლის 23 სექტემბრით დათარიღებული წერილით. ეს წერილი გამოქვეყნებული აქვს ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატს თამარ ტივაიეს კრებულ „ქართული წყაროთმცოდნეობის“ მესამე წიგნში, რომელიც 1971 წელს გამოიცა.

ერთი სიტყვით, მსჯელობა იმის შესახებ, რომ სასტამბო საქმე ანთიმოზ ივერიელს შესწავლილი ჰქონდა ვლახეთში დასახლებამდე, ე. ი. 1689—1690 წლებამდე, სავსებით მართებულია. მაგრამ ავტორის მიერ მტკიცება იმისა, რომ თითქოს ქ. კონსტანტინოპოლში იმ დროს სასტამბო საქმის შესწავლის რაიმე შესაძლებლობა არ არსებობდა, ვფიქრობთ, უსაფუძვლოა.





ჩვენ გვსურს შევაჩეროთ ავტორის ყურადღებამ კომენტზე, რომ ქ. კონსტანტინოპოლში, ბერძნული სტამბის არსებობის შემთხვევაში კარგად ჩანს ის გარემოება, რომ ანთიმოზ ივერიელი აშკარად ეკუთვნოდა იმ წრეს, რომელიც არჩილ მეფისა და დოსითეოსის სახით დიდ შრომას ეწეოდა საერთოდ სასტამბო საქმიანობისა და კერძოდ ქართული წიგნის დაბეჭდვის დარგში.

დიდ ინტერესს იწვევს წიგნის ის ნაწილი, სადაც განხილულია ქ. თბილისში ვახტანგ VI მიერ ქართული სტამბის დაარსების საკითხი და ნაჩვენებია ამ საქმეში ანთიმოზ ივერიელის მოწაფის — მიხეილ იშტვანოვიჩის აქტიური მონაწილეობა, ხოლო ყოველივე ამის საფუძველზე გამოტანილია გარკვეული დასკვნები თვით ანთიმოზ ივერიელის როლის შესახებ ამ დიდად საპატიო საქმეში.

ცხადია, რომ ყველა აღნიშნული ფაქტი ავტორს განხილული აქვს როგორც საქართველო-რუმინეთის ურთიერთობა. მაგრამ, ვფიქრობთ, რომ სარეცენზიო ნაშრომი უფრო მოიგებდა, რომ მასში ყოფილიყო მეტი მსჯელობა თვით ამ ურთიერთობის რაობისა და მისი ხასიათის შესახებ, რის შედეგადაც მოცემული იქნებოდა სათანადო კვალიფიკაცია.

სარეცენზიო ნაშრომის მეორე ნაწილში განხილულია ანთიმოზ ივერიელის ლიტერატურული და პოლიტიკური მოღვაწეობა ვლახეთში. კარგადაა ნაჩვენები მისი საქმიანობის პატრიოტული ხასიათი, კერძოდ, აქტიური მონაწილეობა რუმინული ენის რეფორმის დარგში, ეკლესიებში ბერძნულის ნაცვლად რუმინული ენის დამკვიდრებისათვის ბრძოლა და სხვ.



წიგნში სათანადო ადგილი უჭირავს ანთიმოზ ივერიელის, როგორც ვლახეთის მიტროპოლიტის საქმეების განხილვასაც.

ოთარ გვინჩიძე დეტალურად გვიხატავს ანთიმოზ ივერიელის აქტიურ მონაწილეობას თურქეთის ბატონობისაგან რუმინეთის განთავისუფლების საქმეში რუსეთთან სამხედრო-პოლიტიკური კავშირის დამყარების გზით.

ავტორი მართებულად აღნიშნავს, რომ ის, რაც წითელ ზოლად გასდევდა ანთიმოზ ივერიელის პოლიტიკურ მოღვაწეობას, იყო დაუცხრომელი ბრძოლა ვლახეთის განთავისუფლებისათვის უცხოელ დამპყრობთა ბატონობისაგან და რომ 1710—1711 წლებში რუსეთ-თურქეთის ომის დროს სწორედ ანთიმოზ ივერიელმა მოიწვია ჰერა ურლაცილორეში ვლახელ ბოიართა სხდომა, რომელიც დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო რუსეთ-ვლახეთის პოლიტიკური ურთიერთობის განმტკიცების საქმეში.

მაგრამ აქ უნდა შევნიშნოთ, რომ პეტრე პირველის ცნობილი პრუტის ლაშქრობის ამბების განხილვისას ავტორი სრულად არ იყენებს რუსულ ენაზე არსებულ მდიდარ ლიტერატურას და მასალებს. უფრო მეტიც, მას საგანგებოდ უნდა შეესწავლა რუსეთის საარქივო ფონდები და ეძებნა ახალი მასალები; ჩვენი ღრმა რწმენით, შეუძლებელია, რომ არქივებში, მაგალითად ძველი აქტების ცენტრალური სახელმწიფო არქივის ფონდებში, კერძოდ „პეტრე I-ის კაბინეტის“ საქმეებსა ან საეკლესიო დოკუმენტებს შორის არ იყოს რაიმე მასალა ანთიმოზ ივერიელის შესახებ. ვიმედოვნ-



ნებთ, რომ მომავალში ოთარ გვინჩიძე შეეცდებოდა ამ შემარ-  
თულებით კვლევა-ძიების წარმართვას.

დასასრულს, უნდა აღვნიშნოთ, რომ ოთარ გვინჩიძის  
ნაშრომი შესრულებულია მაღალ დონეზე, დიდი ინტერესით  
იკითხება და, რაც მთავარია, ეძღვნება ქართველი და რუმინ-  
ნელი ხალხების კავშირ-ურთიერთობის საინტერესო ისტო-  
რიას, რომელიც დაკავშირებულია გამოჩენილი მოღვაწის  
ანთიმოზ ივერიელის სახელთან.

ამ საკითხის შესწავლა-გაშუქება უდავოდ ხელს უწყობს  
ქართველი და რუმინელი ხალხების მეგობრობის განმტკიცე-  
ბას, საქართველო-რუმინეთის კულტურული ურთიერთობის  
შემდგომ განვითარებას. ამდენად ცხადია, თუ რაოდენ აქ-  
ტუალურია ოთარ გვინჩიძის ეს წიგნი, იგი უდავოდ, ამ-  
დღიდან ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიას.

## გამოკვლევა XVII საუკუნის ქართველ მოღვაწეზე\*

ჩვენი ერის ისტორიაში ნიკოლოზ ჩოლაყაშვილს (1585-1658) საპატიო ადგილი უჭირავს როგორც XVII საუკუნის პირველი ნახევრის თვალსაჩინო მოღვაწეს. ის იყო პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნის გამოცემის (1629) მონაწილე, ქართული სახელმწიფოსა და ქართული კულტურის განვითარებისათვის მებრძოლი. მაგრამ ესოდენ საინტერესო პიროვნების შესახებ ჩვენამდის, სამწუხაროდ, მცირე მასალამ მოაღწია. დოკუმენტებსა და მასალებში მიმოფანტული ცნობები სასურველ მონაცემებს ძუნწად იძლევიან. ამ გარემოებამ, ცხადია, თავისი გავლენა იქონია და შედეგად ის იყო, რომ დღემდის ჩვენ არ ვაგვაჩნდა ნაშრომი, რომელიც ერთიანად გააშუქებდა ნიკოლოზ ჩოლაყაშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

გულჩინა აკოფაშვილის დამსახურება სწორედ ის არის, რომ მან სცადა ამ ხარვეზის შევსება და სხვადასხვა ცნობების შეგროვებისა და შედარების საფუძველზე წარმოგვიდ-

---

\* პირველად დაიბეჭდა ვახ. ლიტერატურულ საქართველოში, 1977, 16 დეკემბერს.



გინა სამეცნიერო-პოპულარული ნარკვევი ნიკოლოზ ჩოლაყაშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე<sup>1</sup>... გიგლიძე იოსებ

ნაშრომის დასათაურების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ავტორს სურდა ნ. ჩოლაყაშვილის მოღვაწეობის მხოლოდ ერთი მხარის გაშუქება. სინამდვილეში კი იგი თანაბრად ეხება ნ. ჩოლაყაშვილის საქმიანობის ყველა მხარეს, ცხადია, რამდენადაც ამის საშუალება მასალამ მისცა. ამიტომ, ჩვენი აზრით, უმჯობესი იქნებოდა წიგნის სათაური მისი ნამდვილი შინაარსის შესაბამისად ყოფილყო შერჩეული.

თავის ნაშრომს ავტორი იწყებს მიმოხილვით, თუ რა ცნობები მოიპოვება ნიკოლოზ ჩოლაყაშვილის შესახებ წყაროებში და რა მოსაზრებებია გამოთქმული ლიტერატურაში მისი ვინაობის შესახებ. ბუნებრივია, რომ აქ ავტორი საგანგებოდ აღნიშნავს აკადემიკოს ვ. კეკელიძის დამსახურებას ნიკოლოზ ჩოლაყაშვილის ვინაობის გარკვევის საქმეში, მისი ბიოგრაფიის ისეთი მნიშვნელოვანი მონაცემების დადგენაში, როგორცაა დაბადებისა და გარდაცვალების თარიღები.

შემდეგ გ. აკოფაშვილი მოკლედ განიხილავს ჩოლაყაშვილების საგვარეულო ისტორიას, ქრონოლოგიური თანამდევრობით აღწერს ნიკოლოზ ჩოლაყაშვილის მოღვაწეობას, ცხადია, ბიოგრაფიის ცალკეული ეტაპების ჩვენებით: პირველი ნაბიჯები კახეთის სამეფო კარზე, ნ. ჩოლაყაშვილის

<sup>1</sup> გ. უ. ლ. ჩ. ი. ნ. ა. კ. ფ. ა. შ. ვ. ი. ლ. ი., ქართველი დიპლომატი ნიკოლოზ ჩოლაყაშვილი—ნიუფორგ ირბანი, თბ., 1977, გამომცემლობა „მეცნიერება“.



ელჩობა ევროპაში, საქართველოში დაბრუნებში, ოფისის  
 სამთავროში მოღვაწეობა, იერუსალიმში ჯერის მონასტრის  
 წინამძღვრობა, კვლავ საქართველოში დაბრუნებში მოღვაწეობა  
 იმერეთში, სადაც იგი დასავლეთ საქართველოს ეკლესი-  
 ის პატრიარქ-კათალიკოსად აკურთხეს. დასასრულს ავტორი  
 ეხება იმ მაღალ შეფასებას. რომელიც დაიმსახურა ნ. ჩოლა-  
 ყაშვილმა როგორც თანამედროვეთა, ისე შემდგომი თაობის  
 ქართველ მოღვაწეთა მხრიდან.

ერთი სიტყვით, გ. აკოფაშვილის ნაშრომი გვაცნობს ამ  
 გამოჩენილი ადამიანის მრავალმხრივ მოღვაწეობას, რომე-  
 ლიც საქართველოს პოლიტიკური და კულტურული აღორ-  
 ძინებისაკენ იყო მიმართული.

გ. აკოფაშვილი მართებულად წერს, რომ ქართული  
 სამეფოების პოლიტიკის ძირითადი ხაზი ქვეყანაში მშვიდო-  
 ბიანობის შენარჩუნებისათვის ზრუნვა იყო. კონკრეტულად  
 კი კახეთის მაგალითზე მსჯელობისას აღნიშნავს, რომ მშვი-  
 დობიანი ცხოვრების დამყარების საბუნდოვრო პერიოდებ-  
 ში სასიკეთო ბუნებრივი პირობებით უხვად დაჯილდოებულ  
 ქვეყანაში მშრომელ ხალხს ნაყოფიერი შრომის ფართო შე-  
 საძლებლობა ეძლეოდა. ეკონომიკა აღმავლობის გზით მი-  
 დიოდა და შესაბამისად ამისა ფართოდ იშლებოდა კულტურ-  
 რულ-საგანმანათლებლო და აღმშენებლობითი მუშაობა. შე-  
 სამჩნევი იყო კახეთის მესვეურთა სწრაფვა, გასცნობოდნენ  
 მსოფლიოს კულტურას, გამხდარიყვნენ მისი თანამოაზრენი  
 და მონაწილენი; ახალი ძალით იღვიძებდა სურვილი მაჰმა-  
 დიანური გარემოცვის გარღვევისა კულტურის სფეროშიც.  
 ამის საილუსტრაციოდ ავტორი ასახელებს, ნ. ჩოლაყაშვილს,



რომელიც მშობლებს განათლების მისაღებად იტალიაში, სადაც იგი თერთმეტ წელიწადს ერთ-ერთ ბერძნულ სკოლაში და რამდენიმე წელიწადს იტალიაში; თავის თანამედროვეების მოწმობით ნ. ჩოლაყაშვილს ქართულისა და მეგრულის გარდა კიდევ შვიდი ენა (ბერძნული, თურქული, არაბული, ფრანგული, რუსული, ესპანური და იტალიური) სკოდნია.

სამწუხაროა, რომ ამ საინტერესო ნაშრომში გვხვდება ბევრი კორექტურული ხასიათის შეცდომები და არის უზუსტობანიც. კორექტურულ შეცდომებზე არც ვიტყვოდი არაფერს, ბევრ შემთხვევაში აზრი უხეშად რომ არ მახინჯდებოდა. მაგალითად, ავტორი მართებულად ხმარობს გვარის ფორმად „ჩოლაყაშვილს“, მაგრამ ზოგან წერია „ჩოლოყაშვილი“ (გვ. 3). ტიმოთე გაბაშვილის ნაშრომს, რომელსაც „მიმოსლეა“ ჰქვია, უწოდებს „მიმოსვლას“ (გვ. 9, 17, 63). 24-ე გვერდზე წერია „დაყუყუების პოლიტიკა“ ნაცვლად „დაყმეყებისა“, ხოლო 38 გვერდზე — „ნეპოლი“ ნეაპოლის მაგივრად. 45-ე გვერდზე 1627 და 1628 წლების ნაცვლად წერია 1727 და 1728 წ. ავტორი ახსენებს ნეაპოლის ვიცე-მეფეს და ნუნციოსს. ეფიქრობთ, ამ შემთხვევაში ზედმეტი არ იქნებოდა, რომ მკითხველთა ფართო წრისათვის გამიზნულ წიგნში ავტორს განემარტა, თუ რას ნიშნავდა ვიცე-მეფის ტიტული და რას წარმოადგენდა კათოლიკურ სამყაროში ნუნციოსის დიპლომატიური რანგი.

ნაშრომში გ. აკოფაშვილი ეხება იტალიაში 1629 წელს გამოცემულ ქართულ-იტალიურ ლექსიკონს, და აღნიშნავს, რომ ეს გამოცემა ქართული ენის ნორმების თვალსაზრისით,



შეიცავდა ზოგიერთ შეუფერებელ შეცდომას, რის გამოც ველზეც ზოგი ავტორი ადრე დაეჭვებულა ნიქოფოროვიჩი ბახის (ე. ი. ნ. ჩოლაყაშვილის) ქართველობაში. მანამდე მანამდე ძნად თვლიდა, რადგანაც ამ ლექსიკონში ზოგიერთი სრულიად მარტივი სიტყვა მოცემული იყო ბერძნულად. გ. აკოფაშვილის სწორი განმარტებით, ეს გარემოება იმით აიხსნება, რომ ლექსიკონის გამოცემა 1629 წელს, ნ. ჩოლაყაშვილის რომიდან უკვე წასვლის შემდეგ განხორციელდა და ამიტომ ქართულ ტექსტში მრავალი კორექტურული შეცდომა გაპარულა. მაგრამ ამ შემთხვევაში აკოფაშვილს უნდა მიეთითებინა, რომ ეს დაკვირვება ეკუთვნის მკვლევარ ქ. შარაშიძეს (იხ. ქ. შარაშიძე, ქართული ანბანი XIX საუკუნემდე. კრებ. „ქართული საანბანო წიგნის ბიბლიოგრაფია (1629—1940)“. თბ., 1941, გვ. 12-16). ავტორი აქაც ისევე უნდა მოქცეულიყო, როგორც ეს მართებულად გააეთა, როდესაც გადმოგვცა აყად. არნოლდ ჩიქობავას მოსაზრება იმის შესახებ, რომ რომში ჩასული ნ. ჩოლაყაშვილი 3 ათასი სიტყვისაგან შემდგარი ლექსიკონის მომზადებისას სიტყვანს ბერძნული ლექსიკონიდან ამოკრებილი მასალის საფუძველზე ადგენდა, ხოლო ბერძნულიდან ქართულად სიტყვების თარგმნის დროს, როგორც ჩანს, ზოგიერთი ბერძნული სიტყვა უთარგმნელი დარჩენია.

გ. აკოფაშვილის წიგნი ქართველ მკითხველს დიდ სარგებლობას მოუტანს.



## შ ი ნ ა ა რ ს ი

ავტორისაგან	3
ქართული საზოგადოებრივი აზრი ოსმალთა ბატონობისაგან აქარის განთავისუფლების შესახებ XIX ს-ის 70-იან წლებში	5
არსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის საკითხები ნ. ბეოძენიშვილის შრომებში	32
მიხეილ ალექსანდრეს ძე პოლიევქტოვი (დამაღვების ასი წლისთავის გამო)	62
ი. ანთელავა, XVIII სუეენის საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარების ხასიათის საკითხისათვის (სოფლის მსაღების მიხედვით)	86
ალა-მაჰმედ-ხანის თავდასხმა საქართველოზე	116
მონოგრაფია ანთიმოზ ივერიელზე	123
გამოკლევა XVII სუეენის ქართველ მოღვაწეზე	131

Георгий Георгиевич Пайчадзе  
ИСТОРИОГРАФИЧЕСКИЕ ЭТЮДЫ  
(на грузинском языке)

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

რეცენზენტები ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი კ. ტაბატაძე,  
ისტორიის მეცნ. კანდიდატი მ. ბერძენიშვილი

ИБ 1667

გამომცემლობის რედაქტორი ელ. ქაჭაია  
ტექნორედაქტორი ც. ქაშიშვიძე  
კორექტორი დ. ვარსთაძე

გადაეცა წარმოებას 12.12.1980; ხელმოწერილია დასაბეჭდად 27.2.1981;  
ქაღალდის ზომა 70×108<sup>1</sup>/<sub>32</sub>; ქაღალდი № 1; ნაბეჭდი თაბახი 7.0;  
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი. 5;  
უც 01038; ტირაჟი 3000; შეკვეთა № 4082;  
ფასი 60 კაპ.

---

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

---

საქ. სსრ. მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

